ყაზბეგი
ელექტრონული ბიბლიოთეკა

ლელო

№195 (12 265)

20 აგვისტო ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

# ასათიანმა გასახდელში თანაგუნდელთან იჩხუბა

## კობიაშვილი: საგოლე პასი და კარგი ორიანი დორტმუნდთან







## ლომაიამ ორ დღეში რვა გოლი გაუშვა

5 ლეგიონის ამბები

ლუქსემბურგის წინ 2

## საქართველოს მინუს სალუქვაძე და ელიავა





ახალგაზრდული ნაკრები უკვე პოლონეთშია

## მჭედლიშვილისა და დაუშვილის გარეშე

4




ინგლისი

## ერიქსონის ზედიზედ მესამე მატჩი უდანაკარგოდ

ფერგიუსონს პრობლემები აქვს

გერმანია

## ბაიერნმა ვერდერი აწამა

ჩემპიონი ფსკერისკენ

ესპანეთი/იტალია

## სუპერთასი ჩემპიონთათვის არ ყოფილა

აქეთ სევილია, იქით რომა

6-10 მსოფლიო ფეხბურთის ამბები

LIVE
სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ
LIVE

რაგბი

## საქართველო–ალბი 13:24

IRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

საქართველო: 15-9: ხამაშურიძე, ელოშვილი, ურჯუკაშვილი, ი. გიორგაძე (გიგაური), მაჩხანელი, ჯიმშელაძე, აბუსერიძე (სამხარაძე). 1-8: მაგრაქველიძე (გასვიანი), შველიძე, კოპალიანი (ხინჩაგიშვილი), დიდებულიძე (სუთიაშვილი), დათუნაშვილი, ურუშაძე (ჩხაიძე), ზ. მაისურაძე, უდესიანი.
2ლ: ხამაშურიძე, უდესუანი, ს: ურჯუკაშვილი.

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.pfl.ge

# საქართველოს XIX ჩემპიონატი

www.pfl.ge

უმაღლესი ლიგა. II ტური. მიმოხილვა

## ვიტ-ჯორჯია-ლოკომოტივი 1:0

18.08. მცხეთა. არმაზი
800 მაყურებელი

1:0 კლიმიაშვილი (32. გ. დათუნაიშვილის პასით)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - პ. დათუნაიშვილი, ლომაია, ა. კვახაძე, ბეჭვაია - გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, კლიმიაშვილი, ინჯგია (70. მელქაძე) - სახოკია (60. ლუჭაშვილი), გელაშვილი (76. კაიშაური).

სათადარიგოები: მიქაბერიძე, ლიპარტია, ბერიაშვილი, კიკნაძე.

ლოკომოტივი: გვარამაძე - ფოფხაძე, გუშარაშვილი, გ. კვახაძე, ქუხილავა (46. ტიკურიშვილი) - გულორდავა, ლალაძე, მალიჩავა (46. იმედაძე), ხოხონიშვილი, სამხარაძე - მიქაძე (61. ალავერდაშვილი)

სათადარიგოები: მიგინეიშვილი, ჟღენტი, ა. კობიაშვილი, ბარბაქაძე.

გაფრთხილება: გულორდავა (6), სამხარაძე (17), რაზმაძე (23), გელაშვილი (56), ტიკურიშვილი (66)

მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი (თბილისი)

### სტენოგრამა

**4** წთ. კლიმიაშვილმა მარცხენა ფლანგიდან ზუსტი გადაცემა გაუკეთა გელაშვილს, რომელსაც გვარამაძემ აჯობა.

**7**. მასპინძელთა მრავალსვლიან კომბინაციას გელაშვილი აგვირგვინებდა, მაგრამ ისევ გვარამაძემ იმარჯვა.

**32**. 1:0 - **ინჯგიამ** მარჯვნიდან კუთხური ჩააწოდა, **გიორგი დათუნაიშვილმა** ბურთი კლიმიაშვილს დაუგდო და ამ უკანასკნელმაც ძლიერი და ეფექტური დარტყმით ერთობ ლამაზი გოლი გაიტანა.

**37**. სტუმართა საჯარიმოში ჩასული **ალექსანდრე კვახაძე** ეფექტურად (უკუდარტყმით) ცდილობდა გოლის გატანას - გვარამაძეს ბურთის აღება არ გასჭირვებია.

**38**. სახოკიას წამოწყებულ შეტევას, ისევ და ისევ, კლიმიაშვილი აგვირგვინებდა, თანაც, კვლავაც ეფექტური დარტყმით - ბურთი მიზანს ოდნავ ასცდა.

**40**. სტუმრებმა პირველად დაარტყეს მასპინძელთა კარის მიმართულებით და კინაღამ გოლიც გაიტანეს: **მიქაძის** "მოქრილად" დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა.

**44**. საკამათოზე მეტი ეპიზოდი: სტუმართა საჯარიმოში გელაშვილთან ორთაბრძოლისას **გუშარაშვილს** ბურთი ხელზე მოხვდა.

**62**. ინჯიას ჩამოწოდებული კუთხურის მერე გვარამაძესთან ლამის პირისპირ ლომაია დარჩა, თუმცა - უშედეგოდ.

**63**. მთავრამა მსაჯმა... ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა!

**68**. ისევ ინჯგიას კუთხური და **ლუჭაშვილის** უძლიერესად დარტყმული ბურთი შორეულ კუთხეში მიფრინავს, მაგრამ გვარამაძემ თავგანწირული ნახტომით თავისი გუნდი აშკარა გოლისაგან იხსნა.

**69**. კვლავაც ლუჭაშვილისა და გვარამაძის "დუელი" - გამარჯვებული ისევ სტუმართა მეკარეა.

**83**. სამხარაძემ დრიბლინგით რამდენიმე მეურვე ჩამოიცილა, მაგრამ მახვილი კუთხიდან არაზუსტად დაარტყა.

# ორი კაპიტანი



მატჩის წინ ისეთი სიტუაცია იყო შექმნილი, რომ გამარჯვების შემთხვევაში "ლოკომოტივი" სატურნირო ცხრილის ერთპიროვნული ლიდერი შეიქნებოდა. თუმცა, გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ სტუმრები ამ შეხვედრაში მოგებას ნამდვილად არ იმსახურებდნენ. აბა, როგორი საქმეა, როცა "ვიტ ჯორჯიას" მეკარეს, **გრიგოლ ბედიაშვილს** 90 წუთის განმავლობაში ბურთი ხელში არ აულია! პირველ ტაიმში **გიორგი მიქაძემ** ტექნიკური დარტყმით ბურთი ძელს გაარტყა, მეორეში კი სტუმრებმა ორჯერ არაზუსტად დაარტყეს კარის მიმართულებით - აი, ეს იყო სულ. სამაგიეროდ, მთელი მატჩი საქმე არ გამოლევია **დავით გვარამაძეს** - "ლოკომოტივის" კაპიტანს და გუნდის ყველაზე გამოცდილ წევრს. "კოშკამ" თითქმის ყველა ბურთი მოიგერია; თითქმის, ერთის გარდა - **ირაკლი კლიმიაშვილმა** სტუმართა კარის "ცხრიანში" ბურთი ისეთი მოხდენილი და ძლიერი დარტყმით ჩასვა, მეკარეს რომ ვერავინ დაადანაშაულებდა. ეს პირველ ტაიმში მოხდა და მასპინძელთა გოლი ლოგიკურიც იყო: **ნესტორ მუმლაძის** აშკარად შეტევაზე ორიენტირებულ (ყველა მატჩში ასე არ არის?!) ტაქტიკას, როცა იქნებოდა, შედეგი უნდა გამოელო. თანაც, "ვიტ ჯორჯიას" უპირატესობა პირველი წუთებიდანვე გამოიკვეთა და რომ არა გვარამაძის დამაჯერებელი თამაში, ანგარიში უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა. ჩვეულად აქტიურობდნენ **ზაზა სახოკია** და **ნიკა გელაშვილი**; როგორც ყოველთვის, სასარგებლოდ თამაშობდა **გიორგი დათუნაიშვილი**, თუმცა ამ სამეულის დამაჯერებელ ასპარეზობას მიჩვეულებიც ვართ და როგორც გუნდის ლიდერებს, მოეთხოვებათ კიდევაც. აი, 19 წლის **ირაკლი კლიმიაშვილმა** კი ბევრი გააოცა და ამიტომაც ვცანით კიდევაც მატჩის რჩეულად.

მასპინძელთა კიდევ ერთ ლიდერზე კი ოდნავ ქვემოთ ვისაუბრებთ, მანამდე კი მსაჯებზეც უნდა ვთქვათ. ჯერ ის იყო საინტერესო, რომ მსაჯები მოედანზე ახალი, ფოსფორისფერი (ვფიქრობთ, ყველაზე მიახლოებულად ეს ფერი ეთქმის) სამოსით გამოვიდნენ. თუმცა მთავარი მაინც მათი ქმედება იყო, რომელიც მოკლედ ასე უნდა შევაფასოთ - არადამაჯერებელი და არაკვალიფიციური! ისე, ხშირად გვინახავს, როცა მატჩის მერე ორივე გუნდის წარმომადგენლები მსაჯობით უკმაყოფილონი არიან. მაგრამ, მცხეთაში, მაინც, ნამეტანი იყო! პირველი ტაიმის მიწურულს, მასპინძელთა მორიგი შეტევისას "ლოკომოტივის" მცველს ბურთი ხელზე კი არ მოხვდა, როგორც ტრიბუნებზე გაიხუმრეს... ლამის "აკენწლა" (ხელით), მაგრამ მსაჯმა მცირე პაუზა გააკეთა და პენალტის ნაცვლად თამაშის გაგრძელება არჩია. არანაკლები კურიოზ(ებ)ი გველოდა მეორე ტაიმში. ჯერ ხომ პირველ ტაიმშიც ხშირად ჩერდებოდა მატჩი გაუთავებელი "მცირე ფოლის" ჯარიმებისთვის და მეორე ტაიმი კი ლამის საათზე მეტხანს გაგრძელდა. ყველაზე მთავარი კი 63-ე წუთზე მოხდა, როცა მთავარმა მსაჯმა **ვასილ ელისაბედაშვილმა** (უწყინარ სიტუაციაში) ... ტრავმა მიიღო! დაშავებული არბიტრის დასახმარებლად პირველი ვინ გაეშურებოდა, თუ არა **ანზორ გაბიტაშვილი** - ყველა დროის საქართველოს ნომერ პირველი მასაჟისტი. თუმცა, ელისაბედაშვილს ვერც "სიმონიჩმა" უშველა და მსაჯმაც... შეცვლა მოითხოვა. ყოველივე ეს პროცედურა, სულ მცირე, ოთხი-ხუთი წუთი მაინც გრძელდებოდა, დაუმატეთ ამას მეორე ტაიმში გაკეთებული ოთხი შეცვლა (ესეც - ორი წუთი) და უმარტივესი არითმეტიკით გამოდის, რომ ძირითად დროს, სულ მცირე, 6-7 წუთი მაინც უნდა დამატებოდა. სინამდვილეში კი ოთხი დაამატეს...

...ისევ მატჩს დავუბრუნდეთ, რომლის მეორე ტაიმი აშკარად განსხვავებული სცენარით წარიმართა. ამის მიზეზი კი "ლოკომოტივის" ახალგაზრდა თავკაცის, **გიორგი კიკნაძის** თამამი შეცვლები იყო: მარცხენა მცველისა და "საყრდენის" ნაცვლად მოედანზე 17 წლის შემტევი ნახევარმცველი **გიორგი ტიკურიშვილი** და გამოცდილი ფორვარდი **გრიგოლ იმედაძე** შემოვიდნენ. ტერიტორიული უპირატესობაც სტუმრებმა მოიპოვეს, მაგრამ მასპინძელთა უშეცდომოდ მოთამაშე დაცვას ვერაფერი მოუხერხეს. განსაკუთრებით შთამბეჭდავად კი "ვეტერინართა" კაპიტანი **ალექსანდრე კვახაძე** გამოიყურებოდა. აი, ზემოთ რომ ვთქვით, მასპინძელთა კიდევ ერთი ლიდერი გამოირჩეოდა პირველ ტაიმშიო, სწორედ ალექსანდრე კვახაძეს ვგულისხმობდით. მოკლედ, შაბათის მატჩში ორივე გუნდს ისეთი კაპიტნები ჰყავდათ, ღირსეულზე მეტი რომ ეთქმოდათ. შეცვლები ვახსენეთ და **ვასილ ლუჭაშვილზეც** უნდა ვთქვათ, რომელიც ერთობ აქტიურად ჩაერთო თამაშში და ზედიზედ ორჯერ შეეძლო თამაშიც "დაეწყნარებინა", მაგრამ ორივეჯერ სტუმრები გვარამაძემ იხსნა. საბოლოოდ, მასპინძლებმა გამარჯვებამდე მიიყვანეს საქმე და, როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, მათი ეს მოგება დამსახურებული იყო. "ლოკომოტივის" მარცხის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი კი, ალბათ, **ლევან ყენიას** არყოფნაც იყო. ჰო, ეგრეა - შაბათის შეხვედრაში 17 წლის ლიდერის შეცვლა "ლოკომოტივში" ვერავინ მოახერხა...

### რჩეული
ირაკლი კლიმიაშვილი

**მასპინძელთა 19 წლის ნახევარმცველის უაღრესად აქტიური და, რაც მთავარია, ეფექტიანი თამაში სასიამონო სურპრიზი გახლდათ. ტანმორჩილი ფეხბურთელი 90 წუთის განმავლობაში არ გაჩერებულა: ხან მარცხენა ფლანგიდან უტევდა, ხან - ცენტრიდან; არც "შავი სამუშაოს" შესრულებას ერიდებოდა და სტუმართა კარს ხომ არაერთხელ დაემუქრა. გოლი კი მართლაც ლამაზი გამოუვიდა...**

**გია ტუხაშვილი**

---

ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩის წინ

# სალუქვაძე და ელიავა გამოგვაკლდნენ



ლაშა სალუქვაძე

22 აგვისტოს ჩვენი ეროვნული გუნდი ლუქსემბურგთან გასვლით ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. ამ მატჩისთვის ნაკრებში გამოძახებულთა შემადგენლობა ეროვნული გუნდის თავკაცმა **კლაუს ტოპმიოლერმა** ამ რამდენიმე დღის წინათ დაასახელა. სამწუხაროდ, ეროვნული გუნდი ამჯერადაც ვერ ასცდა დანაკლისს. როგორც შევიტყვეთ, ნაკრებს ორი ფეხბურთელი გამოაკლდა. ავადმყოფობის გამო, ნაკრებს ყაზანის "რუბინის" მცველი **ლაშა სალუქვაძე** დააკლდება. ამას გარდა, ლუქსემბურგში "სკონტოს" უკანახაზელი **ზაალ ელიავაც** ვერ ითამაშებს. საქმე ის გახლავთ, რომ მას მხარი აწუხებს და მკურნალობისთვის 10 დღე ესაჭიროება.

ამ დანაკლისების შემდეგ, ლუქსემბურგთან მატჩისთვის ეროვნულ ნაკრებში ოცი კაცილა დარჩა.

მეკარეები: **გიორგი ლომაია (კარპატი, უკრაინა), რევაზ თევდორაძე (მერანი).**

მცველები: **კახა კალაძე (მილანი, იტალია), ოთარ ხიზანეიშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), ზურაბ ხიზანიშვილი (ბლექბერნი, ინგლისი), გიორგი შაშიაშვილი (შტურმი, ავსტრია), ალექსანდრე ამისულაშვილი (სპარტაკი ნ. რუსეთი).**

ნახევარმცველები: **დავით კვირკველია (მეტალურგი ზ. უკრაინა), ლევან ცქიტიშვილი (უკლუბო), ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია), მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი), ზურაბ მენთეშაშვილი (ვენტსპილსი, ლატვია), დავით მუჯირი (კრილია, რუსეთი), ლადო ბურდული (ზარია, უკრაინა).**

თავდამსხმელები: ალექსანდრე იაშვილი (კარლსრუე, გერმანია), ლაშა ჯაკობია (მეტალისტი, უკრაინა), ვასილ გოგიაძე (ნეფტიანიკი, უკრაინა), ოთარ მარცვალაძე (ზაკარპატიე, უკრაინა), გიორგი დემეტრაძე (არსენალი, უკრაინა), დავით სირაძე (პადერბორნი, გერმანია).

ჩვენი ნაკრების ტექნიკური პერსონალი ევროპას დღეს გაემგზავრება. გუნდი ლუქსემბურგში, სასტუმრო "ნოვოტელში" დღეს საღამოს დაბინავდება და ადგილობრივ ნაკრებთან მატჩისთვის მზადებას იქვე შეუდგება. ლუქსემბურგისა და საქართველოს ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი 22 აგვისტოს თბილისის დროით 22 საათზე დაიწყება.

**დავით ცაგაძე**



ზაალ ელიავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბათუმი-ოლიმპი**

**0:1**

18.08. ბათუმი. ადელი
400 მაყურებელი

0:1 კოშკაძე (60)

ბათუმი: თოთლაძე - ჭელიძე, თედორაძე, მაკარიანი (ცანავა 70), კუნჭულია - ბეჟანიძე, კ. მახარაძე, დარჩიძე (ოქრუაშვილი 75), დემურაძე - კაკალაძე, მოდებაძე

სათადარიგოები: მამინაშვილი, ლ. მახარაძე, ბაჯელიძე, ბ. მახარაძე, გალოგრე

ოლიმპი: მ. ალავიძე - ნავალოვსკი, ორბელაძე, მახვილაძე, აკუასაგა - რ. ჯიქია, სილაგაძე, ჟივკოვიჩი (ქებაძე 61), გენაძე (დვალი 80), კახელიშვილი (კოშკაძე 46) — მასუანგა

სათადარიგოები: მერლანი, დვალიშვილი, კორსანტია

გაფრთხილება: კაკალაძე (35), რ. ჯიქია (36), დემურაძე (47), მაკარიანი (69) მახვილაძე (72)

არბიტრი: ლ. ხეცაძე

გაძევება: კ. მახარაძე (66), აკუასაგა (66)

**სტენოგრამა**

**13** წთ. დემურაძე აწვდის კუთხურს, ბურთს **კახა მახარაძე** ეუფლება და მცირედი პაუზის შემდეგ კარში ურტყამს. ბურთი მეკარის ნადავლი ხდება.

**35**. **კაკალაძე აკუასაგასთან** ორთაბრძოლისას საჯარიმოში ეცემა და პენალტის დანიშვნას ითხოვს. მსაჯი მას სიმულაციისთვის აფრთხილებს.

**37**. **მახვილაძე** სახიფათოდ ურტყამს საჯარიმოს, მაგრამ **თოთლაძე** ნახტომში იგერიებს ბურთს.

**40**. მარცხენა ფლანგიდან დემურაძე უტევს და საჯარიმოში შესული ძლიერად ურტყამს. მეკარე ბურთს კუთხურზე იგერიებს.

**41**. მარცხენა ფლანგიდან დემურაძე ბურთს საჯარიმოში ჰკიდებს, მეკარე გამოსვლაზე ცდება, **მოდებაძე** თავით ურტყამს, მაგრამ აკუასაგა ბურთის კარის ხაზიდან გამოტანას ახერხებს.

**42**. ჯიქია სოლორეიდით სამ ბათუმელს გასცდა და კარში დაარტყა. ბურთი მცირე მანძილით ასცდა კარს.

**60**. 0:1 - შეცვლაზე შემოსული **კოშკაძე** მცველთა უყურადღებობით სარგებლობს და შორეული დარტყმით ანგარიშს ხსნის.

**66**. **კახა მახარაძესა** და აკუასაგას შორის დაწყებული შელაპარაკება ჯერ მცირე ჩხუბით გრძელდება, შემდეგ კი ორივეს გაძევებით სრულდება.

# პისკოვეცის სამქულიანი დებიუტი

გორის „დილასთან" განცდილი მარცხის შემდეგ, ბათუმელები საქართველოს მოქმედ ჩემპიონს დაუხვდნენ. ყველას კარგად მოეხსენება, თუ რა რთული ვითარებაა ზღვისპირულ კლუბში. სახელფასო დავალიანების გამო, გუნდი თითქმის ყველა მოწვეულმა ფეხბურთელმა დატოვა. თუმცა, **ამირან გოგიტიძე** მის ხელთ არსებული არსენალით შაბათს ჩემპიონების დამარცხებას მაინც შეეცადა და ფორტუნას ზურგი რომ არ ექცია ბათუმელთათვის, მინიმუმ ერთ ქულას მაინც მოიპოვებდნენ.

სტუმრებმა მატჩი 4-5-1 სქემით დაიწყეს, რასაც ბათუმელთა მწვრთნელმა ჩვეული ტაქტიკით, 4-4-2-ით უპასუხა. თავდასხმაში გამწესებულ **კაკალაძე-მოდებაძის** დუეტს ზურგს **ბეჟანიძე-დემურაძის** ტანდემი უმაგრებდა. რაც შეეხება სტუმრებს, ფორვარდ მასუანგას ფრთებიდან **ჟივკოვიჩი** და **კახელიშვილი** ეხმარებოდნენ. საკმაოდ აქტიური იყო ცენტრში **ჯიქია**.

მატჩი სრაფ ტემპში, ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყო. პირველი მომენტიც მასპინძლებმა შექმნეს. მე-13 წუთზე **დემურაძემ** კუთხური ჩააწოდა, ბურთი **კახა მახარაძეს** მიუვიდა, რომელიც ჯერ მიწაზე დაუშვებლად შეეცადა მის კარში გადაგზავნას, თუმცა, შემდეგ გადიფიქრა, ცრუ მოძრაობით მცველი ჩამოიტოვა და შემდეგ დაარტყა. დარტყმა სუსტი გამოუვიდა და **ალავიძეს** ბურთის აღება არ გასჭირვებია. თანდათან ოლიმპის უპირატესობა გამოიკვეთა, თუმცა ბათუმელთა მცველები კარგად თამაშობდნენ და მეტოქეს კარში დარტყმის საშუალებას არ აძლევდნენ. მე-20 წუთისთვის „დინამომ" თამაში თანდათან გაათანაბრა. 35-ე წუთზე **კაკალაძე** შეიჭრა საჯარიმოში, მას ფეხდაფეხ მიჰყვა **აკუასაგა**. ბათუმელი ფორვარდი წაიქცა და მაშინვე მსაჯისკენ გაიხედა. ის თერთმეტმეტრიანის დარტყმას ითხოვდა, თუმცა, მსაჯმა მას სიმულაციისთვის ყვითელი ბარათი აუფრიალა.

პირველი ტაიმის მიწურულს გუნდებმა თითო მომენტი გაცვალეს, თუმცა, აქედან მხოლოდ მასპინძელთა მომენტი იყო საგოლე. მარცხენა ფლანგიდან დემურაძემ საჯარიმოში ჩაჰკიდა ბურთი, ალავიძე გამოსვლაზე შეცდა და როგორც იტყვიან, კარი დაკარგა, იქ კი მოდებაძე დაუხვდა თავურით და ტყავის სფერო კარში გადაგზავნა. საიდან გაჩნდა კარის ხაზზე აკუასაგა, დიდხანს დარჩება გამოცანად, მაგრამ მან ბურთის მოგერიება შეძლო. სტუმართა დაწყებული შეტევა ცენტრიდან ჯიქიამ გააგრძელა, რომელმაც კარგად აუარა გვერდი სამ ბათუმელს და კარშიც დაარტყა, ესაა, რომ მიზანმა უმტყუნა და ბურთი მცირე მანძილით ასცდა თოთლაძის კარს.

მატჩის მეორე ნახევარში მხოლოდ ორი მომენტი იყო დასამახსოვრებელი. მე-60 წუთზე ჟივკოვიჩი მასპინძელთა საჯარიმოსთან ტრიალებდა, მაგრამ ბურთი წინ გაექცა და მცველებმა იგი უკუაგდეს, თუმცა, არა ძლიერად და შეცვლაზე შემოსულმა **კოშკაძემაც** არ დააყოვნა, შეუჩერებლივ დაარტყა და შეხვედრის ერთადერთი გოლი გაიტანა. მეორე მომენტი კი კახა მახარაძისა და აკუასაგას შეხლა-შემოხლა იყო, რომელიც საბოლოოდ ორივეს გაძევებით დასრულდა. დარჩენილ დროში „დინამო" მასიურ იერიშზე გადვიდა და ჩემპიონებს თავის დაცვა უწევდათ. დინამოელთა ნახევარზე მხოლოდ **მასუანგა** იყო დარჩენილი, დანარჩენი საკუთარ ნახევარზე განლაგდნენ და ბათუმელთა იერიშებს იგერიებდნენ. მიუხედავად არაერთი მცდელობისა, „დინმომ" მატჩის გადარჩენა ვერ მოახერხა.



აკუასაგას გაძევებამ ოლიმპს ვერაფერი დააკლო

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან

**მესხეთი-ზესტაფონი**

**0:2**

18.08. ახალციხე. ცენტრალური
2 500 მაყურებელი

0:1 ვიეირა (18. ნ. კვასხვაძის პასით), 2:0 ფიფია (41. ვიეირას პასით).

მესხეთი: სომხიშვილი - კობესაშვილი, აკოფიანი, ლეკიშვილი, ნადირაშვილი - ზ. ჩხეტიანი, თურმანიძე (79. ინასარიძე), კაიდარაშვილი, მ. თაყაძე, გვარჯიშვილი (72. აფრიამაშვილი) - რუსია (60. მ. ლონლაძე)

სათადარიგოები: ძამუნაშვილი, კევლიშვილი, სუდაძე, მეტრეველი ზესტაფონი: ჭანტურია - ს. თოდუა, საჯაია, რ. ონიანი, კ. ჩხეტიანი - კესანი, ჟონატასი, ნ. კვასხვაძე (60. ბენაშვილი), ვიეირა - ფიფია (83. დაუშვილი), გ. ჩხეტიანი (74. გოცირიძე)

სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, შ. ლონლაძე, ხიდეშელი, იონანიძე

გაფრთხილება: ზ. ჩხეტიანი (35), ნ. კვასხვაძე (61), გ. ჩხეტიანი (69)

**სტენოგრამა**

**15** წთ. ზვიად ჩხეტიანმა ჩაწოდებისას საჯარიმოში მიიღო ბურთი და პენალტის ნიშნულიდან ძლიერად დაარტყა, კარში მომავალი ბურთი მცველმა თავით უკუაგდო.

**18**. 0:1 - ჯარიმიდან ჩაწოდებულ ბურთზე მომენტალურად გავიდა **ვიეირა** და თავით მეკარისაგან შორეულ კუთხეში გაიტანა.

**20**. შეტევაში ჩაერთო მცველი **საჯაია**, ჩაჭრა ბურთი, შორიდან ძლიერად გაისროლა, ბურთი მცველს შეეხო, შეიცვალა მიმართულება, **სომხიშვილმა** აკრობატული ნახტომით მოიგერია.

**41**. 0:2 - ვიეირა გამოზომილად აწვდის ფლანგიდან საჯარიმოში შეჭრილ **ფიფიას**, ცენტრალური მცველები ნამით ყოვნდებიან, თავდამსხმელი კი ბურთს მეკარისგან მარჯვენა დაბალ კუთხეში ათავსებს.

**59**. კესანი კარგად შეეიდა საჯარიმოში და გაგა ჩხეტიანი პირისპირ დატოვა მეკარესთან. თავდამსხმელის ძლიერი დარტყმული სომხიშვილმა ფეხით მოიგერია.

**61**. **რონ ონიანის** პასი და ვიეირას თავური, სომხიშვილი კუთხურზე იგერიებს გაჭირვებით.

# კანონზომიერი შედეგი

პირველ ტურში გამარჯვებული და გულმოცემული მასპინძლები მეორე საშინაო მატჩშიც იგივე შედეგზე ფიქრობდნენ, თუმცა მათი ნაფიქრი მხოლოდ ნაფიქრად დარჩა და რეალურობაში ვერ გარდაისახა. რაც შეეხება მათ იმერელ სტუმრებს, ისინი საწყის ტურში არცთუ დამაჯერებელი თამაშის გამო, ეტყობა, გუნდის თავკაცობამ გვარიანად "შეახურა", რის გამოც ყვირილისპირელები ამ თამაშზე მობილიზებულები გამოვიდნენ და მშვენიერი თამაშიც აჩვენეს.

ყოველივეში კი თავისი მოზრდილი წვლილი სტუმართა ფანკლუბის აქტიურობამაც შეიტანა. სტუმრები მობილური ნახევარდაცვის აქტიური თამაშით მალევე დაეუფლნენ ინიციატივას და მატჩის სადავეები ხელთ იგდეს. რაც შეეხება მასპინძლებს, გამოცდილი **კაიდარაშვილი** ბევრს ცდილობდა დაელაგებინა სამცხელთა თამაში, თუმცა აქედან ბევრი სასიკეთო ვერაფერი გამოადნო.

ზესტაფონელთა ნახევარდაცვის ლეგიონერთა ტრიოს (**ვიერა-კესანი-ჟონატასი**) ამ დღეს ყველაფერი გამოსდიოდა და შედეგად, "მესხეთის" კართან ხშირად იქმნებოდა საგოლე მომენტები; ამ დღეს მეკარე **სომხიშვილი** ძალიან კარგად ირჯებოდა და რომ არა იგი, ალბათ ანგარიში უფრო სოლიდურ სახეს მიიღებდა. პირველ ტაიმში "ზესტაფონმა" მე-18 და 41-ე წუთებზე ორჯერ გაიტანა და ორივე შემთხვევაში ძალიან კარგად გაისარჯა ბრაზილიელი ვიეირა. თავიდან იგი ზუსტად გამოეხმაურა თავით **კვასხვაძის** ჩაწოდებულ ჯარიმას, შემდეგ კი თავად საგოლედ უპასა ფიფიას. ამათ გარდა, **საჯაიასა** და **გაგა ჩხეტიანსაც** მართებდათ გატანა, რაც მათ მესხეთის მეკარემ აჯობა. მეორე ტაიმში "მესხეთი" გააქტიურდა და რამდენჯერმე სახიფათოდაც დაემუქრა **ჭანტურიას** კარს, თუმცა მცველები და კიპერი მედგრად იდგნენ და **კაიდარაშვილის** ორი შანსი შედეგში ვერ გარდაისახა.

ტემპდაგდებულ და ბურთის დაჭერაზე გადასულ "ზესტაფონს" მეორეში სამი ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა. აქედან ყველაზე რეალური პირისპირ გასული გაგა ჩხეტიანის ეპიზოდი იყო. საბოლოოდ კი კლასმა და საშემსრულებლო ოსტატობამ ამ დღეს, რომ იტყვიან, "პური ჭამა" და სტუმრებმა დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწიეს.

კობა თედიაშვილი ("მესხეთი"): *"ახალი შექმნილი გუნდის მშენებლობის პროცესში ვართ, ამიტომ ასეთ ძლიერ მეტოქესთან წაგებამ გული არ უნდა დაგვწყვიტოს. გვქონდა შეცდომები დაცვაში, რის გამოც მივიღეთ გოლები. იმედია, მომავალ ტურებში გავაანალიზებთ შეცდომებს და სასურველ შედეგებს მივაღწევთ".*

თემურ მახარაძე ("ზესტაფონი"): *"მომეწონა ის საფეხბურთო სიტუაცია, რაც მასპინძელთა სტადიონზე სუფევდა. ვფიქრობ, "მესხეთი" მალე უფრო მოუმატებს და ღირსეულადაც ითამაშებს. რაც შეეხება ჩვენს თამაშს, პირველში კარგი გააზრებული ფეხბურთი ვითამაშეთ, მეორეში კი ცოტა ხარისხობრივად მოვიკოჭლეთ".*



პოლ კესანი ცენტრში დამაჯერებლად იმოქმედა

**რჩეული**

ვიეირა

ძალიან კარგ ფორმაშია და შეიძლება ითქვას, "ქარივითაა". მისი სწრაფი გადაადგილებები დიდ თავსატეხს უჩენდა მეტოქეს. იგი ყოველთვის საჭირო დროსა და საჭირო ადგილზე ჩნდებოდა. შედეგად ლამაზი გოლიც გაიტანა, საგოლე პასი მიითვალა და რამდენჯერმე სახიფათოდაც დაემუქრა მეტოქის კარს. ვფიქრობთ, მისი დარი ნახევარმცველი ჩვენს ჩემპიონატში თითებზე ჩამოსათვლელია.

**მერაბ ბრძელიძე**
ახალციხიდან

**საპრემიერო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 3. ბორჯომი | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 4. დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 5. ამერი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 6. დილა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 7. ლოკომოტივი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 8. მგლები | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 9. ოლიმპი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 10. მესხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 11. სპარტაკი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 12. სიონი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 13. ბათუმი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| 14. მერანი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვიეირა (ზესტაფონი) | 2 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 2 |
| ბ. ჩიტაია (დილა) | 2 |

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და საქართველოს ეროვნული ნაკრები თანაუგრძნობენ ნაკრები გუნდების მეკარეთა მწვრთნელ **მამუკა აბუსერიძეს** მამის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ვიტ ჯორჯია

# ვიტ ჯორჯია და ჩემპიონატი უწინდელზე უკეთესი იქნება



ორი ტურის შემდეგ ეროვნული ჩემპიონატის ცხრილის სათავეში სამი გუნდი მოექცა - "ზესტაფონი", "ბორჯომი" და "ვიტ ჯორჯია". უმაღლეს ლიგაში ძალთა ბალანსი არც საამსეზონოდ შეიცვლილა მნიშვნელოვნად - მაღალი მიზნებისთვის ალბათ ისევ ხუთი გუნდი იბრძოლებს - "დინამო", "ამერი", "ზესტაფონი", "ოლიმპი" და "ვიტ ჯორჯია", რომლის მთავარ მწვრთნელ ნესტორ მუმლაძეს რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

**- ორი ტურის შემდეგქ როგორ ატყობთ, თქვენი გუნდი რა გაქანების იქნება ამ სეზონში?**

- "ვიტ ჯორჯიის" ფეხბურთელები სეზონისთვის კარგად არიან მომზადებულები. ფაქტობრივად, ახალ გუნდს ვაკეთებთ, ჩამოყალიბების პროცესში ვართ. "ვიტ ჯორჯიის" ძირითადში ახლა არც თუ ცოტა ისეთი ფეხბურთელია, წინა სეზონში მეტწილად პირველ ლიგაში რომ თამაშობდა.

**- ატყობთ თქვენს გუნდს იმას, რომ ამ სეზონში უფრო მეტი იქნება, ვიდრე ერთ-ერთი მოწინავე გუნდი?**

- ჩვენ, უბრალოდ, აქცენტს ისევ ახალგზრდა ფეხბურთელებზე ვაკეთებთ, თორემ მონდომება როდი გვაკლია. "ვიტ ჯორჯია" სწრაფ ფეხბურთს ითამაშებს და სამეულში მოხვედრისთვის იბრძოლებს.

**- შეგიძლიათ თქვათ, რომ "ვიტ ჯორჯია" ამ სეზონში უწინდელზე უკეთესი იქნება?**

- "ვიტ ჯორჯია" წინა სეზონზე უკეთესი უნდა იყოს. ამის თქმის საფუძველს ის მაძლევს, რომ ჩვენი ფეხბურთელები იზრდებიან, მეტი გამოცდილება უგროვდებათ.

**- წინა სეზონში თქვენი გუნდის უმთავრესი ნაკლი საგოლე მომენტების რეალიზება იყო. "ვიტ ჯორჯიის" ცენტრფორვარდი ნიკა გელაშვილი კი დაუბრუნდა, თუმცა მხოლოდ პირველი წრისთვის. მიგაჩნიათ, რომ თქვენი გუნდი ისევ ამ პრობლემის წინაშე აღმოჩნდება?**

- გელაშვილი თავისი სურვილით დაბრუნდა ჩვენთან. ის ჩვენთვის დიდი ძალაა, მაგრამ წავა და "ვიტ ჯორჯიას" რაღა ეშველება - შემიძლია გითხრათ, რომ ასე არ იქნება.

**- "ვიტ ჯორჯია" თითქოს არ არის სათასო გუნდი, აქცენტს ყოველთვის უფრო ჩემპიონატზე აკეთებდა და ალბათ ასე იქნება ამ სეზონშიც...**

- წლეულს სერიოზულად ვფიქრობთ თასზეც. სეზონის წინ კრება რომ გვქონდა, სამეულის გარდა, თასზე წარმატებით გამოსვლაც დავისახეთ.

**- მე-18 ეროვნული ჩემპიონატისგან რაიმე განსაკუთრებულს ელით?**

- უწინდელზე უფრო ძლიერი უნდა იყოს, რადგან სუსტი, აშკარად აუტსაიდერი გუნდები უმაღლეს ლიგაში აღარ არიან.

**- თქვენი უშუალო კონკურენტი გუნდების სატრანსფერო საქმიანობას ალბათ გულდასმით აკვირდებოდით და როგორ ფიქრობთ, ყველაზე უფრო რომელი გუნდი გაძლიერდა?**

- სხვა გუნდებზე საუბარს თავს ავარიდებ. ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ, უმაღლეს ლიგაში ყველაზე ახალგაზრდული გუნდი გვყავს და ასეთი რესურსით უნდა მივაღწიოთ წარმატებას.

**- "ვიტ ჯორჯიიდან", ფაქტობრივად, არ იწვევენ ფეხბურთელებს ასაკობრივ ნაკრებებში - ამას თქვენი გუნდის ნაკლად არ მიიჩნევთ?**

- ვიტჯორჯიელებს ასაკობრივ ნაკრებებში რომ არ იწვევენ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი ფეხბურთელები ამას არ იმსახურებენ. "ვიტ ჯორჯია" წარმატებული კლუბია და ამას ყველა ხედავს.

**- თქვენს ხელში კლუბს ჯერ არაფერი მოუგია, თუმც კლუბის ხელმძღვანელობა მაინც კმაყოფილია რამაზ მუმლაძით...**

- "ვიტ ჯორჯიაში" ორი წელიწადი გადაბმულად ჩემამდე არც ერთ მთავარ მწვრთნელს არ უმუშავია და ასეთი ნდობისთვის კლუბის პრეზიდენტის მადლობელი ვარ. ზოგადად, კარგია, რომ მწვრთნელი ხშირად არ იცვლება, ერთი სპეციალისტის ხელში გუნდი უფრო კარგად ყალიბდება.

დავით თავართქილაძე

21-წლამდელთა ნაკრები. ევროპის ჩემპიონატი

# მინუს დაუშვილი და მჭედლიშვილი

## ნაკრები უკვე პოლონეთშია

ახალგაზრდული ევრო 2009-ის შესარჩევი ციკლის მეორე ტურის მატჩები ოთხშაბათს, 22 აგვისტოს გაიმართება. ამ დღეს ჩვენს ჯგუფში ორი მატჩი გაიმართება – ყაზახეთი რუსეთს უმასპინძლებს, პოლონეთი კი საქართველოს დაუხვდება. პოლონეთი-საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების მატჩისთვის ჩვენი და მეტოქე გუნდის შემადგენლობები უკვე გაგაცანით. **პეტარ სეგრტის** გუნდი გუშინ გამთენიისას გაემგზავრა პოლონეთში. ჩვენი ახალგაზრდული გუშინვე კრაკოვში ჩავიდა და იქვე დაბინავდა.

სამწუხაროდ, ჩვენი გუნდი კვლავაც ვერ ასცდა დანაკლისს. პარასკევს, ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურში, "ამერი"-"დილის" მატჩში თბილისელთა გუნდის მცველი **დავით მჭედლიშვილი** დაშავდა. თუმცა ახალგაზრდულის დანაკლისი მხოლოდ ტრავმირებული მჭედლიშვილით არ შემოიფარგლება. ექიმებმა "ზესტაფონის" ნახევარმცველ **მურთაზ დაუშვილს** ტვინის შერყევა დაუდგინეს. ასე რომ, 21-წლამდელებს დაუშვილიც გამოაკლდა. ამ დანაკლისის შემდეგ ახალგაზრდულში 20 ფეხბურთელი დარჩა. ეს ოცეული კი ასე გამოიყურება:

მეკარეები: **გიორგი ლორია** (დინამო), **გიორგი მაკარიძე** (დინამო).

მცველები: **მათე ღვინიანიძე** (მიუნხენ 1960, გერმანია), **გიორგი ფოფხაძე** (ვიბორგი, დანია), **გიორგი ნავალოვსკი** (ოლიმპი), **გურამ კაშია** (დინამო), **გიორგი ხიდეშელი** (ზესტაფონი), **უჩა ლობჟანიძე** (უკლუბო), **ზურაბ გვაძაბია** (ამერი).

ნახევარმცველები: **შოთა გრიგალაშვილი** (ბორჯომი), **გიორგი მერებაშვილი** (დინამო), **ალექსანდრე კობახიძე** (დინამო), **ალექსი ბენაშვილი** (ზესტაფონი), **კახა მახარაძე** (დინამო), **გიორგი კახელიშვილი** (ოლიმპი), **ლევან ყენია** (ლოკომოტივი), **ამირან სანაია** (ზესტაფონი).

თავდამსხმელები: **გიორგი ჭელიძე** (ზესტაფონი), **რევაზ ბარაბაძე** (უკლუბო), **ბექა გოცირიძე** (ზესტაფონი).

პეტარ სეგრტის გუნდი პოლონელებთან მატჩისთვის ადგილზე განაგრძობს სამზადისს. 22 აგვისტოს კი პოლონელ თანატოლებს დაუპირისპირდება.

დავით ცაბაძე

17-წლამდელთა ნაკრები. პალანგის ტურნირი

# ორი მარცხით დავიწყეთ

**საქართველო-აზერბაიჯანი 0:2**

საქართველო: **ნიორაძე, მეგრელაშვილი (65. ხურციძე), მირცხულავა, ახალბედაშვილი, რიგვავა, გუგუჩია, შეყილაძე, შონია, გ. ვაშაკიძე, ძალამიძე (65. მამულაძე), მელიქიშვილი (50. ანანიძე).**

გუშინწინ, ლიტვის საკურორტო ქალაქ პალანგაში მორიგი საერთაშორისო ტურნირი დაიწყო. ჩვენს 17-წლამდელებს პირველი ტურის შეხვედრა აზერბაიჯანელ თანატოლებთან მოუწიათ. სამწუხაროდ, **ჰერბერტ ცანკერის** გუნდმა "კრეიტინგოსის" სტადიონზე ძალიან სუსტად ითამაშა და ორი მშრალი ბურთით დამარცხდა. აზერბაიჯანელებმა ორივე გოლი პირველივე ტაიმში, მე-15 და 32-ე წუთებზე გაიტანეს. ფეხბურთის ფედერაციის პრესცენტრის ცნობით, მატჩი აზერბაიჯანელთა დომინირებით წარიმართა. არბიტრმა მატჩის მეორე ნახევარში ჩვენი ფეხბურთელები **მეგრელიშვილი** და **ახალბედაშვილი** გააფრთხილა.

გუშინ ჩვენები რუსეთთან 0:4 განადგურდნენ. საქართველოს შემადგენლობა ასეთი იყო:

**ნიორაძე, მეგრელაშვილი (35. დ. ვაშაკიძე), მირცხულავა, ახალბედაშვილი, რიგვავა, გუგუჩია, შეყილაძე, შონია, გ. ვაშაკიძე, ძალამიძე, ანანიძე.**

ხვალ, 21 აგვისტოს, ჩვენი 17-წლამდელები ლატვიას გაეჯიბრებიან.

დავით ცაბაძე

# XIX ეროვნული ჩემპიონატი. I ლიგის კალენდარი. 2007 წელი

**I ტური**

აღმოსავლეთი

20.08 ორშაბათი

მეშაძრე აგარა-ნ.დინამო/მერანი 2 თბილისი
ოლიმპი 2 რუსთავი-ჩიხურა საჩხერე
გაგრა გაგრა-ვიტ ჯორჯია 2 თბილისი
ამერი 2 თბილისი-კახეთი კახეთი
ოლიმპიკი თბილისი-დინამო 2 თბილისი

დასავლეთი

18.08 შაბათი

მეშახტე ტყიბული-კოლხეთი ხობი 3:1
მერანი მარტვილი-უნივერსიტეტი ქუთაისი 1:1
სამტრედია სამტრედია-კოლხეთი ფოთი 1:2

19.08 კვირა

ტორპედო ქუთაისი-მაღაროელი ჭიათურა 2:2

20.08. ორშაბათი

ფაზისი რაჭა-ზესტაფონი 2 ზესტაფონი

**II ტური**

აღმოსავლეთი

24.08 პარასკევი

ჩიხურა-ოლიმპიკი
მეშაძრე-გაგრა

26.08 კვირა

კახეთი-ოლიმპი 2
ნ. დინამო/მერანი 2-დინამო 2
ვიტ ჯორჯია 2-ამერი 2

დასავლეთი

23.08 ხუთშაბათი

კოლხეთი ხ-კოლხეთი ფ
უნივერსიტეტი-სამტრედია

24.08 პარასკევი

ზესტაფონი 2-მერანი
მაღაროელი-ფაზისი
მეშახტე-ტორპედო

**III ტური**

აღმოსავლეთი

03.09 ორშაბათი

გაგრა-ნ. დინამო/მერანი 2
ამერი 2-მეშაძრე
დინამო 2-ჩიხურა

04.09 სამშაბათი

ოლიმპი 2-ვიტ ჯორჯია 2
ოლიმპიკი-კახეთი

დასავლეთი

02.09 კვირა

ტორპედო-კოლხეთი
ფაზისი-მეშახტე
სამტრედია-ზესტაფონი 2
კოლხეთი ფ-უნივერსიტეტი

03.09 ორშაბათი

მერანი-მაღაროელი

**IV ტური**

აღმოსავლეთი

09.09 კვირა

ნ. დინამო/მერანი 2-ჩიხურა
გაგრა-ამერი 2
ვიტ ჯორჯია 2-ოლიმპიკი
მეშაძრე-ოლიმპი 2

10.09 ორშაბათი

კახეთი-დინამო 2

დასავლეთი

10.09 ორშაბათი

კოლხეთი ხ-უნივერსიტეტი
ზესტაფონი 2-კოლხეთი ფ
მაღაროელი-სამტრედია
მეშახტე-მერანი
ტორპედო-ფაზისი

**V ტური**

აღმოსავლეთი

15.09 შაბათი

ოლიმპი 2-გაგრა
ოლიმპიკი-მეშაძრე
ჩიხურა-კახეთი

16.09 კვირა

ამერი 2-ნ. დინამო/მერანი 2
დინამო 2-ვიტ ჯორჯია 2

დასავლეთი

15.09 შაბათი

კოლხეთი ფ-მაღაროელი
მერანი-ტორპედო

16.09 კვირა

სამტრედია-მეშახტე
უნივერსიტეტი-ზესტაფონი 2

**VI ტური**

აღმოსავლეთი

24.09 ორშაბათი

ნ. დინამო/მერანი 2-კახეთი
ვიტ ჯორჯია 2-ჩიხურა
მეშაძრე-დინამო 2
გაგრა-ოლიმპიკი
ამერი 2-ოლიმპი 2

დასავლეთი

24.09 ორშაბათი

კოლხეთი ხ-ზესტაფონი 2
მაღაროელი-უნივერსიტეტი
მეშახტე-კოლხეთი ფ
ტორპედო-სამტრედია
ფაზისი-მერანი

**VII ტური**

აღმოსავლეთი

29.09 შაბათი

კახეთი-ვიტ ჯორჯია 2
ჩიხურა-მეშაძრე

30.09 კვირა

ოლიმპი 2-ნ. დინამო/მერანი 2
ოლიმპიკი-ამერი 2
დინამო 2-გაგრა

დასავლეთი

29.09 შაბათი

კოლხეთი-ტორპედო
ზესტაფონი 2-მაღაროელი

30.09 კვირა

მერანი-კოლხეთი ხ
სამტრედია-ფაზისი
უნივერსიტეტი-მეშახტე

**VIII ტური**

აღმოსავლეთი

08.10 ორშაბათი

ნ.დინ/მერანი 2-ვიტ ჯორჯია 2
მეშაძრე-კახეთი
გაგრა-ჩიხურა
ამერი 2-დინამო 2

09.10 სამშაბათი

ოლიმპი 2-ოლიმპიკი

დასავლეთი

07.10 კვირა

ტორპედო-უნივერსიტეტი
ფაზისი-კოლხეთი ფ
მერანი-სამტრედია

08.10 ორშაბათი

კოლხეთი ხ-მაღაროელი
მეშახტე-ზესტაფონი 2

**IX ტური**

აღმოსავლეთი

15.10 ორშაბათი

ოლიმპიკი-ნ.დინამო/მერანი 2
დინამო 2-ოლიმპი 2
ჩიხურა-ამერი 2
კახეთი-გაგრა
ვიტ ჯორჯია 2-მეშაძრე

დასავლეთი

15.10 ორშაბათი

სამტრედია-კოლხეთი ხ
კოლხეთი ფ-მერანი
უნივერსიტეტი-ფაზისი
ზესტაფონი 2-ტორპედო
მაღაროელი-მეშახტე

II წრე

**X ტური**

აღმოსავლეთი

19.10 პარასკევი

ნ.დინამო/მერანი 2-მეშაძრე
ჩიხურა-ოლიმპი 2

21.10 კვირა

ვიტ ჯორჯია 2-გაგრა
კახეთი-ამერი 2
დინამო 2-ოლიმპიკი

დასავლეთი

19.10 პარასკევი

ზესტაფონი 2-ფაზისი
კოლხეთი ხ-მეშახტე

21.10 კვირა

მაღაროელი-ტორპედო
უნივერსიტეტი-მერანი
კოლხეთი ფ-სამტრედია

**XI ტური**

აღმოსავლეთი

28.10 კვირა

ოლიმპიკი-ჩიხურა

29.10 ორშაბათი

ოლიმპი 2-კახეთი
ამერი 2-ვიტ ჯორჯია 2
გაგრა-მეშაძრე

30.10 სამშაბათი

დინამო 2-ნ.დინამო/მერანი 2

დასავლეთი

28.10 კვირა

კოლხეთი ფ-კოლხეთი ხ
ფაზისი-მაღაროელი

29.10 ორშაბათი

ტორპედო-მეშახტე
მერანი-ზესტაფონი 2
სამტრედია-უნივერსიტეტი

**XII ტური**

აღმოსავლეთი

08.11 ხუთშაბათი

ვიტ ჯორჯია 2-ოლიმპი 2
ჩიხურა-დინამო 2

09.11 პარასკევი

ნ.დინამო/მერანი 2-გაგრა
მეშაძრე-ამერი 2
კახეთი-ოლიმპიკი

დასავლეთი

08.11 ხუთშაბათი

მეშახტე-ფაზისი
ზესტაფონი 2-სამტრედია

09.11 პარასკევი

კოლხეთი ხ-ტორპედო
მაღაროელი-მერანი
უნივერსიტეტი-კოლხეთი

**XIII ტური**

აღმოსავლეთი

13.11 სამშაბათი

ოლიმპიკი-ვიტ ჯორჯია 2
ამერი 2-გაგრა

14.11 ოთხშაბათი

ჩიხურა-ნ.დინამო/მერანი 2
დინამო 2-კახეთი
ოლიმპი 2-მეშაძრე

დასავლეთი

13.11 სამშაბათი

უნივერსიტეტი-კოლხეთი ხ
კოლხეთი ფ-ზესტაფონი 2
სამტრედია-მაღაროელი
მერანი-მეშახტე
ფაზისი რაჭა-ტორპედო

**XIV ტური**

აღმოსავლეთი

18.11 კვირა

ნ.დინამო/მერანი 2-ამერი 2
გაგრა-ოლიმპი 2
მეშაძრე-ოლიმპიკი
ვიტ ჯორჯია 2-დინამო 2
კახეთი-ჩიხურა

დასავლეთი

18.11 კვირა

კოლხეთი ხ-ფაზისი
ტორპედო-მერანი
მეშახტე-სამტრედია
მაღაროელი-კოლხეთი
ზესტაფონი 2-უნივერსიტეტი

**XV ტური**

აღმოსავლეთი

24.11 შაბათი

კახეთი-ნ.დინამო/მერანი 2
ოლიმპიკი-გაგრა

25.11 კვირა

ჩიხურა-ვიტ ჯორჯია 2
დინამო 2-მეშაძრე
ოლიმპი 2-ამერი 2

დასავლეთი

24.11 შაბათი

უნივერსიტეტი-მაღაროელი
კოლხეთი ფ-მეშახტე

25.11 კვირა

სამტრედია-ტორპედო
ზესტაფონი 2-კოლხეთი ხ
მერანი-ფაზისი

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



# მარცვალაძის საგოლე შიმშილი დასრულდა


შალკელები დერბიში გამარჯვებას ზეიმობენ

რაც ლეგიონერია, ოთარ მარცვალაძემ პირველად შეარხია მეტოქის კარის ბადე. ბუნდესლიგაში საგოლე პასით გამოიჩინა თავი ლევან კობიაშვილმა, რომელმაც გერმანული მედიისგან მაღალი შეფასება მიიღო. რუსეთში კი მალხაზ ასათიანმა კარგად თამაშიც მოასწრო და ჩხუბიც. უკრაინაში საქართველოს ნაკრების გოლკიპერ გიორგი ლომაიას და მცველ კახა ალადაშვილს ძალზე ცუდი დებიუტი ჰქონდათ.

## გოლს პლუს პასი

გოლი პირველ ტურში, საგოლე პასი მეორეში - **ლევან კობიაშვილს** ბუნდესლიგაში ურიგო სტარტი არ გამოუვიდა, არადა, თითქოს, სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრის პრობლემა უნდა ჰქონოდა. ლევანის "შალკემ" შინ 4:1 გაანადგურა დორტმუნდის ბორუსია", ქართველმა ლეგიონერმა კი 90 წუთი ითამაშა. ბოლო, მეოთხე გოლი მატჩის 78-ე წუთზე **კევინ კურანიმ** ხუთი მეტრი მანძილიდან კობიაშვილის ჩაწოდების შემდეგ გაიტანა. "შპორტალმა" ლევან კობიაშვილს ორიანი დაუწერა, უკეთესი შეფასება მხოლოდ **პანდერს** დაუწერეს (1,5). **ალექსანდრე იაშვილმა** "ჰანოვერთან" წაგებულ მატჩში 12 წუთი ითამაშა, თუმცა ამის შესახებ შაბათის ნომერში უკვე მოგახსენეთ.

მეორე ბუნდესლიგას სათავეში **მათე ღვინიანიძის** "მიუნხენი" მოექცა, ორი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმითა და ბურთების შესაშური შეფარდებით, 9:3, "ლომები" ლიდერობენ. მათემ "კაიზერსლაუტერნთან" მატჩში შეუცვლელად ითამაშა. "ალიანს არენაზე" მატჩს 40 ათასი მაყურებელი დაესწრო. "კარლ ცაისი" შინ 0:1 დამარცხდა "ზანკტ პაულისთან". **ილია კანდელაკმა** შეუცვლელად ითამაშა, **გიორგი ონიანი** კი ამჯერად სათადარიგოთა სკამზეც არ ყოფილა. "შპორტალმა" ქართველებს ცუდი შეფასებები დაუწერა, 4 - ღვინიანიძეს, 4,5 - კანდელაკს.

## ზურას პრობლემა

ინგლისის პრემიერლიგაში მესამე ტური მიილია, მაგრამ ერთადერთი ქართველი **ზურაბ ხიზანიშვილი** არსად ჩანს, "ბლექბერნის" ქართველი მცველი ჯერ ერთხელაც არ მოხვედრილა გუნდის სამატჩო განაცხადში. როგორც ჩანს, მისი პრობლემა საკმაოდ სერიოზული ხასიათისაა.

დანიაში სეზონში პირველი გამარჯვება იზეიმა **გიორგი ფოფხაძის** "ვიბორგმა", რომელმაც შინ "ჰორსენსი" დაამარცხა - 2:1. სამწუხაროდ, ჩვენი თანამემამულე კვლავ სათადარიგო იყო.

ავსტრიის მეორე ბუნდესლიგას **მირზა ბჟალავას** "ავსტრია" ლიდერობს, ლუშტენაუს კლუბი ხუთი ტურის შემდეგ 13 ქულით პირველია. ბოლო ტურში ტრავმირებულ ქართველს არ უთამაშია, ისე მან ხუთიდან სამ შეხვედრაში ითამაშა. ავსტრიული წყაროების ცნობით ბჟალავა უახლოეს ხანებში ვერ გამოჯანმრთელდება. შვეიცარიაში არ უთამაშია **სანდრო იაშვილს**.

## ასათიანმა იჩხუბა

**დავით მუჯირის** "კრილია სოვეტოვის" კრიზისი სახეზეა, გუნდს ვერც **ალექსანდრ ტარხანოვის** დანიშვნამ უშველა, სამარელები "ამკართან" 1:4 შერცხვნენ. მუჯირი შესვენების მერე გამოჩნდა **სკვერნიუკის** ნაცვლად (1:2-ზე). მატჩის შემდეგ ტარხანოვმა აღნიშნა, რომ ქართველი ტრავმის შემდეგ ჯერ არ არის სათანადო ფორმაში. სულ ახლახან "კრილია" რუსული პრემიერლიგის თავში იყო, ახლა კი გასავარდნ ზონას მხოლოდ ორი ქულით უსწრებს. "ლუჩის" შემადგენლობაში არ უთამაშია **ლევან გვაზავას**, ხოლო "სატურნში" - ჯერაც ტრავმირებულ **გოგიტა გოგუას**. ნალჩიკის "სპარტაკი" შინ დაუზავდა "ხიმკის", **ალექსანდრე ამისულაშვილმა** ტრადიციულად შეუცვლელად ითამაშა. ქართველი ლეგიონერი ერთ-ერთი იშვიათთაგანია, რომელმაც ყველა მატჩში შეუცვლელად ითამაშა.

გუშინ **მალხაზ ასათიანის** "ლოკომოტივმა" დერბიში "მოსკვა" დაამარცხა, ქართველმა შეუცვლელად ითამაშა, თუმცა უფრო საინტერესო თამაშამდე მოხდა - "ლოკომოტივის" გასახდელში მალხაზი თანაგუნდელ **ბრონისლავ ივანოვიჩს** ეჩხუბა. ინციდენტი შემდეგაც გაგრძელდა, როგორც "გაზეტა" იტყობინება, შესვენებაზე ასათიანმა ბოთლი ესროლა ივანოვიჩს და ჩხუბი კიდევ ერთხელ ატყდა. თამაშით კი ქართველმა ძალიან კარგად და უშეცდომოდ ითამაშა.

## გოლთა წვიმა ლომაიას კარში

2005 წლის შემდეგ პირველი გოლი გაიტანა ქართველმა ფორვარდმა **ოთარ მარცვალაძემ**, თუკი კიევის "დინამოს" დუბლებში გატანილ გოლს არ ჩავთვლით. წინა ტურში 0:7 განადგურებულმა "ზაკარპატიემ" შინ 2:0 მოუგო "ჩერნომორეცს". მატჩის უკანასკნელ წუთზე ოთარი მეკარესთან პირისპირ გავიდა და გაიტანა. სამი წუთით ადრე ანალოგიურ სიტუაციაში ქართველ ფორვარდს ბურთი ფეხებში აებლანდა. მატჩის მე-4 წუთზე მარცვალაძემ მსაჯისგან ყვითელი ბარათი მიიღო. ამ შეხვედრაში პირველად მოირგო "ზაკარპატიეს" მაისურა **კახა ალადაშვილმა**, მაგრამ დებიუტი ვერ გამოუვიდა - არადა, თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად აეწყო, ქართველი უჟგოროდელთა ყველა სტანდარტულ დარტყმას ასრულებდა, აქტიურობდა. 84-ე წუთზე იგი მსაჯმა საჯარიმო დარტყმისას ცხრამეტრიანი დისტანციის დარღვევისთვის გააფრთხილა, მსაჯის მიერ დამატებულ მეოთხე წუთზე კი კახამ წითელი ბარათი იხილა.. მსაჯთან შეკამათებისთვის. "ჩერნომორეცის" ძირითად გუნდში ვერ ხვდება **კახა მჟავანაძე**, რომელიც დუბლების ჩემპიონატში თამაშობს.

**ვასილ გიგიაძე** კვლავ უგოლოდაა, გოლი ჯერ მის დებიუტანტ კლუბ "ნეფტიანიკს" საერთოდ არ გაუტანია, ახტირკელებს ქულაც არ მოუპოვებიათ... "მეტალურგთან" მატჩის 57-ე წუთზე გიგიაძის დარტყმული მეკარემ კუთხურზე მოიგერია. ათ წუთში ქართველი ფორვარდი შეცვალეს. ზაპოროჟიელთა შემადგენლობაში **დავით კვირკველია** პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს.

გუშინ **ჯაბა კანკავას** "დნეპრმა" უკრაინის ჩემპიონატში ტრიუმფალური სვლა გააგრძელა, სტუმრად "ზარია" 1:0 დაამარცხა. ჯაბა ტრავმირებულია, მასპინძელთა შორის 72-ე წუთამდე ითამაშა **ლადო ბურდულმა**. **გიორგი ლომაიას** დებიუტს "კარპატიში" ველოდით, თუმცა არა ასეთს - ორ დღეში საქართველოს ნაკრების გოლკიპერმა კიევის "დინამოსგან" 8 გოლი გაუშვა"! ჯერ ამ კლუბის დუბლების შემადგენლობაში, მეორე დღეს კი ძირითად გუნდში. "კარპატი" 0:4 დამარცხდა კიევის "დინამოს" დუბლებთან, გიორგიმაც თავი ვერაფრით გამოიჩინა. სამი გოლი საქართველოს ნაკრების გოლკიპერს **ალიევმა** გაუტანა, მეოთხე გოლზე კი ლომაია უხეშად შეცდა, ბურთი მახვილი კუთხიდან გაუშვა. ამის მიუხედავად, გუშინ ლომაია ძირითადი გუნდის განაცხადში ვიხილეთ, თუმცა სათადარიგოთა სკამზე. ძირითადი გუნდების მატჩის 33-ე წუთზე კიეველები 3:2-ს იგებდნენ, სტუმართა მწვრთნელმა მეკარე **მარტიშუკის** შეცდომების გამო მოედანზე ლომაია შეიყვანა, სამწუხაროდ, ქართველმა თამაშის ბოლომდე ოთხი გოლი გაუშვა, მატჩი კი 3:7 დასრულდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სეზ. სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **ინგლისი** | | | | |
| **პრემიერლიგა, II ტური** | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი-არსენალი | 1:1 | არ უთამაშია | 0 თ, 0 გ. |
| **გერმანია** | | | | |
| **ბუნდესლიგა, II ტური** | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე-დორტმუნდი | 4:1 | 90 წუთი, საგოლე პასი | 2 თ, 1 გ. |
| ალექსანდრე იაშვილი | კარლსრუე-ჰანოვერი | 1:2 | 12 წუთი (შეცვლაზე) | 2 თ, 0 გ. |
| **II ბუნდესლიგა, II ტური** | | | | |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენი-კაიზერსლაუტერნი | 3:1 | 90 წუთი | 2 თ, 0 გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი-პადერბორნი | 1:0 | არ უთამაშია | 0 თ, 0 გ. |
| დავით სირაძე | ფრაიბურგი-პადერბორნი | 1:0 | 70 წთ. (შეცვალეს) | 2 თ, 0 გ. |
| ილია კანდელაკი | კარლ ცაისი-სტ. პაული | 0:1 | 90 წუთი | 2 თ, 0 გ. |
| გიორგი ონიანი | კარლ ცაისი-სტ. პაული | 0:1 | არ უთამაშია | 0 თ, 0 გ. |
| გიორგი სეთურიძე | კარლ ცაისი-სტ. პაული | 0:1 | ტრავმა | 0 თ, 0 გ. |
| **რეგიონალლიგა, IV ტური** | | | | |
| მიხეილ საჯაია | როიტლინგენი-ზანდჰაუზენი | 3:1 | არ უთამაშია | 1 თ, 0 გ. |
| **რუსეთი** | | | | |
| **პრემიერლიგა, XXI ტური** | | | | |
| გოგიტა გოგუა | სატურნი-ცსკა | 2:2 | ტრავმა | 10 თ, 0 გ. |
| ნუკრი რევიშვილი | როსტოვი-რუბინი | 1:1 | სათადარიგო | 2 თ, -2 გ. |
| ლაშა სალუქვაძე | როსტოვი-რუბინი | 1:1 | ტრავმა | 6 თ, 0 გ. |
| დავით მუჯირი | ამკარი-კრილია სოვეტოვი | 4:1 | 45წთ. (შეცვლაზე) | 18 თ, 4 გ. |
| მალხაზ ასათიანი | მოსკვა-ლოკომოტივი | 1:2 | 90 წუთი | 8 თ, 0 გ. |
| ალეკო ამისულაშვილი | სპარტაკი ნ.-ხიმკი | 1:1 | 90 წუთი | 20 თ, 2 გ. |
| ლევან გვაზავა | დინამო-ლუჩი | 1:0 | სათადარიგო | 16 თ, 0 გ. |
| **უკრაინა** | | | | |
| **ვიშა ლიგა, V ტური** | | | | |
| დავით კვირკველია | ნეფტიანიკი-მეტალურგი ზ. | 0:1 | 45 წთ. (შეცვალეს) | 6 თ, 0 გ. |
| ირაკლი მოდებაძე | ნეფტიანიკი-მეტალურგი ზ. | 0:1 | არ უთამაშია | 0 თ, 0 გ. |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი-შახტარი | 1:3 | სათადარიგო | 1 თ, 0 გ. |
| ვასილ გიგიაძე | ნეფტიანიკი-მეტალურგი ზ. | 0:1 | 67 წთ. (შეცვალეს) | 6 თ, 0 გ. |
| ლადო ბურდული | ზარია-დნიპრო | 0:1 | 72 წთ. (შეცვალეს) | 6 თ, 0 გ. |
| გიორგი ციმაკურიძე | ზარია-დნიპრო | 0:1 | არ უთამაშია | 0 თ, 0 გ. |
| გიორგი დემეტრაძე | ვორსკლა-არსენალი | 2:1 | 56 წთ. (შეცვალეს) | 6 თ, 2 გ. |
| ოთარ მარცვალაძე | ზაკარპატიე-ჩერნომორეცი | 2:0 | 90 წთ. (შეცვალეს), 1 გ, გააფრთხ. | 4 თ, 1 გ. |
| კახა ალადაშვილი | ზაკარპატიე-ჩერნომორეცი | 2:0 | 90 წუთი, გააძევეს | 1 თ, 0 გ. |
| კახა მჟავანაძე | ზაკარპატიე-ჩერნომორეცი | 2:0 | დუბლები | 0 თ, 0 გ. |
| ჯაბა კანკავა | ზარია-დნიპრო | 0:1 | ტრავმა | 4 თ, 0 გ. |
| გიორგი ლომაია | დინამო-კარპატი | 7:3 | 57 წთ (შეცვლაზე) | 1 თ, -4 გ. |
| **ავსტრია** | | | | |
| **ბუნდესლიგა, VII ტური** | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | რიდი-შტურმი | 5:3 | 90 წუთი | 7 თ, 0 გ. |
| **II ბუნდესლიგა, V ტური** | | | | |
| მირზა ბჟალავა | შვადორფი-ავსტრია ლ. | 1:3 | ტრავმა | 3 თ, 0 გ. |
| **დანია** | | | | |
| **სუპერლიგა, VI ტური** | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ვიბორგი-ჰორსენსი | 2:1 | სათადარიგო | 3 თ, 0 გ. |
| **შვეიცარია** | | | | |
| **სუპერლიგა, VI ტური** | | | | |
| სანდრო იაშვილი | იანგ ბოიზ-თუნი | 0:0 | სათადარიგო | 4 თ, 0 გ. |

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!


გერმანია. ბუნდესლიგა. II ტური

# ასამოა: ვაიდენფელერმა შავი ღორი მიწოდა

## აუფ შალკეზე მწარე რევანში შედგა, ბაიერნმა კი ვერდერი აწამა...



კონფლიქტი ასამოასა და ვაიდენფელერს შორის

ვისთან უნდა გაუჭირდეს „ბაიერნს" მოგება, თუ არა „ვერდერთან"? ვისთან უნდა დამარცხდეს ეს მართლაც გრანდიოზულად დაკომპლექტებული გუნდი თუ არა ბრემენულ კლუბთან? წააგებს კი **ოტმარ ჰიტცფელდის** სამწყსო თუნდაც ერთ თამაშს ამ სეზონში? შაბათის შემდეგ, ამაში ყველას ეჭვი ეპარება. მართალია, „მუსიკოსებს" ძირითადი შემადგენლობის 4 ფეხბურთელი (**ვომე, ფრიტცი, ბოროვსკი, ფრინგსი**) აკლდათ, თუმცა 0:4 მაინც ნამეტანია! მაგრამ ვინც იმას ელოდა, რომ მიუნხენური გიგანტი ბრემენში დაეცემოდა (და უმეტესობა მართლაც ასე ფიქრობდა), სასტიკად შეცდა!. „ბაიერნმა" „ვერდერი", რბილად რომ ვთქვათ, ჯვარს აცვა და სასტიკად შეარცხვინა! როგორც ჩანს, ის დრო, როცა „ვერდერი" რეკორდმაისტერს ამწარებდა, წარსულს ჩაბარდა. ჰიტცფელდი კი, ამაზე უკეთეს სტარტს ნამდვილად ვერ ინატრებდა: 2 თამაში, 2 მოგება, 7 გატანილი და არცერთი გაშვებული გოლი – ეს FCB ყველას შიშის ზარს სცემს!

...და ისევ **ფრანკ რიბერი**! ზედიზედ მეორე თამაშია, ფრანგი ნახევარმცველი „ბაიერნის" ქომაგებს სიხარულის ცრემლებს ალვარლვარებინებს. მიუნხენში ჯერაც არ სჯერათ, რომ ასეთი შესანიშნავი ფეხბურთელი რეკორდმაისტერის საკუთრებაა. რიბერიმ ისევ ღვთიური შთაბეჭდილება დატოვა, მოედანზე ისევ იბატონა და ისევ ალაფრთოვანა ფანები შესანიშნავი ტრიუკებით. მისი გოლი კი, პირველი გოლი ბუნდესლიგაში, გენიალური იყო – მიუხედავად იმისა, რომ რიბერიმ პენალტი გაიტანა. ეს ბიჭი თერთმეტმეტრიანებსაც გრანდიოზულად ურტყამს! ამჯერად მან პენალტი ზუსტად ისე შეასრულა, როგორც გენიალურმა ზიზუმ მუნდიალის ფინალში, როგორც **ფრანჩესკო ტოტიმ** 2000 წლის ევროპის ჩემპიონატზე, ჰოლანდიასთან. თერთმეტმეტრიანი კი, „ბაიერნს" **ლუკა ტონიმ**, ტრადიციულ იტალიურ სტილში, ნახევრად სიმულაციით მოუტანა, როცა **პასანენის** ფეხს თავისი ფეხი მოხდენილად გამოსდო და ლამაზად წაიქცა. **ბეკენბაუერი**: *„ამ პენალტის დანიშვნაც შეიძლებოდა და არდანიშვნაც!"* მოკლედ, ტონიმ ჭკვიანურად იმოქმედა.

*„ვიცოდი, რომ მეკარე აუცილებლად გადახტებოდა. ამიტომაც დავარტყი ასე. მომავალში კი, სხვა რამე უნდა მოვიფიქრო,"* – განაცხადა რიბერიმ პენალტზე. ფრანგზე, რა თქმა უნდა, ჰიცტფელდსაც აბოდებს. *„რიბერი ჩვენი ბედნიერი შემთხვევაა! და ამ სიტყვების გამეორება არასდროს მომბეზრდება!"* – ამბობს ოტმარი. სხვათა შორის, ჰიტცფელდს შაბათამდე, „ვერდერისთვის" ზედიზედ 9 თამაში არ ჰქონდა მოგებული და ეს არასასიამოვნო ტრადიცია შეწყვიტა.

„ბაიერნის" მეორე გოლიც ლამაზი კომბინაციის შედეგი გახლდათ: **ჰამით ალთინთოფის** ფლანგურ გარღვევასა და ჩაწოდებას, ტონი გამოეხმაურა და 9 მეტრიდან გაუტანა **ვიზეს** (იტალიელის მეორე გოლი, მეორე მატჩში). ტონის მეწყვილე **კლოზეს** კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ძალიან ცუდად წაუვიდა საქმე. მართალია, „ვერდერის" მენეჯერმა **კლაუს ალოფსმა** მას თავიდან თაიგული და სამახსოვრო ფოტო გადასცა, მაგრამ ეს ყველაფერი „ვეზერშტადიონის" პუბლიკის გამაყრუებელი სტვენის ფონზე მოხდა – ბრემენელი ფანები მიროს მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში შუა თითებს უჩვენებდნენ და უსტვენდნენ. „ვერდერის" ფეხბურთელები კი (განსაკუთრებით **ნალდო**), სასტიკად ეუხეშებოდნენ. ამიტომაც, მირომ ტრავმა მიიღო და შესვენებაზე შესაცვლელი გახდა.

მესამე გოლი, მოედანზე კლოზეს ნაცვლად შესულმა ალთინთოფმა გაიტანა, რომელიც ასევე ჩინებულ ფორმაშია – თურქმა ტონისგან ჩინებული პასი მიიღო და უძლიერესი დარტყმით, ვიზეს შანსი არ დაუტოვა. ბოლოს კი, კიდევ ერთმა რეზერვისტმა **ანდრეას ოტლმაც** იხეირა, ასევე ულამაზესი გოლით. ბრემენელებმა კი, მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ 2 მომენტი შექმნეს (**სანოგო, პასანენი**). შააფის გუნდის ერთადერთი ნათელი წერტილი, მოლოდინისამებრ **დიეგო** გახლდათ. „ბაიერნზე" საუბარს ვიზეს სიტყვებით დავასრულებთ - თუ მიუნხენელები ასე გააგრძელებენ, მათ ვერავინ შეაჩერებსო, თქვა ბრემენელთა ნირწამხდარმა მეკარემ.

...შურისძიებაც ამას ჰქვია! **ლევან კობიაშვილის** „შალკემ" მოსისხლე მტერ „დორტმუნდზე" ჯავრი იყარა, ნუ იტყვით, ისე! მოგებაცაა და მოგებაც, გელზენკირხენელებმა კი, BVB-ს სულ კუდით ქვა ასროლინეს, რაც მოსალოდნელიც იყო, რადგან ასეთი გააფთრებული „შალკე", როგორიც ეს გუნდი რურის რიგით 130 დერბის წინ იყო, დიდი ხანია, ალარავის უნახავს. მოკლედ, რევანში უნდა შემდგარიყო და შედგა კიდეც.

„ბორუსიისთვის" ამაზე მძიმე დამცირება წარმოუდგენელია – **თომას დოლის** გუნდი ისე თამაშობდა, როგორც მეორე ბუნდესლიგაში დასაქვეითებელი გუნდი და ამიტომაც იყო, „შალკეს" ფანები ერთხმად რომ სკანდირებდნენ სიტყვებს Dortmund 2 Liga. ორი ტურის შემდეგ, BVB ბოლო ადგილზეა – ამაზე უარესი სტარტი „ბორუსიას", ბოლოს, 20 წლის წინათ ჰქონდა. შალკელებმა კი პირიქით, თამაში ჩემპიონურად დაიწყეს, ჩემპიონურად გააგრძელეს და ასევე დაასრულეს. უკვე მეორე წუთზე, **კრისტიან პანდერის** ჩაწოდებას **ბორდონი** გამოეხმაურა, მაგრამ ბურთი ძელს მოარტყა. მეორე ცდაზე კი, პანდერს და ბორდონს ყველაფერი იდეალურად გამოუვიდათ: კრისტიანმა ისევ ჩააწოდა, მარსელომ ბურთს ისევ ურქინა და ამჯერად **ვაიდენფელერის** კარში ჩააჭედა (11). 31-ე წუთზე შესანიშნავმა პანდერმა უკვე თვითონ გაიტანა – იდეალურად შესრულებული საჯარიმო დარტყმით. ნამატჩევს **მირკო სლომკამ** ტყუილად როდი აღნიშნა, საჯარიმო დარტყმები ჩვენი უმთავრესი და საიდუმლო იარაღიაო.

„ბორუსიამ" თამაშში გარდატეხის შეტანა ვერც მეორე ტაიმში მოახერხა. პირიქით, 59-ე წუთზე დოლის ბიჭებმა მესამე გოლი გაუშვეს: **ზლატან ბაირამოვიჩის** ჩაწოდების შემდეგ, ბურთისკენ **ჯერალდ ასამოა** გაფრინდა და ვაიდენფელერი უშანსოდ დატოვა. ასამოამ გოლი ერთობ ულამაზოდ იზეიმა: „დორტმუნდის" ფანების სექტორთან მიიჭრა და საჩვენებელი თითით ყელის გამოჭრის ჟესტი გააკეთა. დიახ, ასამოა ის კაცია, ვისაც შალკელთაგან ყველაზე მეტად სურდა შურისძიება. ასას ეს საქციელი ბეკენბაუერმა არ მოუწონა. კაიზერმა თქვა, ასეთი რამ ნამდვილად არ იყო საჭიროო. მანამდე კი, 51-ე წუთზე, ასამოასა და ვაიდენფელერს შორის შეტაკება მოხდა, რის გამოც „ბორუსიის" მეკარემ და „შალკეს" ფორვარდმა ერთმანეთისთვის სალანძღავი სიტყვები არ დაიშურეს, მაგრამ საქმე ფიზიკურ შეხებამდე არ მისულა. მატჩის შემდეგ, ასამოამ თქვა, ვაიდენფელერმა შავი ღორი მიწოდაო. ეს კი, მოგეხსენებათ, რასიზმია! ამის გამო, შესაძლოა, ვაიდენფელერი მკაცრად დაისაჯოს. თუმცა ასამოამ სიტუაცია თვითონვე განმუხტა – საფინალო სასტვენის შემდეგ ბოდიში მომიხადაო.

*„ვინც მიცნობს, ეცოდინება, რომ რასისტი არ ვარ. შავკანიანები ჩვენს გუნდში თამაშობენ და მათთან იდეალური ურთიერთობა მაქვს... ვაღიარებ, რომ ცუდად მივმართე, რის გამოც ძალიან ვწუხვარ. თვითონაც არ იქცეოდა კარგად,"* – განაცხადა ვაიდენფელერმა.

მართალია, 66-ე წუთზე **ნელსონ ვალდესმა** პრესტიჟის გოლი შეაგდო, მაგრამ „ბორუსიის" შერცხვენა მაინც გაგრძელდა. 78-ე წუთზე, კობიაშვილის პასით, **კურანიმაც** იხეირა. ნამატჩევს BVB-ს კაპიტანმა **კრისტიან ვიორნსმა** გულახდილად თქვა, დორტმუნდში აღარ ჩაგვესვლება, ძალიან სამარცხვინოდ ვითამაშეთო. „შალკემ" კი დაამტკიცა, რომ დიდი შანსია, ამ სეზონში „ბაიერნის" ერთადერთი სერიოზული კონკურენტი იყოს...

ჩემპიონი „შტუტგარტი", ყველასათვის მოულოდნელად, ბერლინში დაეცა. „ჰერტასგან" VFB-ს დამარცხებას არავინ ელოდა და მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში, საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ მოლოდინი გამართლდებოდა, რადგან შვაბები **თომას ჰიტცლშპერგერის** გოლით იგებდნენ. „შტუტგარტს" დედაქალაქში 1991 წლის შემდეგ არ მოეგო და ისე ჩანდა, რომ ეს ტრადიცია უნდა დარღვეულიყო, მაგრამ...

მეორე ტაიმში, "ჰერტას" სამმა ფეხბურთელმა მატჩი შემოატრიალეს: ჯერ **სოფიან ჩაჰედმა** გაათანაბრა, მერე **მალიკ ფათიმ** „ჰერტა" წინ გაიყვანა, ბოლოს კი, **სოლომონ ოკორონკვომ** მესამე გოლიც გაუტანა შვაბურ კლუბს. აღსანიშნავია, რომ სამივე მათგანი „ჰერტას" აღზრდილია. ამ თამაშს მხოლოდ 46 000 მაყურებელი დაესწრო და ვინც სტადიონზე მისვლა იუარა, ძალიან ინანებდა. ცარიელი ადგილების სიჭარბე კი იმით გახლდათ გამოწვეული, რომ ბერლინელებმა პირველ ტურში ამაზრზენი შთაბეჭდილება დატოვეს. *„მეგობრული სალამი მათ, ვისაც არ სჯეროდა, რომ „ჰერტა" ამ თამაშს მოიგებდა! ჩვენ ვიცით, რომ ბევრის მიღწევა შეგვიძლია!"* – განაცხადა ნამატჩევს ფათიმ. სხვათა შორის, ეს გახლდათ ბერლინელთა პირველი საშინაო გამარჯვება ბოლო 6 თვის განმავლობაში – „ჰერტას" ბოლო მოგება საკუთარ მოედანზე, შაბათამდე 3 თებერვლით თარიღდებოდა.

„დუისბურგის" მთავარ მწვრთნელ **რუდი ბომერს** კვირას 50 წელი შეუსრულდა – შეგირდებმა კი, საჩუქარი შაბათსვე გაუკეთეს... ოღონდ, არა ბომერს, არამედ „ვოლფსბურგის" თავკაც **ფელიქს მაგათს**. პირველ ტურში „დორტმუნდის" დამმარცხებელი „დუისბურგი", „ვოლფსბურგმა" მეცხრე ციდან მიწაზე, რეალობაში დააბრუნა: „მგლებმა" ერთი კვირის წინათ განცდილი მარცხისგან სწორი დასკვნები გააკეთეს და 3:1 იმარჯვეს. მატჩის გმირი **მარსელინიო** გახდა – ბრაზილიელის ანგარიშზე გოლი და ორი საგოლე პასია...

### მომდევნო ტური

**24 აგვისტო. ბოხუმი-ჰამბურგი. 25 აგვისტო. შტუტგარტი-დუისბურგი, ბაიერნი-ჰანოვერი, ლევერკუზენი-კარლსრუე, ნიურნბერგი-ვერდერი, ბორუსია (დ)-კოტბუსი, არმინია-ჰერტა. 26 აგვისტო. აინტრახტი-ჰანზა, ვოლფსბურგი-შალკე.**

### კარლსრუე-ჰანოვერი 1:2

**კარლსრუე**: მილერი-3.5, გიორლიტცი-4.5, ეგიმანი-4, ფრანცი-2.5, აიხნერი-3.5, მუტცელი-4.5 (78. ფრაისი), ადუბე-3, ტიმი-4 (78. იაშვილი), ჰაინალი-3.5, კარნელი-3.5 (85. ორაჰოვიჩი), კაპლანი-4.

**ჰანოვერი**: ენკე-3, ჩერუნდოლო-4, კლაინე-3, ფარენჰორსტი-4.5, ჰალფარი-4, ბალიტში-2.5, ლალა-3.5, ლაუთი-4 (87. იანკოვი), ბრუგინკი-3, ჰუშტი-4.5 (61. შტაინერი-4), ჰანკე-2.

**გოლები**: 1:0 ფრანცი (37), 1:1 ჰანკე (55), 1:2 ბალიტში (75).

**გაფრთხილება**: 4-5; **დარტყმა**: 6-10; **კუთხური**: 4-3; **ჯარიმა**: 25-17; **ბურთის ფლობა**: 47%-53%.

**მაყურებელი**: 27 800

### არმინია-აინტრახტი 2:2

| 9. სივასი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 10. მანისა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 11. ოფთასი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 12. ფენერბაჰჩე | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 13. ბურსა | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 14. დენიზლი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 15. ქონია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 16. ანკარა | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| 17. ქასიმფაშა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 18. რიზე | 2 | 0 | 0 | 2 | 0-6 | 0 |

# ავსტრია

VII ტური

| | |
|---|---|
| ალტახი-ავსტრია (კ) | 4:1 |
| ტიროლი-ლინცერი | 1:2 |
| რაპიდი-ზალცბურგი | 1:0 |
| რიდი-შტურმი | 5:3 |
| მატერსბურგი-ავსტრია (ვ) | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ავსტრია (ვ) | 7 | 3 | 4 | 0 | 13-6 | 13 |
| 2. რაპიდი | 7 | 4 | 1 | 2 | 11-6 | 13 |
| 3. ლინცერი | 7 | 4 | 1 | 2 | 8-8 | 13 |
| 4. მატერსბურგი | 7 | 3 | 3 | 1 | 14-10 | 12 |
| 5. ზალცბურგი | 7 | 3 | 2 | 2 | 10-6 | 11 |
| 6. შტურმი | 7 | 2 | 4 | 1 | 14-10 | 10 |
| 7. რიდი | 7 | 3 | 0 | 4 | 12-11 | 9 |
| 8. ალტახი | 7 | 2 | 0 | 5 | 11-17 | 6 |
| 9. ავსტრია (კ) | 7 | 1 | 2 | 4 | 4-14 | 5 |
| 10. ტიროლი | 7 | 0 | 3 | 4 | 7-16 | 3 |

## II დივიზიონი

V ტური

ავსტრია II-პარნდორფი 2:2; შვანენშტადტი-ლეობენი 1:1; ბად ოსი-გრატკორნი 0:0; კაპფენბერგი-ზალცბურგი II 1:1; ლუშტენაუ-კერნტენი 4:0; შვადორფიავსტრია (ლ) 1:3.

# ფინეთი

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| ტამპერე-ტურკუ | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტამპერე | 15 | 10 | 3 | 2 | 25-16 | 33 |
| 2. ჰაკა | 15 | 9 | 3 | 3 | 25-13 | 30 |
| 3. ჰონკა | 17 | 6 | 8 | 3 | 24-19 | 26 |
| 4. ტურკუ | 16 | 8 | 2 | 6 | 26-22 | 26 |
| 5. ინტერი | 18 | 6 | 5 | 7 | 25-19 | 23 |
| 6. ჰიკ | 16 | 4 | 10 | 2 | 22-17 | 22 |
| 7. ლაჰტი | 17 | 6 | 4 | 7 | 25-22 | 22 |
| 8. მიუპა | 16 | 6 | 4 | 6 | 17-19 | 22 |
| 9. კტპ | 17 | 6 | 2 | 9 | 22-24 | 20 |
| 10. იარო | 17 | 5 | 4 | 8 | 20-26 | 19 |
| 11. ვაასა | 17 | 4 | 7 | 6 | 16-27 | 19 |
| 12. ვიიკინგიტი | 16 | 4 | 5 | 7 | 17-21 | 17 |
| 13. მარიეჰამნი | 17 | 3 | 8 | 6 | 15-22 | 17 |
| 14. ოულუ | 16 | 3 | 5 | 8 | 15-27 | 14 |

# ისლანდია

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| ჰკ-ჰაფნარი | 2:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰაფნარი | 13 | 8 | 4 | 1 | 29-17 | 28 |
| 2. ვალური | 13 | 7 | 4 | 2 | 28-16 | 25 |
| 3. აკრანესი | 13 | 6 | 3 | 4 | 26-23 | 21 |
| 4. ფილკირი | 13 | 6 | 3 | 4 | 14-13 | 21 |
| 5. ბრეიდაბლიკი | 13 | 4 | 6 | 3 | 20-11 | 18 |
| 6. კეფლავიკი | 13 | 5 | 3 | 5 | 19-19 | 18 |
| 7. ჰკ | 13 | 4 | 3 | 6 | 15-26 | 15 |
| 8. ვიკინგური | 13 | 3 | 3 | 7 | 12-20 | 12 |
| 9. რეიკიავიკი | 13 | 2 | 4 | 7 | 10-20 | 10 |
| 10. ფრამი | 13 | 2 | 3 | 8 | 15-24 | 9 |

# შვეიცარია

VI ტური

| | |
|---|---|
| არაუ-ლუცერნი | 0:0 |
| სტ. გალენი-ქსამაქსი | 2:1 |
| გრასჰოპერსი-ბაზელი | 2:0 |
| სიონი-ციურიხი | 0:5 |
| იანგ ბოიზი-ტუნი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ციურიხი | 6 | 4 | 1 | 1 | 16-5 | 13 |
| 2. სიონი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-9 | 10 |
| 3. ბაზელი | 6 | 3 | 1 | 2 | 9-10 | 10 |
| 4. იანგ ბოიზი | 6 | 2 | 3 | 1 | 12-9 | 9 |
| 5. ქსამაქსი | 6 | 1 | 4 | 1 | 8-7 | 7 |
| 6. არაუ | 6 | 1 | 4 | 1 | 9-9 | 7 |
| 7. ლუცერნი | 6 | 1 | 4 | 1 | 9-11 | 7 |
| 8. გრასჰოპერს | 6 | 2 | 2 | 2 | 11-9 | 8 |
| 9. ტუნი | 6 | 1 | 2 | 3 | 5-10 | 5 |
| 10. სტ. გალენი | 6 | 1 | 0 | 5 | 4-12 | 3 |

## ჩელენჯლიგა

VI ტური

ვადუცი-სერვეტი 5:1; კონკორდიავინტერტური 2:2; ჩამი-ლუგანო 0:1; ვილენი-ლოკარნო 2:2; იევერდონი-ვილი 1:1; კასო-შაფჰაუზენი 1:1; კრინსი-ფონდსი 3:1; ბელინცონა-გოსაუ 3:1; ლოზანა-დელემონი 1:2.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სერბეთი

II ტური

| | |
|---|---|
| ოფკ-ბორაცი | 2:0 |
| ჩუკარიჩკი-პარტიზანი | 0:3 |
| ნაპრედაკი-ბეჟანია | 1:0 |
| მლადოსტი-ჰაიდუკი | 0:0 |
| ცრვენა ზვეზდა-სმედერევო | 1:0 |
| ბანატი-ვოივოდინა | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პარტიზანი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. ოფკ | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 3. ჰაიდუკი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| 4. ცრ. ზვეზდა | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 5. ნაპრედაკი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 6. მლადოსტი | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| 7. ბანატი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 8. ვოივოდინა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 9. სმედერევო | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 10. ჩუკარიჩკი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| 11. ბეჟანია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 12. ბორაცი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

## ბრაზილია

XX ტური

| | |
|---|---|
| ატ.პარანაენსე-ფიგეირენსე | 1:1 |
| გრემიო-პარანა | 2:0 |
| სანტოსი-რესიფე | 2:0 |
| ვასკო და გამა-ამერიკა | 2:0 |
| ჟუვენტუდე-კორინთიანსი | 2:2 |
| ნაუტიკო-ატ. მინეირო | 0:1 |
| პალმეირასი-ფლამენგო | 2:1 |

## მექსიკა

III ტური

| | |
|---|---|
| ტეკოსი-ატლანტე | 0:3 |
| ხაგუარესი-მონტერეი | 0:0 |
| სან ლუისი-კრუს ასული | 3:1 |
| ტიგრესი-ტოლუკა | 0:1 |
| ატლასი-პაჩუკა | 0:1 |
| პუმასი-ამერიკა | 1:1 |

## ჩილე

V ტური

| | |
|---|---|
| ო'ჰიგინსი-ლა სერენა | 1:0 |
| უნ. კატოლიკა-ნუბლენსე | 3:0 |
| უნ. კონსეპსიონი-პუერტო მონტი | 2:0 |
| უნ. ჩილე-დ. კონსეპსიონი | 5:2 |
| ევერტონი-ანტოფაგასტა | 0:1 |
| მელიპილია-ლოტა | 0:0 |
| უაჩიპატო-პალესტინო | 2:1 |
| კობრელოა-კობრესალი | 2:2 |
| კოკიმბო-სანტიაგო | 0:3 |

## ურუგვაი

II ტური

| | |
|---|---|
| დეფენსორი-რამპლა | 2:1 |
| უონდერერსი-ტაკუარემბო | 1:1 |
| რივერ პლეიტი-ლივერპული | 3:2 |
| ბელა ვისტა-სერო | 0:3 |
| ხუვენტუდი-დანუბიო | 0:1 |
| ფენიქსი-ნასიონალი | 1:1 |
| მირამარი-პროგრესო | შეწყდა |

## იაპონია

XXI ტური

| | |
|---|---|
| ჰიროშიმა-ოიტა | 2:0 |
| ტოკიო-კაშივა | 0:1 |
| კოფუ-ურავა | 1:4 |
| ნაგოია-იოკოჰამა მარინოსი | 0:3 |
| იჩიჰარა-ივატა | 3:2 |
| შიმიცუ-კავასაკი | 3:1 |
| იოკოჰამა-გამბა | 1:1 |
| ომიია-კაშიმა | 1:2 |
| კობე-ნიიგატა | 0:1 |

## აშშ

XX ტური

| | |
|---|---|
| ტორონტო-ჩივასი | 0:2 |
| კოლამბუსი-დი სი იუნაიტედი | 0:2 |
| ნიუ იორკი-ლოს ანჯელესი | 5:4 |
| სოლტ ლეიკი-ჩიკაგო | 0:2 |

## ნორვეგია

II დივიზიონი

XIX ტური

| | |
|---|---|
| სოგნდალი-ლოვ ჰამი | 0:2 |
| სპარტა-ბრინი | 3:3 |
| ჰამარი-ტრომსდალენი | 5:0 |
| ჰონეფოსი-მოლდე | 0:3 |
| მოსი-რაუფოსი | 2:0 |
| ნოტოდენი-კონგსვინგერი | 0:3 |
| სკეიდი-ბოდო გლიმტი | 1:0 |

## ნორვეგიის თასი

1/4 ფინალი

| | |
|---|---|
| ჰაუგესუნდი-ნიბერგსუნდი | 6:1 |
| ოდ გრენლანდი-ვიკინგი | 2:1 |
| სტრომსგოდსეტი-სტაბეკი | 2:4 დ.დ. |
| ლინი-ლილესტრომი | 0:1 |

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ვალენსია-პარმა | 0:2 |
| ბილბაო-ფიორენტინა | 3:0 |
| ვილიარეალი-ლივორნო | 2:2 |
| ტორინო-პენიაროლი | 0:0 |
| ოლიმპიაკოსი-ლევანტე | 4:0 |
| პალერმო-სარაგოსა | 4:2 |

## მსოფლიო ჩემპიონატი

UNDER 17

| | |
|---|---|
| ჩრ. კორეა-ინგლისი | 1:1 |
| ბრაზილია-ახ. ზელანდია | 7:0 |
| კოსტა რიკა-ტოგო | 1:1 |
| ს. კორეა-პერუ | 0:1 |
| ნიგერია-საფრანგეთი | 2:1 |
| ჰონდურასი-ესპანეთი | 2:4 |
| არგენტინა-სირია | 0:0 |
| იაპონია-ჰაიტი | 3:1 |

იუვენტუსი

# რეკობა ტურინში?

## დელ პიერომ კონტრაქტი ერთი წლის გააგრძელა

"იუვენტუსი" **ალვარო რეკობათი** დაინტერესდა. ტურინელთა სპორტული დირექტორი **ალესიო სეკო** ფეხბურთელის აგენტ **პაკო კასალს** შეხვდა. კასალი "იუვეს" ურუგვაელი ლეგიონერების, **მარსელო სალაიეტასა** და **რუბენ ოლივერას** ადვოკატიცაა. მისი და სეკოს საუბარი ამ ფეხბურთელების მომავალს ეხებოდა. კასალმა ინტერელი ვარსკვლავის გვარი ახსენა. სეკომ კი არ დამალა, რომ რეკობა საინტერესო კანდიდატია. ინფორმაცია რეკობას შესაძლო ტრანსფერის შესახებ "გაძეტა დელო სპორტმა" გაავრცელა. მას უმალ გამოეხმაურა "ინტერის" პრეზიდენტი **მასიმო მორატი**. "ნერაძურის" ბოსმა რეკობას ტურინში გადასვლა კატეგორიულად გამორიცხა: *"ვიცი, რომ "იუვენტუსის" ხელმძღვანელები ალვაროს აგენტს შეხვდნენ. წარმოდგენა არ მაქვს, რაზე ისაუბრეს, მაგრამ რეკობა რომ "იუვენტუსში" არ გადავა, ეს დაზუსტებით შემიძლია, მოგახსენოთ."*

აგვისტოს ფანჯრის დახურვამდე "ქალბატონს" ორი ფეხბურთელის, **მარსელო სალაიეტასა** და **ჟან ალენ ბუმსონგის** გაყიდვა უნდა. იტალიური სააგენტოების ცნობით, სალაიეტას "ნაპოლი" ეპატიჟება. მაგრამ ნეაპოლელები ვერ გადაიხდიან იმ ხელფასს, რასაც ფეხბურთელი "იუვენტუსში" იღებს. გარიგება მხოლოდ იმ შემთხვევაში შედგება, თუ მარსელო დაბალ ხელფასს დათანხმდება. სალაიეტა მისთვის წამგებიანი კონტრაქტის გაფორმებას არ აპირებს.

ამასობაში, ბუმსონგს "ვალენსიაში" უხმეს. ესპანურ კლუბთან მოლაპარაკებები ალესიო სეკომაც დაადასტურა. მაგრამ ფრანგი მცველი ჩემოდნების ჩალაგებას არ ჩქარობს. ფინანსური პირობები მასაც არ აკმაყოფილებს. ჟან ალენი ამბობს, 99 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ სეზონსაც ტურინში გავატარებო.

და ბოლოს, "ქალბატონმა" ახალი კონტრაქტი გაუფორმა **ალესანდრო დელ პიეროს**. ხელშეკრულება ერთწლიანია, თუმცა პრეზიდენტმა **ჯოვანი კობოლი ჯილიმ** განაცხადა, რომ მხარეები ამ ერთი წლის განმავლობაში მოლაპარაკებებს გააგრძელებენ და უფრო ხანგრძლივ, მაგრამ ოპტიმალურ კონტრაქტზე შეთანხმდებიან. ალეს ბანაკს ახალ ხელშეკრულებაზე კომენტარი არ გაუკეთებია.



ალვარო რეკობა

რეალი

# ემერსონი მილანში არ გადავა

## სევილიამ მადრიდელებს დანიელ ალვეში თვითონ შესთავაზა...

**ემერსონი** "მილანში" არ გადავა. მადრიდის "რეალთან" შეთანხმება მიღწეული იყო. კლუბები ფეხბურთელის ერთწლიან იჯარაზე შეთანხმდნენ. "როსონერის" ემერსონის სატრანსფერო უფლებები გაისად, ზაფხულში უნდა გამოესყიდა, მაგრამ მოულოდნელად სამეფო კლუბმა ახალი პირობები წამოუყენა. მან დაუყოვნებლივ მოითხოვა 12 მილიონი ევრო, "მილანმა" კი უკან დაიხია. იტალიური სააგენტოების ცნობით, ამის მიზეზი "ინტერის" დაინტერესება გახლდათ. "რეალმა" მილანურ გრანდებს შორის აუქციონის გამართვა მოისურვა, "როსონერი" კი თამაშიდან გავიდა. უცნობია, გაგრძელდება თუ არა მოლაპარაკებები. ემერსონი ჯერჯერობით, ისე მადრიდელთა განკარგულებაშია.

"სევილიამ" ჩელსის **დანიელ ალვეში** 24 მილიონ გირვანქადაც (37 მილიონი ევრო) კი არ მიჰყიდა. ახლა კი ირკვევა, რომ ანდალუსიელებმა "რეალს" თავად შესთავაზეს ბრაზილიელი მცველის დათმობა. "სევილიას" იმედი აქვს, რომ ალვეშის ორ თანამემამულეს, ფორვარდ **ჟულიო ბაპტიშტასა** და მცველ **სისინიოს** მიიღებს, ამას გარდა, 25 მილიონ ევროსაც მიუთვლიან. სისინიოს "რომა" ეპატიჟება. მადრიდელები 10 მილიონ ევროს ითხოვენ, რომაელებს 9 მილიონზე მეტის გადახდა არ სურთ. თუ სამეფო კლუბი "სევილიასთან" საერთო ენას გამონახავს, სისინიო "სანჩეს პისხუანზე" აღმოჩნდება. "რეალის" თავკაცმა **ბერნდ შუსტერმა** ალვეშს მრავალმხრივი და საჭირო ფეხბურთელი უწოდა. გაზეთი "მარკა" ადასტურებს ინფორმაციას "სევილიისა" და "რეალის" მოლაპარაკებების შესახებ. ცნობისთვის, გუშინ ეს კლუბები ესპანეთის სუპერთასის განმეორებით მატჩს მართავდნენ.

ჰამბურგი

# ვან დერ ვაარტი ვალენსიის მაისურით

## HSV-ს ფანები განრისხდნენ: ეს უკვე აუტანელია!

თუ „ჰამბურგის" ფანები ფიქრობდნენ, რომ **რაფაელ ვან დერ ვაარტის** სკანდალში არაფერი მოხდებოდა იმაზე უარესი, რაც გასულ კვირაში მოხდა, სასტიკად შეცდნენ. შაბათს ესპანურმა as-მა, ჰოლანდიელი ნახევარმცველის ინტერვიუ გამოაქვეყნა. რაფაელი ფოტორეპორტიორის წინ „ვალენსიის" მაისურით პოზირებს!

*„იმედი მაქვს, ამ მაისურს მალე მოვირგებ. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ „ვალენსიის" ფეხბურთელი გავხდე. მჯერა, პირველ სექტემბერს „მესტალიაზე" ვიქნები,"* – აცხადებს ჰოლანდიელი ხსენებულ ინტერვიუში.

ამ ფაქტმა ჰამბურგის ფანები კიდევ უფრო მეტად გაალიაზანა. ისინი ფიქრობენ, რომ კაპიტნის ასეთი საქციელი აუტანელია და მისი გუნდში გაჩერება აღარ შეიძლება. HSV-ს ქომაგთა მრავალრიცხოვანი არმიისთვის ვან დერ ვაარტი პირნავარდნილ მოღალატედ იქცა.

### საბერძნეთი ესპანეთთან ზაგორაკისს გააცილებს

22 აგვისტოს ევროპის ჩემპიონი საბერძნეთი თესალონიკში ესპანეთთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. **ოტო რეჰაგელმა** მხოლოდ ერთ დებიუტანტს უხმო – "პანიონიოსის" მცველ **ნიკოს სპიროპულოსს**. ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ ბოლტონელი **სტელიოს იანაკოპულოსი** და აინტრახტელი **იოანის ამანატიდისი**. ამ დღეს ბერძნების კაპიტან **თეოდოროს ზაგორაკისს** გააცილებენ. თესალონიკი პაოკის ქალაქია, ზაგორაკისი კი ამ კლუბის პრეზიდენტად მოღვაწეობს. საბერძნეთის ნაკრების შემადგენლობა ასეთია:

**მეკარეები** – ანტონის ნიკოპოლიდისი (ოლიმპიაკოსი), კოსტას ხალკიასი (არისი);

**მცველები** – გურკას სეიტარიდისი (ატლეტიკო), სოტირიოს კირიაკოსი (აინტრახტი), ტრაიანოს დელასი (აეკ), ნიკოს სპიროპულოსი (პანიონიოსი), ლუკას ვინტრა (პანათინაიკოსი), იოანის გუმასი (პანათინაიკოსი), მიხალის კაპსისი (აპოელ), ვასილის ტოროსიდისი (ოლიმპიაკოსი), პარასკევას ანცასი (ოლიმპიაკოსი), ხრისტოს პაცაცოგლუ (ოლიმპიაკოსი);

**ნახევარმცველები** – ანგელოს ბასინასი (მალიორკა), ალექსანდროს ციოლისი (პანათინაიკოსი), გეორგიოს კარაგუნისი (პანათინაიკოსი), კოსტას კაცურანისი (ბენფიკა);

**თავდამსხმელები** – დიმიტრიოს სალპიგიდისი (პანათინაიკოსი), დიმიტრიოს პაპადოპულოსი (პანათინაიკოსი), ანგელოს ხარისტეასი (ნიურნბერგი), ნიკოს ლიბეროპულოსი (აეკ), ფანის გეკასი (ლევერკუზენი), გეორგიოს სამარასი (მანჩესტერ სიტი).

### გერმანიას კლოზე, შვაინი და ხედირა დაუშავდნენ

ბუნდესლიგის მეორე ტურმა გერმანელთა თავკაცი **იოახიმ ლიოვი** ძალიან დაამწუხრა. მიზეზი ისაა, რომ **ბასტიან შვაინშტაიგერი**, **სამი ხედირა** და **მიროსლავ კლოზე** დაშავდნენ. ესე იგი, ოთხშაბათს „უემბლიზე" ინგლისთან ამხანაგურ მატჩს დააკლდებიან. იოგი სამი დაშავებული ფეხბურთელის შემცვლელს დღეს დაასახელებს.

### ბექჰემი: პირველად 1980 წლის შემდეგ

**დევიდ ბექჰემმა** "ლოს ანჯელეს გალაქსის" შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშა. MLS-ის მორიგ ტურში კალიფორნიელები ნიუ იორკის "რედ ბულს" ესტუმრნენ. თამაშს "ჯაიანთს სთედიუმმა" უმასპინძლა და ამერიკული საფეხბურთო ლიგისთვის უპრეცენდენტოდ ბევრი მაყურებელი მიიზიდა. 66 237 ფანმა სტადიონი თითქმის პირთამდე შეავსო. ამერიკაში საკლუბო სოკერის მატჩს ამდენი ხალხი 1980 წლის შემდეგ არ დასწრებია. საკლუბო სოკერს საგანგებოდ იმიტომ აღვნიშნავთ, რომ 1994 წლის მუნდიალი, რომელიც ამერიკაში გაიმართა, დასწრების მხრივ დღემდე სარეკორდოდ რჩება. "გალაქსისა" და "რედ ბულის" ფეხბურთელებს თავი არ დაუზოგავთ. დრამატულ შეხვედრაში მასპინძლებმა გაიმარჯვეს, 5:4. ბექჰემს გოლი არ გაუტანია. სამაგიეროდ, სამი საგოლე პასი გააკეთა და ყველაზე გამორჩეული იყო. თამაშის შემდეგ მან ასეთი კომენტარი გააკეთა: *"მსგავს უხვგოლიან მატჩში ბავშვობის შემდეგ არ მიასპარეზია. მაყურებლის სიმრავლე ძალიან მახარებს. თუ ასე გაგრძელდება, ამერიკაში ევროპული ფეხბურთი სწრაფი ტემპით წავა წინ."*

### ინტერმა დეკუ დაადასტურა

"ინტერმა" დაადასტურა, რომ ბარსელონელი **დეკუს** შეძენა სურს. "კორიერე დელო სპორტის" ცნობით, **ფრანკ რიიკაარდმა** ნახევარმცველს ძირითადში თამაშის გარანტია ვერ მისცა. დეკუმ ახალ სამსახურზე დაიწყო ფიქრი. კატალონიელთა თავკაცს მისი შენარჩუნება სურს, მაგრამ თუ დაინტერესებული კლუბები კარგ თანხას გადაიხდიან, ტრანსფერი უპრობლემოდ განხორციელდება. "ნერაძური" **ლუიშ ფიგუს** შემცვლელს ეძებს. პორტუგალიელი გალაქტიკო მილანში კიდევ ერთი წელი დარჩება. მოსალოდნელი გარიგების დეტალები უცნობია. უცნობია ისიც, თუ რა თანხას მოითხოვს "ბარსელონა" ნახევარმცველის სანაცვლოდ.

### არსენალის მეორე ხორვატული შენაძენი?

ზაფხულის ფანჯრის დახურვამდე "არსენალი" კიდევ ერთ ნახევარმცველს შეიძენს. "დეილი მეილის" ცნობით, **არსენ ვენგერმა** ზაგრების დინამოელ **ლუკა მოდრიჩს** დაადგა თვალი. გასულ კვირაში მოდრიჩის აგენტები ლონდონს ეწვივნენ და მოლაპარაკებები გამართეს. "მეთოფეებმა" "დინამოს" ერთი ფეხბურთელი უკვე იყიდეს. ზაგრებულმა კლუბმა თავდამსხმელ **ედუარდო და სილვას** სანაცვლოდ 10 მილიონიგირვანქა მიითვალა. და სილვამ **ტიერი ანრი** უნდა შეცვალოს. მოდრიჩის ტრანსფერის დეტალები უცნობია.

### მონაკო: რომა ისვენებს, კოლერი მიდის?

"მონაკოს" მეკარე **ფლავიო რომა** ხუთი კვირა ვერ ითამაშებს. იტალიელი გოლკიპერი "მეცთან" ბოლოსწინა ტურში დაშავდა. ამიტომ "სოშოსთან" შაბათის მატჩი (3:0) გამოტოვა. პრინსიპატელებს კიდევ ორი ნახევარმცველი – **კამელ მერიემი** და **ლუკას ბერნარდი** ჰყავთ ტრავმირებული. ვეტერანი ჩეხი თავდამსხმელი **იან კოლერი** კი ახალ სამსახურს ეძებს. 34 წლის ფეხბურთელს ინგლისში ტრანსფერს უწინასწარმეტყველებენ. "სქაი სპორტსის" ცნობით, მან "ფულჰემის" ყურადღება მიიპყრო. კოლერს თურქული "ფენერბაჰჩეც" ეპატიჟება. ფორვარდს გული ალბიონისაკენ მიუწევს.

### ლივორნო ამელიას სიტის უთმობს

"ლივორნო" ადასტურებს, რომ "მანჩესტერ სიტის" მეკარე **მარკო ამელიას** შეძენა სურს. იტალიელები ინგლისელ ემისრებს ელოდებიან, რათა ტრანსფერის პირობები შეათანხმონ. ფინანსური დეტალები არ ხმაურდება. ამელიას შეძენა "ლაციოსაც" სურს. "ლივორნოს" პრეზიდენტი **ალდო სპინელი** კი ამბობს, რომ რომაელებმა ძალიან დაიგვიანეს. "ლაციომ" ერთი მეკარე უკვე იყიდა: არგენტინელი **ხუან პაბლო კარისო**. ასე რომ **ანჯელო პერუცის** შეცვლა მას მოუწევს.

### ლივერპული ჯერარდს ნაკრებში არ უშვებს

"ლივერპულს" **სტივ ჯერარდის** ნაკრებში გაშვება არ სურს. "ტულუზთან" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო შეხვედრაში (1:0) ნახევარმცველმა ფეხის თითი მოიტეხა. გუშინ მერსისაიდელებმა "ჩელსის" უმასპინძლეს. სტივი ტკივილგამაყუჩებლის გაკეთებასა და მინდორზე გასვლას აპირებდა. ოთხშაბათს ინგლისი გერმანიას უმასპინძლებს. ჯერარდის თამაში საეჭვოა. ამას ინგლისელთა თავკაცი სტივ მაკლარენიც ადასტურებს, მაგრამ ფეხბურთელს შეკრებაზე ჩასვლას სთხოვს. "ლივერპულს" მიაჩნია, რომ სტივს დასვენება სჭირდება. ამიტომ ნაკრების ხელმძღვანელობასთან საერთო ენის გამონახვას ცდილობს.

### ჰასელბენკმა უელსს მიაშურა

**ჯიმი ჰასელბენკმა** "კარდიფში" სამედიცინო შემოწმება გაიარა. ვეტერანმა ჰოლანდიელმა გასული სეზონი ჩარლტონში გაატარა. ჩარლტონელები პრემიერლიგიდან გავარდნენ, ჰასელბენკს კი კონტრაქტი დაუმთავრდა. ჯიმის "ლესტერიდან" შეეხმიანნენ, მაგრამ გარიგება არ შედგა. უელსელებმა მას უფრო სარფიანი პირობები შესთავაზეს და მანაც ვალიელთა დედაქალაქს მიაშურა. "კარდიფი" ინგლისის პირველ დივიზიონში (ჩემპიონატში) ასპარეზობს.

სერია A. მწვრთნელები

# ვინ იქნება პირველი ხელმოცარული?

**იტალიის ჩემპიონატის დაწყებამდე ექვსი დღე დარჩა. ამასთან დაკავშირებით, BBC-მ საინტერესო გამოკვლევა ჩაატარა - ვინ იქნება პირველი მწვრთნელი, რომელსაც თანამდებობიდან დაითხოვენ? თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთ იტალიურ სეზონში საშუალოდ 8-10 მწვრთნელს უწევს პოსტის ნაადრევად დატოვება (გასულ წელს ამ მხრივ რეკორდი დამყარდა: 14 გადადგომა, რომელიც 9 გუნდს შეეხო), ზოგადად ამ პროცესისადმი ინტერესი აბსოლუტურად გასაგები ხდება. ვნახოთ, როგორ აანალიზებენ ინგლისელი ექსპერტები იტალიელ მწვრთნელთა მომავალს...**



1. ორსი, 2. მანდორლინი, 3. ჯამპაოლო, 4. ბალდინი, 5. დი კარლო, 6. ფიკადენტი

**ლუიჯი დელ ნერი**, ატალანტა (**56 წლის, კონტრაქტი 2008 წლის 30 ივნისამდე, წლიური ხელფასი 340 ათასი გირვანქა**) - მუშაობა დაიწყო ახალ კლუბში, ბოლო დროს განცდილი რამდენიმე იმედგაცრუების შემდეგ. უკანასკნელად, ეს იყო "კიევო", რომელიც სერია B-ში გავარდა. "ატალანტასთვის" კი გასული სეზონი არ იყო იოლი. დამდეგ ჩემპიონატში დელ ნერისთან არ იქნებიან **დონატი, ვენტოლა და ვიერი**. თუმცა მწვრთნელი ჰიპერმოტივირებულია. დელ ნერის აქვს კოზირები, რომლის გამოყენებაც მას ნამდვილად შეუძლია. ყველა წინაპირობაა, რომ ის არ იყოს პირველი მწვრთნელი, რომელსაც სამუშაოს დაატოვებინებენ.

**მარკო ჯამპაოლო**, კალიარი (**39 წლის, კონტრაქტი 2008 წლის 30 ივნისამდე, წლიური ხელფასი 340 ათასი გირვანქა**) - წინა კამპანიიდან გამომდინარე და კონკრეტულად იმის გამო, რომ "კალიარი" სერია A-ში დარჩა, ჯამპაოლო კიდევ ერთ შანსს იმსახურებს. მისი გუნდი ახლა **სუასოს, ესპოზიტოსა** და **ლანჯელას** გარეშეა და, შესაბამისად, მწვრთნელიც სერიოზული რისკის ქვეშაა.

**სილვიო ბალდინი**, კატანია (**48 წლის, კონტრაქტი 2008 წლის 30 ივნისამდე, წლიური ხელფასი 200 ათასი გირვანქა**) - ბალდინი მივიდა გუნდში, რომელსაც შარშანდელი ამბების გამო რეაბილიტაცია სჭირდება. ამან, შეიძლება, მწვრთნელის წისქვილზეც დაასხას წყალი, მაგრამ საკმარისი იქნება ლიგაში დასარჩენად? თუმცა დამატებითი პლუსია სტადიონისთვის დისკვალიფიკაციის მოხსნა.

**ლუიჯი კანი**, ემპოლი (**57 წლის, კონტრაქტი 2008 წლის 30 ივნისამდე, წლიური ხელფასი 270 ათასი გირვანქა**) - შარშანდელი სეზონის შემდეგ, მას ნდობის არნახულად დიდი კრედიტი აქვს. მაგრამ მას შემდეგ, რაც "კალჩოპოლის" სასჯელები მოიხსნა და "იუვეც" დაბრუნდა, ზემოთ "ემპოლის" ადგილი აღარ იქნება. მაგრამ კანიმ გუნდს კარკასი შეუნარჩუნა. მისი მთავარი პრობლემა იქნება **ალმირონის** შეცვლა. უეფას თასზე გუნდი ყოველგვარი წნეხის გარეშე ითამაშებს. იქნებ თუ არა ჯიჯი კანი პირველი განწირული? არა, ის არ იქნება პირველი.

**ჩეზარე პრანდელი**, ფიორენტინა (**49 წლის, კონტრაქტი 2011 წლის 30 ივნისამდე, წლიური ხელფასი 900 ათასი გირვანქა**) - მისი პროექტის არსი ახალგაზრდობაა. ბოლო წლებში მან ბევრი დათესა და დროა, კარგი მოსავალიც აიღოს. თუმცა დღევანდელ "ფიორენტინას" გამოცდილება აკლია. ეს აშკარაა, მაგრამ პრანდელი ამ სეზონს ბოლომდე მიიყვანს...

**ჯან პიერო გასპერინი**, ჯენოა (**49 წლის, კონტრაქტი 2008 წლის 30 ივნისამდე, წლიური ხელფასი 170 ათასი გირვანქა**) - პრეზიდენტ **ენრიკო პრეციოზისთან** მუშაობა ადვილი არ არის. მაგრამ "ჯენოას" სერია A-ში ალზევებით, გასპერინიმ პრეზიდენტის ნდობა დაიმსახურა. ახალ თავგადასავალს ბევრი გამოცანა ახლავს თან, მაგრამ არის იმის ნიშნები, რომ ეს ლამაზი თავგადასავალი კვლავაც გაგრძელდება.

**რობერტო მანჩინი**, ინტერი (**42 წლის, კონტრაქტი 2011 წლის 30 ივნისამდე, წლიური ხელფასი 3 მილიონ 300 ათასი გირვანქა**) - ხელშეუხებელია. მასიმო მორატი ძველებურად აღარ ფიქრობს **ფაბიო კაპელოსა** და **ჟოზე მოურინიოზე**. მანჩინი თავისუფლად მოქმედებდა სატრანსფერო ბაზარზეც, რაც პრეზიდენტის მიერ იყო ვიზირებული და რაც უდიდესი ნდობის ნიშანია. მორატი არ ბრაზობს იმაზეც, რომ მისი "შვილობილი" **ალვარო რეკობა** მანჩინიმ ტრანსფერზე დააყენა. ამით ყველაფერია ნათქვამი.

**კლაუდიო რანიერი**, იუვენტუსი (**55 წლის, კონტრაქტი 2010 წლის 30 ივნისამდე, წლიური ხელფასი 940 ათასი გირვანქა**) - ეს განხილვის საგნადაც არ ღირს. მოვიდა "პარმაში" გატარებული ბრწყინვალე სეზონის შემდეგ. "იუვესგან" ყოველთვის ბევრს ითხოვენ, მაგრამ ამ სეზონში, კონტრაქტის ბოლომდე მისაყვანად, რანიერიმ აუცილებლად უნდა მოიპოვოს ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ბილეთი. მას სჭირდება დრო, და ის იმსახურებს ამ დროს...

**დელიო როსი**, ლაციო (**46 წლის, კონტრაქტი 2008 წლის 30 ივნისამდე, წლიური ხელფასი 400 ათასი გირვანქა**) - "ლაციოში" მან სასწაულები მოახდინა და **კლაუდიო ლოტიტო** ამას კარგად ხედავს. გუნდი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზეა, მაგრამ როსის საერთაშორისო გამოცდილება აკლია. შემადგენლობა რამდენადმე გაძლიერდა, თუმცა შარშანდელთან შედარებით, გაცილებით დიდია კონკურენციაც. და ძნელია, როცა ილებ ცოტას იმასთან შედარებით, რასაც იმსახურებ.

**ფერნანდო ორსი**, ლივორნო (**47 წლის, კონტრაქტი 2008 წლის 30 ივნისამდე, წლიური ხელფასი 340 ათასი გირვანქა**) - ის პრეზიდენტ **ალდო სპინელის** პირადი არჩევანი გახლავთ. მშვიდი და გაწონასწორებულია. შარშან დიდხანს არ უმუშავია, მაგრამ გუნდის სერია A-ში დატოვება მაინც მოახერხა და ეს უდავოდ მისი პლუსია. წელს აღარ ჰყავს **ლუკარელი** და **მორონე**, სამაგიეროდ, "ლივორნოში" არიან **ტავანო** და **დიეგო ტრისტანი**. ახლანდელი გუნდი შარშანდელზე ძლიერია და ორსის ამოცანა სხვა არა არის რა, თუ არა უეფას თასის საგზური. დანარჩენი მიუღებელია და სამუშაოს დაკარგვად ფასობს.

**კარლო ანჩელოტი**, მილანი (**48 წლის, კონტრაქტი 2010 წლის 30 ივნისამდე, წლიური ხელფასი 3 მილიონი გირვანქა**) - ჩემპიონთა ლიგის მოგებამ უცხოეთში წასვლის ყოველგვარი სურვილი მოუსპო. წვრთნის ძლიერ გუნდს, თუმც უკვე საკმაოდ ასაკოვანს. ამჯერად, ანჩელოტის ამოცანა სკუდეტოს მოგება იქნება. ჯერჯერობით, სერია A-ში მას ერთ-ერთი ყველაზე საიმედო "ჯავშანი" აქვს.

**ედოარდო რეჯა**, ნაპოლი (**61 წლის, კონტრაქტი 2008 წლის 30 ივნისამდე, წლიური ხელფასი 300 ათასი გირვანქა**) - მან "ნაპოლი" სერია A-ში დააბრუნა, თუმცა ნაკლებად გამომწვევი თამაშით. ახლა მას სასწაულს არავინ მოსთხოვს, მაგრამ პირველ პლანზე უკვე სანახაობა გამოდის, სანახაობა, რომელიც სასურველიცაა და აუცილებელიც. ამასთან, მწვრთნელმა გუნდის მენტალიტეტიც უნდა შეცვალოს. სერია A სხვა განზომილებაა. ამ სეზონში რეჯას ძალიან გაუჭირდება.

**სტეფანო კოლანტუონო**, პალერმო (**44 წლის, კონტრაქტი 2009 წლის 30 ივნისამდე, წლიური ხელფასი 670 ათასი გირვანქა**) - "პალერმო" მისთვის ახალი შანსი და სტიმულია. მას მოუწევს მუშაობა ოდიოზურ პრეზიდენტ **მაურიციო ძამპარინისთან**, რომელმაც ის **ფრანჩესკო გვიდოლინს** ამჯობინა და რომლისთვისაც მწვრთნელების ცვლა ერთგვარი გატაცებაა. გასულ წელს, კოლანტუონომ "ატალანტაში" კარგად იმუშავა. დღევანდელი "პალერმო" ძლიერი გუნდია, მაგრამ გამოცანად რჩება, გაუძლებს თუ არა მწვრთნელი იმ წნეხს, რომელიც გაცილებით ძლიერი იქნება, ვიდრე ბერგამოში იყო.

**დომენიკო დი კარლო**, პარმა (**43 წლის, კონტრაქტი 2008 წლის 30 ივნისამდე, წლიური ხელფასი 170 ათასი გირვანქა**) - პირველად იმუშავებს სერია A-ში. პრეზიდენტმა **სტეფანო გირარდიმ** მას მძიმე მემკვიდრეობა ანდო. ძალიან გაუჭირდება შეტევაში, სადაც არ ეყოლება ახალგაზრდა **როსი**, რომელმაც დიდი როლი ითამაშა "პარმის" გადარჩენაში. ქვედა დივიზიონში დი კარლოს კარგ ტაქტიკოსად იცნობენ, მაგრამ საკმარისი იქნება ეს ცოდნა მთავარ ლიგაში? ძნელი სათქმელია. ფაქტია, ერთობ მძიმე დროება ელის და დიდია შანსი, სწორედ ის იყოს პირველი, ვინც ჩემოდნებს ჩაალაგებს.

**მასიმო ფიკადენტი**, რეჯინა (**39 წლის, კონტრაქტი 2008 წლის 30 ივნისამდე, წლიური ხელფასი 200 ათასი გირვანქა**) - სერია A-ს ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელს მძიმე გამოცდა ელოდება. **ვალტერ მაძარის** შეცვლა ადვილი არ იქნება. თან მას არ ეყოლება "მანჩესტერ სიტიში" წასული **ბიანკი**, რაც დიდი დანაკლისია. დარჩნენ **ამორუზო** და **კოცა**... რამდენს მოახერხებენ ისინი? ფიკადენტი ადრეული გათავისუფლების რეალური კანდიდატია.

**ლუჩანო სპალეტი**, რომა (**48 წლის, კონტრაქტი 2011 წლის 30 ივნისამდე, წლიური ხელფასი 800 ათასი გირვანქა**) - "რომა" ახლაც მზადაა, რომ რაღაც მოიგოს. სპალეტის გუნდი იტალიაში ყველაზე ლამაზ ფეხბურთს თამაშობს. არანაირი მოტივი არ არსებობს იმის საწინააღმდეგოდ, რომ სპალეტი "ჯალოროსიში" დიდხანს არ დარჩეს.

**ვალტერ მაძარი**, სამპდორია (**45 წლის, კონტრაქტი 2009 წლის 30 ივნისამდე, წლიური ხელფასი 340 ათასი გირვანქა**) - ეს მისთვის უდიდესი შანსია და მან ეს გასული სეზონით დაიმსახურა. **კასანოს** სახით, მაძარიმ თავდასხმაში სერიოზული ბონუსი მიიღო. წარმატებად ჩაითვლება, თუ "სამპი" უეფას თასის საგზურს მოიპოვებს. საამისოდ, მას ხარისხიც აქვს და სხვა ყველა წინაპირობაც.

**ანდრეა მანდორლინი**, სიენა (**47 წლის, კონტრაქტი 2009 წლის 30 ივნისამდე, წლიური ხელფასი 170 ათასი გირვანქა**) - სერიოზული რისკის ქვეშაა. ელიტაში ის სერია C-დან დაბრუნდა. "სიენა" სოლიდური და გამოცდილი გუნდია, შესაძლოა, ძალიან გამოცდილიც. მანდორლინის აქვს ნდობა საიმისოდ, რათა დასაწყისში მაინც მშვიდად იმუშაოს. დამაინტრიგებელი იქნება მისი ტაქტიკა, რომელიც სამ ფორვარდს ითვალისწინებს.

**ვალტერ ნოველინო**, ტორინო (**54 წლის, კონტრაქტი 2009 წლის 30 ივნისამდე, ხელფასი 470 ათასი გირვანქა**) - "ტორინოში" დიდი ამბიციებითა და დიდი გამოცდილებით მივიდა. ამბიციურია თავად გუნდიც, რომელიც სერიოზულად გაძლიერდა. შეძლებს მტკიცე ხასიათის მქონე ნოველინო გასული სეზონის შედეგების გაუმჯობესებას? უნდა შეძლოს.

**პასკუალე მარინო**, უდინეზე (**45 წლის, კონტრაქტი 2009 წლის 30 ივნისამდე, ხელფასი 400 ათასი გირვანქა**) - გასულ სეზონში მან მოხიბლა კატანია ჯერ შედეგებით, მერე კი ხასიათის სიმტკიცითაც, როცა გუნდი ბოლო ტურში გადაარჩინა გავარდნას. შემტევი ფეხბურთის მიმდევარია. თავდასხმაში მას ჰყავს **კვალიარელას, ფლორო ფლორესისა და დი ნატალეს** (რომელმაც ჯერ ორთვიანი დისკვალიფიკაცია უნდა მოიხადოს) ტრიო. ის ეცდება, სტაბილურობა მოუტანოს გუნდს, რომელსაც სოლიდური პოტენციალი აქვს. ძნელი იქნება, მაგრამ შესაძლებელია.

## კოშტინია ატალანტას მიუახლოვდა

"ატალანტა" და "ატლეტიკო" **კოშტინიას** ტრანსფერზე მორიგდნენ. ბერგამოელები პორტუგალიელ ნახევარმცველს 3-წლიან კონტრაქტს გაუფორმებენ. კოშტინია **ლუიჯი დელ ნერის** კატეგორიული მოთხოვნაა. მათ ერთმანეთთან "პორტუში" ხანმოკლე თანამშრომლობა აკავშირებთ. გამოცდილმა საყრდენმა "სელტიკში" წასული **მასიმო დონატი** უნდა შეცვალოს.

## ვილიარეალიდან რეკრეატივოში

"ვილიარეალის" მეკარე **მარიანო ბარბოსა** ახალი სეზონიდან "რეკრეატივოს" კარს დაიცავს. კონტრაქტი 2-წლიანია და მხარეთა სურვილის შემთხვევაში, კიდევ ერთწლიან თანამშრომლობას ითვალისწინებს. არგენტინელი კიპერი, რომელიც 22 წლისაა, ახალ კლუბთან ხელშეკრულებას ამ კვირაში გააფორმებს. გარიგების საფასური გასაიდუმლოებულია.

ისევ ძველი სკანდალის კვალდაკვალ

## ვიეირა: მატერაცისთან ერთად არ დავჯდები...

გასული მუნდიალის სკანდალური ფინალი დავიწყებას ჯერ არ მისცემია. აგერ, **მარკო მატერაციმ**, იმ ყბადაღებული ინციდენტის ერთ-ერთმა გმირმა, რომელსაც გუშინ 34 წელი შეუსრულდა, კიდევ ერთხელ გაიხსენა 2006 წლის 9 ივლისი და აღიარა, რომ **ზინედინ ზიდანის** დას მეძავი უწოდა. ზიზუმ არაერთხელ აღნიშნა, რომ მატერაცისთან შერიგებას არ აპირებს და საერთოდაც, აღარც იმ დღის გახსენება სურს. "ინტერის" მცველის აღიარებას მისივე თანაკლუბელი, საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი **პატრიკ ვიეირა** ტელეკომპანია TF 1-თან ინტერვიუთი გამოეხმაურა:

*"მე ვფიქრობ, მატერაცი ბრწყინვალე ფეხბურთელია და გასულ მსოფლიო ჩემპიონატზე, წმინდა სპორტული კუთხით, მან თავი საუკეთესოდ წარმოაჩინა. არის ხალხი, ვისაც ის უყვარს, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთაც მატერაცი ეზიზღებათ. მე არც ერთ ამ კატეგორიას არ ვეკუთვნი, თუმცა შემიძლია ვთქვა, რომ მასთან ერთად ერთ მაგიდასთან არ დავჯდები. ჩვენ ერთ კლუბში ვთამაშობთ, მაგრამ მეგობრები არ ვართ".*

შემდეგ, ვიეირას **რაიმონ დომენეკის** ცნობილ გამონათქვამებთან დაკავშირებითაც ჰკითხეს. შეგახსენებთ, საფრანგეთის ნაკრები მწვრთნელმა იტალიელებს მსაჯების მოსყიდვაში დასდო ბრალი. აი, როგორი იყო პატრიკის პასუხი:

*"იტალიელებმა ამაზე დიდი ხმაური ატეხეს, თუმც მიმაჩნია, რომ დომენეკის სიტყვებში ისეთი არაფერი ყოფილა. და ეს ხმაური მათ აწყობთ 8 სექტემბრის მატჩის წინ. "სკუადრა აძურისთვის" ეს თამაში გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე საფრანგეთისთვის. მათ ჩვენთან წაგების უფლება არ აქვთ".*


პატრიკ ვიეირა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი



ინტერვიუ ნიკა ცქიტიშვილთან

# ევროპაში სათამაშოდ დავბრუნდი

**ნიკა ცქიტიშვილმა გასულ კვირას იტალიურ კლუბ "ტერამოსთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და საქართველოში ჩამოვიდა. ნიკას იმედი აქვს, რომ ეროვნულ ნაკრებს კარს მომდგარ შესარჩევ მატჩებში სათანადოდ დაეხმარება, ხოლო შემდეგ "ტერამოს" შეუერთდება და იტალიის სერია A-ში თავს კარგად წარმოაჩენს. ინტერვიუ ახალ კლუბზე საუბრით დავიწყეთ:**

- "ტერამოსთან" ორწლიანი კონტრაქტის გაფორმებით კმაყოფილი ვარ. მართალია, ეს გუნდი იტალიის ჩემპიონობას არ აპირებს. თუმცა მაღალი მიზნებისთვის აუცილებლად იბრძოლებს. "ტერამოს" ხელმძღვანელობა ფლეი ოფში გასვლასა და გაისად რომელიმე ევროტურნირში თამაშს გეგმავს.

**- იტალიაში როდის მიდიხარ?**

- ჯერ ეროვნულ ნაკრებს დავეხმარები და "ტერამოს" შემდეგ შევუერთდები. აქამდე სატრანსფერო საკითხებს ვაგვარებდი, ამერიკაში ვიყავი, თან საზაფხულო კემპზე კოჭის ტრავმა მივიღე და ვარჯიში ახლახან განვაახლე. ნაკრებში ჩამოსვლა ამიტომ დამიგვიანდა. საფრანგეთის ვიზა არ მქონდა და ეროვნულს პოში ამიტომ ვერ შევეუერთდი. ლუქსემბურგთან თამაშს გამოვტოვებ და იმედი მაქვს, გუნდს 22 აგვისტოს, თბილისში ჩამოსვლის შემდეგ დავემატები.

**- სატრანსფერო საკითხების მოგვარება რატომ გაიწელა?**

- როგორც აღვნიშნე, ამერიკაში ვიყავი და "დენვერთან" ვაწარმოებდი მოლაპარაკებას. "ნაგეტსის" ხელმძღვანელობას ჩემი დამატება სურდა, მაგრამ კონტრაქტის გაფორმებას აყოვნებდა. ბოლოს შემომთავაზეს, ვარჯიშებზე დარჩი და ხელშეკრულება მერე გავაფორმოთო. უარი ვუთხარი, რადგან კონტრაქტზე ხელმოუწერელს წინასასეზონო შეკრებისას ტრავმა რომ მიმეღო, ევროპაში ჩამოსვლაც დაგვიანებული იქნებოდა და შეიძლება აღარც "დენვერს" გაეფორმებინა ხელშეკრულება.

**- მაინც და მაინც "ტერამო" რატომ შეარჩიე?**

- იმიტომ, რომ თამაში მინდა. კალათბურთელი ვარ და სათადარიგოთა სკამზე ჯდომას არ ვაპირებ. მსურს მოედანზე ვიყო და თამაშით დავტკბე. სპორტსმენის პროფესიული კარიერა ხომ 10-15 წელს არ აღემატება, ამიტომ NBA-ში სათადარიგოობას ევროპაში დაბრუნება ვარჩიე. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, ამერიკულ სახელოვან გუნდში ვიქნები, თუ უბრალო ევროპულ კლუბში, მთავარი თამაშია. 2002 წელს NBA-ში გამოუცდელი წავედი. სათამაშო პრაქტიკა არ მქონდა, რის გამოც ამერიკაში ცოტა გამიჭირდა. მას შემდეგ იქაურ გუნდებში სათამაშო დრო შეზღუდული მქონდა, რამაც თვითრწმენაზეც უარყოფითად იმოქმედა. ევროპაში სწორედ იმიტომ დავბრუნდი, რომ ავთამაშდე და NBA-ში გამოცდილი დავბრუნდე.

**- "ტერამოს" მწვრთნელთან წუთების შესახებ ხომ არ გისაუბრია?**

- მას და მენეჯერს თბილისში ჩამოსვლამდე ველაპარაკე და ორწლიანი კონტრაქტიც მათთან საუბრის შემდეგ გავაფორმე. "ტერამოს" თავკაცმა, ბიანკიმ მითხრა, რომ გუნდი ახალგაზრდულია და ერთ-ერთ მთავარ ფიგურად მომიაზრებს. მეც სწორედ ასეთი ნდობა მჭირდება და ვეცდები, იმედები არც მწვრთნელს გავუცრუო და არც ახალი კლუბის ქომაგს.

**- "ტერამოს" ოფიციალურ ვებგვერდზე დაიწერა, ცქიტიშვილი ცენტრიაო. მეხუთე ნომრად ხომ არ გიპირებენ დაყენებას?**

- ვფიქრობ, გუნდში ისე ვერავინ ამიყვანდა, ჩემი თამაში ნანახი რომ არ ჰქონოდა. ამიტომ არა მგონია, ცენტრის ფუნქციების შესრულება დამავალონ. ამპლუის მოძებნის საქმეში ბევრი რამ დამოკიდებული იქნება წინასასეზონო ვარჯიშებზე. თავს რა პოზიციაზეც კარგად წარმოაჩენ, მთელი სეზონი იქ ითამაშებ. ვფიქრობ, ტერამოში ხან მძიმე, ხან მსუბუქი ფორვარდობა მომიწევს.

**- "ტერამო" ახალი სეზონისთვის როგორ ემზადება?**

- ისევე აქტიურად ემზადება, როგორც იტალიური გრანდები. გველის შეკრება როგორც იტალიაში, ასევე ათენში. სხვა კლუბების პარალელურად გორდონ ჰერბერტის აეკ-საც დავუპირისპირდებით.

საქართველოს ნაკრების მეტოქე. ფინეთი

# ტეემუ რანიკო: თბილისში მოტოლათი მოვდივართ!

დღესდღეობით, საქართველოს ნაკრების მწვრთნელ-მოთამაშეები ყველაზე მეტს ფინეთზე ფიქრობენ. მასთან თამაშისას კი მთავარი საზრუნავი გამთამაშებელი **ტეემუ რანიკო** იქნება, რომელიც გასულ სეზონში **მანუჩარ მარკოიშვილის** გვერდით "ოლიმპიაში" ირიცხებოდა, ხოლო მომავალ სეზონს რუსულ "ხიმკიში" გაატარებს.



ტეემუ რანიკო

როგორც ჩანს, რანიკოსა და ფინელების მთავარი საფიქრალი საქართველოს ნაკრებია. ვფიქრობთ, მკითხველს დააინტერესებს ფიბაევროპის ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატია ფინეთისა და მისი კაპიტნის შესახებ.

"ორიოდე დღის წინათ სუომელებმა ხორვატიაში სვიეტსკის თასის გათამაშება დაასრულეს და მთლიანად ოფიციალურ მატჩებზე გადაერთვნენ. ისინი C ჯგუფის ლიდერები არიან, ოთხივე მატჩი მოგებული აქვთ და B დივიზიონიდან თავის დაღწევას წლეულს გეგმავენ. მათი კაპიტნის, ტეემუ რანიკოს თქმით, გუნდი კიდევ უფრო გაძლიერდება, როცა ტრავმის მოშუშების შემდეგ მოედანს ჰანო მოტოლა დაუბრუნდება:

*ჰანუს გამოსაჯანმრთელებლად კვირაზე მეტი დრო სჭირდება. ექიმების თქმით, იგი საქართველოში გამგზავრების წინ (მატჩი 2 სექტემბერსაა) სრულიად ჯანმრთელი იქნება. მართალია, მოტოლას გარეშე წინა ხაზში მცირე პრობლემები გვაქვს, მაგრამ ვცდილობთ, ნაკლოვანებები პერიმეტრზე კარგი თამაშით აღმოვფხვრათ. უკანა ხაზში ბურთს კარგად ვატრიალებთ და სამქულიანი ტყორცნებიც გამოგვდის. მწვრთნელისგანაც მწვანე შუქი გვაქვს ანთებული - ბურთს მიიღებთ თუ არა, დაუფიქრებლად ისროლეთო.*

ფინეთის ნაკრები წლევანდელ საკვალიფიკაციო ციკლს 21 აგვისტოს ავსტრიასთან გასვლითი შეხვედრით ხსნის. რანიკოს აზრით, ამ მატჩისთვის გუნდი მზადაა:

*ახლახან დავამარცხეთ ახალი ზელანდია და ურიგოდ არ გვითამაშია ხორვატების წინააღმდეგ. ავსტრიაში მოსაგებადაც მზად გახლავართ. ეს ჩვენთვის პრინციპული მატჩი იქნება. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ავსტრიელებს კარგი გუნდი ჰყავთ - ხორვატებთან მხოლოდ 6 ქულის სხვაობით წააგეს. მეორეც - შარშან ავსტრიამ შინ საქართველოსთან დათმო და თუკი ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება გვინდა, ქართველების მაგალითს უნდა მივბაძოთ. თბილისსა და ვენაში ორი რთული მატჩი გველის, მაგრამ ჩვენს ოპტიმიზმს მოგება-წაგებათა მაჩვენებელი აძლიერებს - 4:0.*

Tall Blacks-თან (ახალ ზელანდიასთან) მოგებული შეხვედრისას (85:79) ტრიბუნებზე ხშირად გაიგონებდით კითხვას - ნუთუ ფინეთი B დივიზიონის გუნდია?

*სათქმელად იოლია - B ლიგის დონეზე მაღლა ვდგავართო, მაგრამ ამისთვის რამდენიმე მატჩის მოგებაა საჭირო და მსოფლიო მაშინღა დაინახავს, რომ მართლაც მაღალი დონისა ხარ. A დივიზიონის გუნდებს ხშირად ვამარცხებთ. წლეულს შვედებს ერთი მატჩი მოვუგე, დავამარცხეთ ესტონელებიც. ისინი ელიტაში თამაშობენ,* - ესეც ტეემუ რანიკოს სიტყვებია. იგი მოსკოვურ კარიერაზეც იმედიანად საუბრობს:

*რუსეთში, ალბათ, სლოვენიისგან განსხვავებული ცხოვრების სტილი იქნება, მაგრამ ყველაფრისთვის მზად ვარ. "ხიმკიში" ტესტი წარმატებით ჩავაბარე და ვიმედოვნებ, ახალ გუნდთან ერთად მაღალ შედეგებს მივაღწევ."*

## ანტიკური ჭიდაობა




ოლიმპიური ჩემპიონი ალექსანდრე დოხტურიშვილი

# უზბეკი ქართველები

**რა საერთო აქვთ ალექსანდრე დოხტურიშვილს, დავით სალდაძესა და გენადი ჩხაიძეს? - სამივე ფალავანია, საკმაოდ ტიტულოვანიც. სამწუხაროდ, ბედმა სამივეს სხვა ქვეყნის სამსახურში ჩადგომა აიძულა. ამ ზაფხულს სამივე ბათუმში ისვენებდა და მომავალი ტურნირებისთვის ემზადებოდა.**

ალექსანდრე დოხტურიშვილი, ოლიმპიური ჩემპიონი (უზბეკეთი).

**- ათენში შენმა წარმატებამ უზბეკეთში ძალიან პოპულარული გაგხადა. ალბათ, საქართველოსთან შედარებით, იქ უფრო დაგაფასეს...**

- ოლიმპიურ ჩემპიონებს ნებისმიერ ქვეყანაში აფასებენ. განა, საქართველოში ასე არ არის?!

**- არის, მაგრამ აქ ჩემპიონობის შემდეგ გაფასებენ, მანამდე კი...**

- მესმის, რისი თქმაც გინდათ. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში ასე იყო. მერწმუნეთ, ყველა სპორტსმენის ოცნებაა საკუთარი ქვეყნის სახელით გამოსვლა და მით უმეტეს, ოლიმპიადის მოგება. სამწუხაროდ, საქართველოში არსებული დიდი კონკურენციის გამო, ქვეყნიდან წასვლა გადავწყვიტე. უზბეკებმაც მიმიღეს და დღეს რომ ვაფასებ, ჩემმა ნაბიჯმა აშკარად გაამართლა.

**- წინ მსოფლიო ჩემპიონატი გელოდება. პეკინის ლიცენზიის მოიპოვება არ გაგიჭირდება და ჩინეთში კვლავ აზიელებისთვის გაირჯები...**

- უზბეკეთის მოქალაქე ვარ და დღესდღეობით, ამ ქვეყნის ღირსებას ვიცავ.

**- საქართველოში დაბრუნებაზე არ გიფიქრია?**

- ძალიან რთული თემაა. რომ დავბრუნდე, ორი წელიწადი ვერც ერთ ოფიციალურ ტურნირზე ვერ ვიჭიდავებ. ეს კი სპორტსმენისთვის ძალიან დიდი დროა.

**- არ გაგიჭირდა უცხო ქვეყანაში?**

- თავიდან ცოტა კი, მაგრამ შემდეგ შევეჩვიე. ახლა გენო ჩხაიძეცა და დათო სალდაძეც ჩვენთან გადმოვიდნენ. ასე რომ, აზიაში ქართული ლეგიონი გაიზარდა.

**- ბათუმში, ალბათ, ისვენებ...**

- უზბეკეთის ნაკრების მწვრთნელმა ნება დამრთო, საქართველოში მოვმზადებულიყავი. გარდა ამისა, იქ არც გენოს და არც დათოს მეწყვილე ანუ სპარინგ-პარტნიორი არ ჰყავთ და ამიტომ, საქართველოში ჩამოსვლა გადავწყვიტეთ. ბაკურიანში გავიარეთ შეკრება. ახლა აქ ვართ, თან ვისვენებთ, თან ვვარჯიშობთ. მალე უნგრეთში გავემგზავრებით, იქედან კი - ბაქოში, მსოფლიო ჩემპიონატზე საჭიდაოდ.

გენადი ჩხაიძე, **სიდნეის (V ადგილი, საქართველო) და ათენის ოლიმპიადების (VI ადგილი, ყირგიზეთი) მონაწილე:** - საქართველოდან ყაზახეთში სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ წავედი, იქედან კი - ყირგიზეთში. 2005 წლის შემდეგ უზბეკეთის ნაკრებში ვარ. 96 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ვჭიდაობ. ჩემი კონკურენტი ათენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი რამაზ ნოზაძეა. ღმერთის ნებით, იქნებ ფინალში შევხვდეთ ერთმანეთს.

დავით სალდაძე, **სიდნეის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი (უკრაინა):** - მიუხედავად იმისა, რომ სიდნეიში ვერცხლი უკრაინის სახელით მოვიგე, ქვეყნის დატოვება მაინც გადავწყვიტე. უკრაინაში იმდენად არ აფასებენ სპორტსმენს, როგორც უზბეკეთში. აზიაში გადასვლა ჩემი სურვილიც იყო და უზბეკებისაც. ასე რომ, შეთანხმება შედგა. იმედია, ლიცენზიას მოვიპოვებ და პეკინის ოლიმპიადაზეც წარმატებით ვიჭიდავებ.

**- საქართველოში დაბრუნებაზე არ გიფიქრიათ?**

- ალეკოს მოსაზრებას დავეთანხმები - ამ შემთხვევაში ორი წლის გამოტოვება მომიწევს. თანაც, 12 წლის ვიყავი, უკრაინაში რომ წავედი და მას შემდეგ უცხო ქვეყნის სახელით ვჭიდაობ. როგორღაც, შევეჩვიე კიდეც.

**ირაკლი დარცმელიძე**
**ბათუმიდან**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბარი თემაზე...

# ნაკრების მწვრთნელი მიუკერძოებელი უნდა იყოს


გურამ პაპიტაშვილი


ავთანდილ შოშიაშვილი


ნუგზარ სხირელი

Ამას წინათ, ლეგენდარულ მწვრთნელ გურამ პაპიტაშვილთან ძიუდოზე ვსაუბრობდით. საუბარი შეეხო საქართველოს წლევანდელ მოკრივეთა ჩემპიონატსაც და ბატონმა გურამმა იქ ნაკრების თავკაცის (ან უკვე გადამდგარი), ავთანდილ შოშიაშვილის მოქმედებაზე გაამახვილა ყურადღება: „ავთო იმ დროს, როცა გორის კრივის სკოლის აღზრდილები, ანუ უშუალოდ მისი შეგირდები გადიოდნენ რინგზე, მაშინ როგორც ნაკრების უფროსი მწვრთნელი, შორიდან ადევნებდა თვალს პაექრობას. იმდენად მომეწონა მისი საქციელი, რომ შეჯიბრების დასრულებას არ დაველოდე, ტრიბუნიდან ტელეფონით დავურეკე და შევაქე. ნაკრების მწვრთნელს ყველა მართლაც საკუთარი შეგირდივით უნდა ჰყავდეს. დაუშვებელია ამ თანამდებობაზე ვინმემ მიკერძოება შეგატყოს." - თქვა ბატონმა გურამმა.

სანაკრებო მწვრთნელის მიუკერძოებელი საქმიანობის თემა მეტად საინტერესოა და ამიტომ ასეთივე საუბარი, გამოდგა აღნიშნულ საკითხზე გორელ მწვრთნელთა იმ სამეულთან, რომელთაც სანაკრებო მუშაობის გამოცდილება გააჩნიათ და უამრავი ტიტულოვანი სპორტსმენი ჰყავთ გაზრდილი.

საკითხზე სწორედ საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე მსჯელობენ ცნობილი მწვრთნელები გურამ პაპიტაშვილი (წლების მანძილზე წვრთნიდა სსრკ-ისა და საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებებს), ნუგზარ სხირელი (საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში) და ავთანდილ შოშიაშვილი (საქართველოს მოკრივეთა ნაკრების მწვრთნელი).

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲨᲝᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ: - *ქვეყნის ნაკრების თავკაცობას რომ განდობენ, შენი და სხვისი აღარ არსებობს. ყველა შენი სპორტსმენია. საქართველოს ჩემპიონატზე როცა გორელები ასპარეზობდნენ, მართლაც არ ვეკარებოდი რინგს, თუმცა რამდენჯერმე შორიდან შეძახილით მაინც გავამხნევე ისინი. არც მეორე უკიდურესობაში უნდა გადავარდე ადამიანი, ანუ თუ შენი პირადი მოსწავლე ავარჯიშე, მოამზადე შეჯიბრებისათვის, ნაკრების მწვრთნელობის მიზეზით საერთოდ უყურადღებოდ ხომ არ მიატოვებ გადამწყვეტი ბრძოლებისას? როცა შეგირდს საკუთარი შვილივით ზრდი, შეუძლებელია გული და ოცნება არ გაგექცეს მისდა სასიკეთოდ, მაგრამ მთავარია საქმით მიუკერძოებელი იყო.*

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲡᲮᲘᲠᲔᲚᲘ:- *სხვადასხვაგვარი მიკერძოებულობის გამო ყოფილი საბჭოთა კავშირის პერიოდში არაერთხელ დაჩაგრულან ქართველი ფალავნები, უმეტესად ეს ეთნიკური მოტივით ხდებოდა. მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში არც სსრკ-ის დროს და მით უფრო შემდეგ, საჭიდაო სახეობებში ასეთი შემთხვევები არასოდეს ყოფილა. ნაკრების მწვრთნელები კარგად ვერკვევით სანაკრებო მუშაობის ნიუანსებში და სწორედ ამიტომ შეუძლებელია ამ თვალსაზრისით არასწორი მიდგომა გამოვამჟღავნოთ.*

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲞᲐᲞᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ: - *აღნიშნულ საკითხს ყოველთვის დიდი სიფრთხილით ვეკიდებოდი. მახსოვს 1965 წელს სანაკრებო მოსამზადებელი ეტაპი გვქონდა. ბიჭებმა ფეხბურთის თამაში მოინდომეს, ერთ გუნდში რუსეთის წარმომადგენლები მოხვდნენ, მეორეში დანარჩენი რესპუბლიკებისა. არბიტრობა მე გავწიე. თითქმის მთელი შეხვედრა 0:1 რუსები აგებდნენ, მაგრამ დასასრულს რამდენიმე წუთი გადავაცილე და ვიდრე ანგარიში არ გათანაბრდა, არ დავამთავრე. არ მინდოდა რომელიმე მხარეს რამენაირად დაჩაგრულად ეგრძნო თავი.*

*ახალი დანიშნული ვიყავი სტუდენტთა საკავშირო ნაკრების მწვრთნელად, როცა ჩემს ორ სტუდენტს ვახტანგ ბორჩაშვილსა და როინ მაღალთაძეს მოუწიათ შეხვედრა. მათი პაექრობისას დარბაზიდან გავედი, რათა არცერთისთვის არაფერი მიმეთითებინა და ამით მეორეს ნაკლები სითბო არ ეგრძნო ჩემგან.*

**- თქვენი ობიექტურობის გამო თქვენივე შეგირდი თუ დაგიტოვებიათ ნაკრებს მიღმა?**

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲡᲮᲘᲠᲔᲚᲘ: - *რამდენიმე წლის წინათ, უცხოეთში ერთ-ერთ ტურნირზე მივდიოდით, ცუდი ფინანსური სიტუაცია იყო და ნაცვლად რვისა, შვიდი ფალავანი უნდა წამეყვანა. სხვებთან შედარებით ოდნავ სუსტად ჩემი მოჭიდავე გამოიყურებოდა. რასაკვირველია, ის დარჩა გუნდს მიღმა. მისმა ოჯახის წევრებმა კი ამაზე სკანდალი ატეხეს. ადგილობრივი ტელევიზიით სიუჟეტი გაკეთდა, სადაც მე კორუმპირებულად გამომაცხადეს, თითქოს მისთვის გამოყოფილი თანხა მიმეთვისებინოს. ხალხი რომ მხვდებოდა გორში, ეცინებოდათ იმ სისულელეზე, რაც საქმეში ჩაუხედავმა ადამიანებმა თქვეს. თუმცა მერე ყველაფერი გაირკვა და ტელევიზიის ჟურნალისტებმა ბოდიშიც მომიხადეს.*

*წლევანდელ საქართველოს ჩემპიონატზე გორელმა **დავით ბერძნიშვილმა** გაიმარჯვა, მაგრამ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე **ლევან მეტრეველის** დაყენება გადავწყვიტე. ბერძნიშვილს ყველაფერი წინა აქვს, მეტრეველისთვის კი ეს ბოლო სეზონია ამ ასაკის ნაკრებში. ჩემს შეგირდს ეს ავუხსენი, იმედიც მქონდა და შესანიშნავადაც გამიგო.*

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲨᲝᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ: - *შარშან ოთხი გორელი მოკრივე იყო ნაკრებში. მოხდა ისე, რომ ჩემი მოსვლის შემდეგ ორი მათგანი ამოვარდა შემადგენლობიდან. 75 კგ-ში რეზო ქარელიშვილი ქვეყნის ჩემპიონია, თბილისელი გიორგი ნაკანი კი ფინალისტი, ჩემპიონატის შემდეგ შანსი ორივეს მივეცით სხვადასხვა ტურნირზე და ნაკანი უკეთეს შედეგებს აჩვენებს, რეზოს კი, ცხადია, წონაში ლიდერობის დათმობა მოუწია. მეტად პერსპექტიული მოკრივე იყო საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი გორელი ვახტანგ წინამძღვრიშვილი (51კგ), რომელიც ბრწყინვალედ ასპარეზობდა, მაგრამ ბოლო ხანებში მოიკოჭლებს, კონკურენტებმა აჯობეს და შესაბამისად ისიც ამ ეტაპზე ნაკრების მიღმაა დარჩენილი. ამჟამად ეროვნულ გუნდში ჩემი პირადი შეგირდი ორია - ვასილ ყაზიშვილი და ბექა ლობჟანიძე, ორივე მათგანი მთელი თავით ჯობნის კონკურენტებს. საერთოდ, მე ვთვლი, რომ „ჩემი" სპორტსმენი გამოკვეთილად უნდა ჯობდეს ყველას, რათა ნაკრებში ადგილი დაიბევოს.*

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲞᲐᲞᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ: - *1985 წელს ისე მოხდა, რომ ობიექტურადაც მოვიქეცი და მაინც „ჩემი" სპორტსმენი დარჩა ნაკრებში. მაშინ ტულაში საერთაშორისო ტურნირისთვის ვემზადებოდით. წარმოიდგინეთ, სტუდენტთა საკავშირო ნაკრებში ოთხი ქართველი ძიუდოისტი იყო და თან ოთხივე გორელი - ძმები გია და ანზორ თენაძეები, ჯემალ მჭედლიშვილი და კობა კურტანიძე. როგორ არ დამეყენებინა ისინი გუნდში პირველ ნომრებად, როცა სხვებზე უკეთ ჭიდაობდნენ? „ზემოდან" დარეკეს „ქართველები მაინც ბევრი გყავს გუნდში და იქნებ კურტანიძის ნაცვლად დანილინის დაყენება გეცადაო". გადავწყვიტეთ საკონტროლო ორთაბრძოლა მოგვეწყო. ფედერაციიდან მოვიწვიე ნეიტრალური სპეციალისტები, მსაჯები და მე საერთოდ მოვცილდი ტატამს კობამ ბრწყინვალე კისრულით დაავდო მეტოქე... ძალიან განვიცადე, მიხაროდა იმიტომაც, რომ ჩემი სიმართლე დამტკიცდა!*

**- მიკერძოებულობის, არაობიექტურობის გამო დაჩაგვრის შემთხვევას თუ გაიხსენებთ და რა რეაქცია შეიძლება მოჰყვეს მსგავს საქციელს?**

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲨᲝᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ: - *მსგავსი რამ საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი. 1982 წელს თელავში საკავშირო მასშტაბის ტურნირი იყო. წინა წლებში იგი მოგებულიც მქონდა და პრიზიორიც ვიყავი. ამჯერადაც წარმატებით მივიწევდი კვარცხლბეკისკენ, თუმცა ნახევარფინალში მეტად მიკერძოებული მსაჯობის გამო აშკარად მოგებული ბრძოლა წამართვეს. საშინელი რეაქცია მქონდა რინგიდან აღარ ჩამოვდიოდი, ვყვიროდი, ვჩხუბობდი... ყველა მეუბნებოდა, რომ უსამართლობის მსხვერპლი გავხდი. იმედგაცრუება იმდენად დიდი იყო, რომ მართალია სულ 23 წლის ვიყავი, მაგრამ ამ დღიდან კრივს შევეშვი და მწვრთნელობას მივყავი ხელი. სხვათა შორის ნახევარ წელიწადში ჩემი ოთხი სპორტსმენი საქართველოს ჩემპიონი გავხადე. და საერთოდ ალბად მხოლოდ იმისთვისაც ღირდა ჩემი მწვრთნელობა, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გიორგი კანდელაკი გამეზარდა.*

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲞᲐᲞᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ: - *სსრკ-ს პირველი ნაკრები მიდიოდა ავსტრიაში, „ა" კატეგორიის ტურნირზე. მწვრთნელებმა თემურ ხუბულურის ნაცვლად ბეთანოვის დაყენება მოინდომეს. მწვრთნელთა საბჭოში სხვა ოთხ სპეციალისტთან ერთად მეც ვიყავი. ხუბულური აშკარად ჯობდა კონკურენტს და საბჭოს ამის დასტურად რამდენიმე არგუმენტი დავუდე, თუმცა ვერაფერს გავხდი. თემური დატოვეს. ხუბულურს პროტესტი არ გამოუთქვამს, იგი მიხვდა რომ თავს ზევით ძალა არ იყო, რადგან იცოდა მე მაქსიმალურად ვიბრძოლებდი. ბეთანოვმა ისე ცუდად იჭიდავა ავსტრიაში, შეფასებად ნული დაუწერეს.*

*ცხადია არ შემიძლია არ აღვნიშნო სსრკ ნაკრების თავკაც ვლადლენ ანდრეევის ქართველთა სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიუნხენის ოლიმპიადაზე შოთა ჩოჩიშვილის წასაყვანად. ეს აბსოლუტურად მისი ინიციატივა გახლდათ, არადა შოთას კონკურენტი ძალიან ძლიერი იყო და თუ მას დააყენებდნენ, მე საწინააღმდეგო ვერაფერი მექნებოდა. შედეგი ყველასთვის ცნობილია, ჩოჩიშვილი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.*

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲡᲮᲘᲠᲔᲚᲘ: - *რამდენიმე წლის წინათ ევროპის ჩემპიონატზე დათო პოლოსიანს ერთ-ერთი შერკინება უსამართლოდ წააგებინეს. დათოს ბოლო ქულის აღება სამივე მსაჯმა დააფიქსირა, ბრძოლა დამთავრდა, ჩემს ფალავანს ხელი აუწიეს. ამ დროს მოდის ფილას კოორდინატორი და ითხოვს, არბიტრებმა შეცვალონ გადაწყვეტილება. ცენტრალურმა მსაჯმა (ვლადიკავკაზელი იყო) ეს იუარა, ორმა რეფერიმ კი კოორდინატორს დაუჯერა და პოლოსიანს წააგებინეს. ძალიან განვიცადე, ნერვები ვერ მოვთოკე და იმ კოორდინატორს ლოყაზე ხელით შევეხე. ფილამ ჩვენი ფედერაცია ჩემი საქციელის გამო 5 ათასით დააჯარიმა. აღსანიშნავია, რომ მაშინდელ პრეზიდენტს გოჩა ძასოხოვს არ ჰქონია ამ სასჯელზე რაღაც საშინელი რეაქცია და, სხვათა შორის, ფილამ იმ ჯარიმის ერთგვარ საზღაურად მერე საჭიდაო ხალიჩა გვაჩუქა.*

**- თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს ნაკრების მწვრთნელი?**

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲡᲮᲘᲠᲔᲚᲘ: - *აბსოლუტურად მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი, შეგირდების მიმართ კი თბილი და კორექტული. უნდა იღებდეს სწორ გადაწყვეტილებებს და სპორტსმენიც უნდა დაარწმუნოს მის სისწორეში.*

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲞᲐᲞᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ: - *უდიდესი პასუხისმგებლობაა ნაკრების მწვრთნელობა. აუცილებლად კარგად უნდა ჩაწვდე სპორტსმენის სპორტულ, პიროვნულ თვისებებს და ამის მიხედვით იმოქმედო. მწვრთნელი ერთგვარად პედაგოგიცაა. ის და სპორტსმენი არენასა და მის მიღმა იოლად უნდა უგებდნენ ერთმანეთს. ყველამ იცის, როგორ იოლად მიიღო ჩემი კარნახი შოთა ჩოჩიშვილმა ოლიმპიადის ფინალში. სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით კურიოზული მომენტიც მოხდა. ერთხელ მოჭიდავეს ტატამის გვერდიდან მითითება მივეცი, იმან კი მომხედა და მეკითხება: „რაა მიხაილოვიჩ?", აბა მოწინააღმდეგე ამ შანსს გაუშვებდა? იპონზე დაავდო.*

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲨᲝᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ: - *ზემოთ ფაქტობრივად გიპასუხეთ ამ კითხვაზე. დავამატებ, რომ მეტად საამაყოა, როდესაც შენი ქვეყნის საქმეს აკეთებ. დიდი რამაა ეს! შესაბამისად, ყველაფერი მაქსიმალურად მოგეთხოვება.*

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲑᲐᲚᲐᲮᲐᲫᲔ

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ

## ᲓᲝᲚᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ, ᲮᲘᲓᲘ ᲩᲐᲘᲜᲒᲠᲐ...

ᲑᲐᲮᲛᲐᲠᲝᲨᲘ დოლი საუკუნეზე მეტია, ტრადიციულად ტარდება და უამრავი მაყურებელიც ესწრება საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. გვახსენდება ალექსანდრე ჟღენტის მიერ 1984 წელს გადაღებული და იმავე წელს საუკეთესო დოკუმენტურ ფილმად აღიარებული "გურია, გურია, გურია", სადაც ასეთი დიალოგია:

- ძამა, რატომაა დღეს ცარიელი ადგილები სტადიონზე "გურიას" მატჩებზე, რაშია საქმე?

- დღეს დოლია ბახმაროში ძამა, თვარა ყველანი აქინე იქნებოდნენ.

ბახმაროში დოლი გუშინაც გაიმართა, მაგრამ, სამწუხაროდ, მოხდა უბედური შემთხვევა: ბახვის წყალზე გადებული საცალფეხო ხიდი, რომელიც 40 წლის წინათ აიგო, მას მერე კი აღარ შეკეთებულა, ჩაინგრა და დოლის საყურებლად შეკრებილთა დიდი ჯგუფი თან ჩაიყოლა. როგორც შევიტყვეთ, მსხვერპლი არ არის, დაშავებულები საავადმყოფოში გადაიყვანეს და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძალოსნობა

### საქართველოს ჩემპიონატი

# ასანიძე ოქროთი დაბრუნდა

საჩხერეში დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი ძალოსნობაში, რომლის შედეგების მიხედვითაც, სექტემბერში, ტაილანდში გასამართ სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილე საქართველოს ნაკრების შემადგენლობა დაკომპლექტდება. ტურნირში სხვადასხვა ნომინაციებში გათამაშდა სპეციალური პრიზები. საუკეთესო სპორტსმენად **არსენ კასაბიევი** (ცხინვალი) დასახელდა. **კახი კახიაშვილის** მიერ დაწესებული პრიზი ყველაზე იმედისმომცემი ძალოსნისათვის გადაეცა, ყველაზე უმცროს ათლეტს **გიორგი ლომთაძეს.** კვლავ საუკეთესო სპორტულ ფორმაშია და ქვეყნის ჩემპიონის ტიტული კიდევ ერთხელ მოიპოვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **გიორგი ასანიძემ.**

| 56 კგ |
|---|
| 1.ზვიად სამუკაშვილი (დედოფლის წყარო) |
| 2.გიორგი ლომთაძე (ქუთაისი) |
| 3.ზაზა ფუტკარაძე (ბათუმი) |

| 77 კგ |
|---|
| 1.პაატა გეგეშიძე (ქუთაისი) |
| 2.ნიკა ცანავა (ზუგდიდი) |
| 3.დავით გოგია (ზუგდიდი) |

| 85 კგ |
|---|
| 1.გიორგი ასანიძე (საჩხერე) |
| 2.რაულ ცირეკიძე (ქუთაისი) |
| 3.თემურ ჩხეიძე (ზუგდიდი) |

| 94 კგ |
|---|
| 1.არსენ კასაბიევი (ცხინვალი) |
| 2.თეიმურაზ გოგია(ზუგდიდი) |
| 3.ვაჟა ლონლაძე (ქუთაისი) |

| 105 კგ |
|---|
| 1.გიორგი მაჭავარიანი (ბათუმი) |
| 2.გია ბეჟიტაშვილი (თბილისი) |
| 3.ირაკლი თურმანიძე (ბათუმი) |

| ზემძიმე წონა |
|---|
| 1.თორნიკე კოკაია (სოხუმი) |
| 2.ავთანდილ ცერცვაძე(თბილისი) |
| 3.ლევან გამაცასვილი (თბილისი) |

## თარიღი

**რუსუდან სიხარულიძე.** დაიბადა 19.08.1954, ბათუმი. სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს ჩემპიონი გუნდურ პირველობაში და მესამე პრიზიორი თავისუფალ ვარჯიშში (1974), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1973 - მრავალჭიდი, 1974 - თავისუფალი ვარჯიში). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. ღირსების ორდენის კავალერი. საქართველოს ტანვარჯიშის ეროვნულ სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი 2005 წლიდან.

**კობა ნაქაძე.** დაიბადა 19.08.1934, ბაკურიანი. ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა. სსრკ ექვსგზის (1953, 56, 60, 62, 69, 72) და სსრკ ხალხთა სპარტაკიადის (1962) ჩემპიონი, სსრკ თასის სამგზის მფლობელი (1968, 70, 72). 1956 წლის კორტინა დ'ამპეცოს (XXX ადგილი), 1960 წლის სკვო-ველის (IX ადგილი), 1964 წლის ინსბრუკისა (XXVII ადგილი) და 1972 წლის საპოროს (70 მ ტრამპლინი - IX ადგილი; 90 მ ტრამპლინი - XXXV ადგილი) ზამთრის ოლიმპიური თამაშების მონაწილე. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. მისი ვაჟი, ასევე თხილამურებით მხტომელი კახა (დაბ. 28.01.1969) სამი ოლიმპიადის მონაწილეა.

## ჩიხლაძემ მიუნხენშიც მოიგო



ჩოგბურთი. 22 წლის **ლადო ჩიხლაძემ** კარიერაში მეშვიდე, წლეულს მეხუთე, ზედიზედ კი მესამე ტიტული მოიგო - ქართველმა ჩოგბურთელმა მიუნხენის საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარი) იმარჯვა. ბავარიის მხარის დედაქალაქში თიხნარის კორტებზე პირველ ნომრად განთესილმა ჩიხლაძემ საქმით დაამტკიცა ფავორიტობა - მან ტურნირის განმავლობაში მხოლოდ ერთი სეტი დათმო და ისიც ფინალში. ნახევარფინალში ლადომ მე-4 ნომრად განთესილ უნგრელ **კორნელ ბარდოჩკის** (514) მოუგო - 6:3, 6:4. არადა აქამდე ქართველი ჩოგბურთელი ორჯერ დამარცხებულა უნგრელთან. მეორე ნახევარფინალურ მატჩში მე-3 ნომრად განთესილმა ჩეხმა **მარტინ ვაჩეკმა** (503) ტურნირის სენსაცია, 16 წლის მოლდოველი **რადუ ალბოტი** დაამარცხა - 5:7, 6:4, 6:4. ფინალი დაძაბული გამოდგა, ჩიხლაძემ პირველი სეტი 4:6 დათმო, მეორის გადამწყვეტ გეიმში კი მან მეტოქის მოწოდება მოიგო და სეტებში ანგარიში გაათანაბრა - 7:5. გადამწყვეტი სეტი ჩიხლაძემ 6:3 მოიგო და "სპორტშეკ ოუფენის" გამარჯვებული გახდა. ლადო ჩიხლაძე ამჟამად მსოფლიოს 407-ე ჩოგანია 77 სარეიტინგო ქულით, მიუნხენში გამარჯვება მას 12 სარეიტინგო ქულას შემატებს. ლადო ჩიხლაძემ ზეიდზედ მე-15 გამარჯვება მოიპოვა. რაც ტრავმის შემდეგ კორტებს დაუბრუნდა, მისი მონაგარი ასეთია: 18 მატჩი 17 გამარჯვება, სამი ტიტული.

## მორიგი უაილდ ქარდი ტატიშვილს

ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობის ორგანიზატორებმა დაადგინეს იმ ჩოგბურთელთა სია, რომელთაც "უაილდ ქარდით" მიიწვევენ. ძირითად ბადეში ვერა, მაგრამ საკვალიფიკაციოში სათამაშოდ 17 წლის **ანა ტატიშვილის** დაპატიჟეს, ახლა თავად ანაზეა დამოკიდებული, რამდენად გაამართლებს ორგანიზატორთა ნდობას. "დიდი სლემის" ტურნირის საკვალიფიკაციო ორთაბრძოლები 21 აგვისტოდან იწყება. სავარაუდოდ, აღნიშნულ ტურნირში საქართველოს პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილიც** ითამაშებს.

## პირველ ტიტულთან ახლოს

ჩოგბურთი. გერმანიის ქალაქ ბილეფელდში საერთაშორისო ტურნირის (10 ათასი დოლარი) წყვილთა თანრიგში კარგად იასპარეზა 17 წლის **მანანა შაფაქიძემ**. მანანა ახლოს იყო კარიერაში პირველ ტიტულთან. ქართველი ჰოლანდიელ **ლეონი მეკელთან** ერთად ტურნირზე მე-3 ნომრად იყო განთესილი. ფინალში ისინი ზელანდიელი **დიანა ჰოლენდსის** და ამერიკელი **კეიდი პულერის** დუეტთან დამარცხდნენ - 2:6, 4:6.

## ხმიადაშვილის ნახევარფინალი

ჩოგბურთი. 15 წლის **გიორგი ხმიადაშვილმა** წარმატებით ითამაშა 18-წლამდელ ჩოგბურთელთა ასპარეზზე, ბულგარეთში "დემა კაპზე" მან ნახევარფინალში გააღწია. განუთესავმა ხმიადაშვილმა ჯერ იტალიელი **მატეო ჩივაროლო** დაამარცხა - 4:6, 6:2, 6:3, შემდეგ ჰოლანდიელი **რიკარდო ელსინკი** - 7:6, 6:3, მეოთხედფინალში მან მე-6 ნომრად განთესილ ბულგარელ **სერაფიმ გროზევს** მოუგო - 7:6, 6:2, მეოთხედფინალში კი ბულგარელი **ცვეტან მიჰოვთან** დამარცხდა - 1:6, 2:6. სხვათა შორის, მიჰოვი ამ ტურნირის გამარჯვებული გახდა. ამავე ტურნირში 16 წლის **ნიკოლოზ ქურდაძე** მე-7 ნომრად იყო განთესილი, ის მეოთხედფინალში დამარცხდა მე-2 ნომრად განთესილ ბულგარელ **ალექსანდრ მარკოვთან** - 1:6, 4:6. ქურდაძის და ხმიადაშვილის წყვილმა კი ტურნირის ნახევარფინალში წააგო. ქართველი გოგონები "დემა კაპზე" ნაკლები წარმატებით გამოვიდნენ, **ნინო სუჯაშვილი** პირველივე წრეში დამარცხდა, ხოლო **დიანა დავითაია** - მერვედფინალში. ქართველ გოგონათა დუეტი წყვილთა თანრიგში პირველ წრეში დამარცხდა.

## რუმინეთში თავი ვერ გამოიჩინეს

ჭადრაკი. რუმინეთის ქალაქ პრედიალში დასრულდა ქვეყნის ღია პირველობა ჭადრაკში, რომელიც შვეიცარიული სისტემით გაიმართა. ტურნირის საპრიზო ფონდი 12 ათასი ევრო იყო, მასში 184-მა მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა. მათ შორის ორი ქართველი იყო, ქალთა შორის დიდოსტატები **ლელა ჯავახიშვილი** და **სოფო გვეტაძე**. ლელა ჯავახიშვილმა 9 შესაძლებლიდან 6 ქულა დააგროვა და ის საბოლოოდ მე-18 ადგილზე გავიდა. სოფო გვეტაძემ სულ 4,5 ქულა დააგროვა და 85-ე ადგილზე გავიდა. რუმინეთის პირველობა ადგილობრივმა საერთაშორისო ოსტატმა **ჩიპრიან ნანუმ** მოიგო 7,5 ქულით. მეორე ადგილზე ტურნირის ფავორიტი დიდოსტატი **ანდრეი ისტრატესკუ** გავიდა - 7 ქულით. 6,5-6,5 ქულა 15-მა მოჭადრაკემ დააგროვა, პოდიუმზე ადგილი კი რუმინელ **ლუჩიან ფილიპს** ერგო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კალათბურთი
ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
B დივიზიონი
25 აგვისტო
საქართველო vs ავსტრია
დასაწყისი: 19.00
2 სექტემბერი
საქართველო vs ფინეთი
დასაწყისი: 19.00
სახალხო ბანკი
PEOPLE'S BANK
GEOSPORT
სასტუმრო ვარაზი
HOTEL VARAZI

## რეპლიკა

# ერთი გაგებით, მეორე აგდებით?..

არაერთგვაროვანია უბედურება - კერძოც და საზოგადოც. ადამიანი ბოლოს და ბოლოს ეჩვევა ერთსაც და მეორესაც, მით უფრო გარდუვალს. მაგრამ თავს დროდადრო იჩენს ხოლმე უცნაური სახადიც. ცხოვრებამ მოიტანა და უცხოეთს კარგა ხანია ეტანება ჩვენი სისხლი და ხორცი - გასაგებია, რატომ და რისთვის. ცხადია, ასე არ იყო ადრე. მაგრამ მაშინაც კი, უცხოეთის ვიზებს სპორტსმენებს არავინ ამადლიდა, - ხელს ვინ შეუშლიდა შეჯიბრებაზე მიწვეულს. რა ხდება დღეს? ყველაზე დემოკრატიულად რომ მიაჩნიათ თავი იმ ქვეყნების დიპლომატიური სამსახურების წარმომადგენლები ათას მიზეზს გამონახავენ, უნდათ, შარსაც მოგდებენ, არაფრად დაგიდევენ არც შენ სპორტსმენობას და არც შენი ქვეყნის სპორტულ ინტერესებს. ლაპარაკი არ არის რაიმე ამკრძალავ კანონზე, ასეთი არ არსებობს. თუმცა, არც იმას ვამბობთ, რომ პატივი არ ვცეთ და საქართველოში უცხოეთის დიპლომატიური სამსახურების წარმომადგენლების მოთხოვნებს გაგებით არ მოვეკიდოთ, მაგრამ პატივისცემა უნდა იყოს ორმხრივი და არა ისე - ერთი მოეკიდოს გაგებით, მეორე - აგდებით. აგდება და დამცირებაა აბა რა არის, როცა საელჩოების ჩინოვნიკები თავის უსაფუძვლო პრეტენზიებს წამოუყენებენ სპორტულ ფედერაციებს და შენს კონტრარგუმენტებს არც მოისმენენ. ასე უნდათ და მორჩა! დამცირებააბუჩად აგდების გარდა სხვა რა ჰქვია იმას, როცა ვიზაზე პასუხისთვის მაშინ დაგიბარებენ, როცა იციან, რომ შეჯიბრება უკვე დამთავრებულია, ან დაწყებულია, ან, უკეთეს შემთხვევაში, ვიზა კიდეც რომ მოგცენ, ტურნირს ველარ ჩაუსწრებ. აბა, ხმა ამოიღე!

მოკლედ, ხშირად დაბრკოლებებს საელჩოებში ხელოვნურად ქმნიან, გვაჩვევენ იმას, რასაც არ უნდა შეეგუოს ადამიანი. და ამას ის ქვეყნები კადრულობენ, რომლებიც სხვებს მოუწოდებენ ადამიანის უფლებების დაცვისკენ.

განა რამეა უცნაური იმაში, რომ დღეს ბევრი ჩვენი სპორტსმენი უმუშევარიცაა და გაჭირვებული ოჯახის შვილიც. საიდან მოიტანოს სოლიდური ხელფასის ცნობა. უბრალოდ, დაგვცინიან, მეტი არაფერი.

არავისი გვშურს, მაგრამ ტურისტულ ფირმებს უფრო პატივისცემით რომ ეკიდებიან, ვიდრე სპორტის წარმომადგენლებს, ფაქტია. ვითომ ტურისტი არ დარჩება უცხოეთში, თუ ეს მან აქვე ჩაიფიქრა?

აგერ, სულ ახალი ამბავი. გუშინ შევიტყვეთ, რომ ბილიარდის ეროვნულ ფედერაციას მსოფლიო ჩემპიონატზე გასამგზავრებელი ვიზები არ მისცა გერმანიის საელჩომ. ეს უკვე მეორედ. შარშან დეკემბერშიც ვერ გამგზავრებულან ჩემპიონატზე ჩვენი სპორტსმენები ისევ და ისევ გერმანიის საელჩოს მიზეზით. არადა, იმ ჩემპიონატზე თურმე საქართველოს ეროვნული დროშაც ფრიალებდა, სპორტსმენები კი...

**თენგიზ თომაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი

ტურნირები

# პირველი ჩოგნები ფინალში

ცინცინატის მასტერსის სერიის ტურნირის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა**, ვინც დაძაბულ ნახევარფინალურ პაექრობაში დაამარცხა თავისი ძველი მეტოქე, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ავსტრალიელი **ლეიტონ ჰიუიტი**.

ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ, ავსტრალიელი **პატრიკ რაფტერი** ამბობდა, ლეიტონი ფედერერისა და ესპანელი **რაფაელ ნადალის** დონეზე ველარასოდეს ითამაშებსო და ოზიმ მეჩოგნის ცუდ ფიზიკურ მომზადებას გაუსვა ხაზი. მაგრამ ლეიტონმა ფედერერთან ისე ითამაშა, კაცს ძველი ჰიუიტი გაახსენდებოდა. მან ჯერ მეორე სეტის ტაიბრეიკზე მატჩ პოინტი მოიგერია, შემდეგ ეს სეტი მოიგო, გადამწყვეტში კი ბრეიკით დაწინაურდა. თუმცა, ამაზე მეტი ალარაფერი გამოუვიდა. მართალია, კიდევ ორი მატჩ პოინტი გაქვითა, მაგრამ კიდევ ერთზე ქულის გადარჩენა ველარ შეძლო.

*"თქმა არ უნდა, ამ ტურნირზე ეს ჩემს მიერ ნათამაშები საუკეთესო მატჩია. ლეიტონმაც შესანიშნავად ითამაშა. მიხარია, რომ ასე საინტერესო შეხვედრაში გამარჯვებას მივაღწიე"*, - განაცხადა ფედერერმა, ვინც ფინალში ამერიკელ **ჯეიმს ბლეიკს** დაუპირისპირდება და თუ მოუგო, მაშინ კარიერაში ატპ-ს 50-ე ტიტულს დაეუფლება.

ბლეიკს, ვინც ნახევარფინალში ორ სეტში აჯობა რუს **ნიკოლაი დავიდენკოს**, ფედერერთან ბოლო ათი შეხვედრა წაგებული აქვს. სამაგიეროდ, ამერიკელი დავიდენკოს იგდებს აბუჩად. ეს ორი ჩოგბურთელი მეექვსედ შეხვდა ერთმანეთს და ყველა თამაში ბლეიკმა მოიგო.

ფედერერისა და ჰიუიტის შეხვედრა ისე დაიწყო, კაცი იფიქრებდა, შვეიცარიელი იოლ გამარჯვებას მოიპოვებსო. მაგრამ მეორე სეტში ავსტრალიელმა, ვისთვისაც ეს ამ სეზონში მეოთხე ნახევარფინალია, მნიშვნელოვნად გამოასწორა თამაში და მეტოქეს ბევრი პრობლემაც შეუქმნა. საბოლოოდ, სეტი ისე მიილია, ვერც ერთმა ვერ შეძლო მეტოქის მოწოდების ალება. არადა, ფედერერს ორჯერ (მე-3 და მე-11 გეიმებში) ჰქონდა ბრეიკის შანსი. ტაიბრეიკზე თავიდან ჰიუიტი 5:2 დაწინაურდა. მაგრამ შვეიცარიელმა ჯერ ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი მატჩ პოინტიც (6:5) მოიპოვა. ამჯერად ოზმა გადაირჩინა თავი. ჯერ დროპ შოტით გადაარჩინა თამაში, შემდეგ კი ზედიზედ ორი ქულაც მოიგო და სეტებში ანგარიშიც გაათანაბრა.

მესამე სეტის დასაწყისში ჰიუიტი კორტზე დაფრინავდა. მან მეხუთე გეიმში შეძლო მეტოქის სერვისზე ქულის ალება და 3:2 დაწინაურდა. მაგრამ ფედერერმა იქვე საპასუხო ბრეიკი აილო. მერვე გეიმში მას ოთხი ბრეიკ პოინტი ჰქონდა, მეათეში კიდევ ორი (ესენი უკვე მატჩ პოინტები იყო), მაგრამ ოზმა ყველა მოიგერია. ტაიბრეიკზე კი ფედერერმა უპრობლემოდ მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე. თუმცალა, ორჯერ ვიდეოჩანაწერის მოხმობა დასჭირდა.

ბლეიკისა და დავიდენკოს შეხვედრაში თავიდან რუსი დაწინაურდა (2:0), მაგრამ აქედან მოყოლებული, კორტზე ამერიკელი გაბატონდა, რომელმაც ზედიზედ ოთხი გეიმი მოიგო და 4:2 დაწინაურდა. ახლა კი რუსის ჯერი დადგა, რომელმაც მომდევნო ორი გეიმი მოიგო - 4:4. საბოლოოდ კი ბლეიკმა მეათე გეიმიც მოიგო და სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა. სრულიად განსხვავებული სცენარით წარიმართა მეორე გეიმი, რომელშიც დავიდენკომ მეტოქისთვის წინაალმდეგობის გაწევაც კი ვერ შეძლო.

*"დავიდენკოსთან თამაში ყოველთვის გამომდის, რასაც ვერ ვიტყვი როჯერთან შეხვედრებზე. თუმცა, კორტზე რომ გავალ, ამაზე ფიქრს არ ვაპირებ. ვეცდები, ისევე კარგად ვითამაშო, როგორც დღეს და ვიმედოვნებ, რომ ამ შანსს გამოვიყენებ"*, - განაცხადა ბლეიკმა, ვინც აქამდე ექვსჯერ შეხვედრია ფედერერს და ყველა თამაში წაგებული აქვს.

ტორონტოში მიმდინარე ქალთა პირველი კატეგორიის ტურნირის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, ბელგიელმა **ჟუსტინ ანენმა** და სერბმა **ელენა იანკოვიჩმა**. პირველმა ნახევარფინალში შეწყვიტა ჩინელი **ძი იანის** სენსაციური წინსვლა და მიმდინარე სეზონში მეშვიდე ფინალში გავიდა, მეორემ კი სამსეტიან პაექრობაში აჯობა ფრანგ **ტატიანა გოლოვინს**. წინა ექვსი ფინალიდან ჟუსტინს ხუთი აქვს მოგებული, იანკოვიჩის მონაგარი კი ოთხი ტიტულია. მათი წინა ექვსი დაპირისპირებიდან კი ყველა ბელგიელს აქვს მოგებული.

*"ჟუსტინთან ბევრი თამაში მაქვს წაგებული, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ვერასოდეს მოვუგებ. ვეცდები, ეს არასასურველი ტრადიცია ახლა მაინც დავარღვიო. მით უმეტეს, რომ ერთის გარდა, ყველა შეხვედრაში დაძაბული პაექრობა გვქონდა"*, - ამბობს იანკოვიჩი, ვინც გოლოვინთან შეხვედრა ისე დაიწყო, გეგონებოდა, სწრაფად მოუთავებდა ხელს.

სერბმა პირველი სეტის დასაწყისში ორი ბრეიკი მოიპოვა და ანგარიში რომ 5:2 იყო, სეტზე აწოდებდა. სწორედ აქ გამოცოცხლდა გოლოვინი, ვინც ზედიზედ სამი ბრეიკი აილო, სულ კი მიყოლებით ხუთი გეიმი მოიგო და სეტიც თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მეორე სეტიც ისე დაიწყო, როგორც პირველი - სერბი 4:2 დაწინაურდა. ოლონდ, ამჯერად მან შეძლო უპირატესობის შენარჩუნება და სეტებში ანგარიშის გათანაბრება. აქედან მოყოლებული, იანკოვიჩს შეხვედრის სადავეები ხელიდან ალარ გაუშვია. მან გადამწყვეტი სეტის დასაწყისშივე შეძლო ბრეიკის ალება, რასაც მოგვიანებით კიდევ ერთი დაურთო და შეხვედრაც გამარჯვებით დაასრულა.

ჟუსტინისა და იანის თამაში კი ისე დაიწყო, იფიქრებდით, ჩინელი მსოფლიოს პირველი ჩოგნის დამარცხებასაც შეძლებსო. ყოველ შემთხვევაში, ის არც მაშინ შეშინდა, როცა



ჯეიმს ბლეიკი

ბელგიელმა პირველივე ცდაზე მოიპოვა ბრეიკი. იანმა ჩამორჩენა მომდევნო გეიმშივე გაანეიტრალა. შემდეგ მეტოქეებმა კიდევ თითოჯერ გაცვალეს ბრეიკები. მაგრამ, მას შემდეგ, რაც ანგარიში 3:3 გახდა, უპირატესობას მთლიანად ჟუსტინი დაეუფლა, რომელმაც მომდევნო ცხრა გეიმი მოიგო და ამით შეხვედრასაც წერტილი დაუსვა.

სხვათა შორის, ჟუსტინთან შეხვედრამდე, იან ძიმ ტურნირი დაატოვებინა მოქმედ ჩემპიონს სერბეთიდან **ანა ივანოვიჩსა** და უიმბლდონის ფინალისტს საფრანგეთიდან **მარიონ ბარტოლის**. ამასთან, ის სულ მესამე ჩინელი მეჩოგნე ქალია ვინც ვტა-ს პირველი კატეგორიის ტურნირის ნახევარფინალში ითამაშა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### ATP

#### ცინცინატი მასტერსი

ცინცინატი (აშშ, ოჰაიო). მასტერსის სერია. ჰარდი
საპრიზო ფონდი: 2 450 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეი, 1)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ) 6:3, 3:6, 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 5)**-დავიდ ფერერი (ესპ, 16) 6:2, 6:4; **ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 9)**-სემ ქვერი (აშშ) 5:7, 6:4, 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა)**-კარლოს მოია (ესპ) 6:2, 6:4

**1/2 ფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეი, 1)**-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) 6:3, 6:7(7), 7:6(1); **ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 9)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 5) 6:4, 6:2

**ფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეი, 1)**- **ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 9)** 6:1, 6:4

### WTA

#### როჯერს კაპი

ტორონტო (კანადა) პირველი კატეგორია. ჰარდი
საპრიზო ფონდი: 1 340 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**ჟუსტინ ანენი (ბელგ, 1)**-ნადია პეტროვა (რუს, 6) 7:6(4), 6:3; **ელენა იანკოვიჩი (სერბ, 2)**-ვირჟინი რასანო (საფ) 7:5, 6:2; **ტატიანა გოლოვინი (საფ, 12)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 3) 2:6, 7:5, 6:1; **ძი იანი (ჩინ)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 7) 6:2, 3:0 ბარტოლის ტრავმა

**1/2 ფინალი**

**ჟუსტინ ანენი (ბელგ, 1)**-ძი იანი (ჩინ) 6:3, 6:0; **ელენა იანკოვიჩი (სერბ, 2)**-ტატიანა გოლოვინი (საფ, 12) 5:7, 6:3, 6:2

**ფინალი**

**ჟუსტინ ანენი (ბელგ, 1)**-ელენა იანკოვიჩი (სერბ, 2) 7:6, 7:5

## კრივი

საშუალო წონა

# მეფე არტურმა გვირგვინი შეინარჩუნა

რას მოვესწარით, IBF-ის საშუალო წონის ტიტულისთვის, რომელიც ერთ დროს ლეგენდარული **ბერნარდ ჰოპკინსის** კუთვნილება იყო, ერთმანეთს ორი სომეხი - ახლანდელი ჩემპიონი **არტურ აბრაჰამი** და პრეტენდენტი **ხორენ გევორი** დაუპირისპირდა.

აბრაჰამმა (24-0, 19 ნოკაუტი), ვისაც პროფესიულ რინგზე ჯერ ბრძოლა არ წაუგია, მე-11 რაუნდში ნოკაუტი აგემა თავის თანამემამულეს (ორივე სომეხი კია, მაგრამ გერმანიის სახელით ასპარეზობს) და ტიტული მეხუთედ დაიცვა. ნოკაუტამდე ჩემპიონმა პრეტენდენტი ძლიერი დარტყმებით დაბომბა, მაგრამ გევორი დაცემას არ აპირებდა. მაგრამ შემდეგ "მეფე არტურისგან" მოკლე აპერკოტი მოხვდა, რამაც ის ჰაერში ააგდო და რინგზე დაანარცხა (ეს მის პროფესიულ კარიერაში პირველი დაცემა ყოფილა).

*"ხორენი ნამდვილი მებრძოლია. მაგრამ ნებისმიერს, ვინც ჩემს ტიტულს წაეპოტინება, ასეთი ბედი ელის"*, - ნაბრძოლევს მოკლედ მოჭრა ჩემპიონმა, ვისაც შეხვედრის დასაწყისში თავად უწევდა მეტოქის გაშმაგებული შეტევების მოგერიება. ბრძოლაში გარდატეხა მეშვიდე რაუნდში მოხდა მას შემდეგ, რაც აბრაჰამის მუშტი გევორს (27-3, 15 ნოკაუტი) ზედიზედ რამდენჯერმე მისწვდა. აქედან მოყოლებული, გევორი ნამდვილ სავარჯიშო ტომარას დაემსგავსა. მისმა მწვრთნელმა **ფრიც შმუდეკმა** ნაბრძოლევს განაცხადა, რინგზე პირსახოცის გადმოგდება მინდოდა, მაგრამ ხორენმა ამის ნება არ მომცაო.

*"რინგზე პირსახოცის გადმოგდება მინდოდა, მაგრამ ხორენმა ამის უფლება არ მომცა - ბოლომდე უნდა ვიბრძოლოო. მან ერთი დიდი შეცდომა დაუშვა, რის შემდეგაც ერთბაშად დაკარგა უპირატესობა. ეს ერთი დარტყმით წაგებული ბრძოლაა"*, - განაცხადა შმუდეკმა. გევორისთვის ეს მესამე წაგებაა, რომელთაგან წინა ორში მან ქულებით დათმო ბრძოლები.

გევორი მერვე რაუნდშიც ნოკაუტის საშიშროების წინაშე ალმოჩნდა. ეს მერვე რაუნდში, მას შემდეგ მოხდა, რაც აბრაჰამისგან ზედიზედ რამდენიმე მძიმე დარტყმა მიილო. პრეტენდენტმა ძლივს მიატანა მეათე რაუნდის ბოლომდეც, მაგრამ მომდევნოში გონგს ალარ დაუცადა.

ბრძოლის შემდეგ, აბრაჰამის ბანაკმა განაცხადა, მომდევნო ბრძოლას ამერიკაში გავმართავთო. შეგახსენებთ, რომ შარშან "მეფე არტურმა" ტიტული კოლუმბიელ **ედისონ მირანდასთან** ყბამოტეხილმა დაიცვა. ჩემპიონის მენეჯერმა **ვილფრედ ზაუერლანდმა** განაცხადა, რომ ამერიკიდან რამდენიმე საინტერესო წინადადება აქვს მილებული.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ველოსპორტი

პრო ტური

#### გერმანიის ტური

მე-9 ეტაპი. აინზეკიდან ჰანოვერამდე (143.1 კმ)

1. გერალდ ჩიოლეკი (გერმანია, ტე-მობილი) 3:16.55 (43.602 კმ/სთ); 2. ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი) იგივე დროში; 3. მარკ რენშოუ (ავსტრალია, კრედიტ აგრიკოლი); 4. ხუან ხოსე აედო (არგენტინა, CSC); 5. დანილო ნაპოლიტანო (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) ყველა იგივე დროში...

საბოლოო კლასიფიკაცია

1. იენს ფოიგტი (გერმანია, CSC) 30:57.21; 2. ლევი ლეიპჰაიმერი (აშშ, დისქავერი ჩენელი) 1.57; 3. დავიდ ლოპეს გარსია (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 2.10; 4. ლეონარდო ბერტანიოლი (იტალია, ლიკიგაზი) 3.05; 5. რობერტ ხესინკი (ჰოლანდია, რაბობანკი) 3.15...

## ავტოსპორტი

მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი

#### ბრნო. ჩეხეთის დიდი პრიზი. მე-12 ეტაპი

**125 კუბ. სმ (19 წრე; 102.657 კმ)**

| | |
|---|---|
| 1. ექტორ ფაუბელი (ესპ. აპრილია) | 40.57.408 |
| 2. მატია პაზინი (იტა. აპრილია) | +0.070 |
| 3. ლუკაშ პეშეკი (ჩეხ. დერბი) | +0.222 |
| 4. გაბორ ტალმაში (უნგრ. აპრილია) | +0.272 |
| 5. ტომოიოში კოიამა (იაპ. KTM) | +7.607 |

**საერთო ჩათვლა**

1. ექტორ ფაუბელი - 179; 2. გაბორ ტალმაში - 169; 3. ლუკაშ პეშკი - 129; 4. ტომიოში კოიამა - 129; 5. სიმონე კორსი (იტა. აპრილია) - 119

**250 კუბ.სმ (20 წრე; 108.06 კმ)**

| | |
|---|---|
| 1. ხორხე ლორენსო (ესპ. აპრილია) | 41.04.954 |
| 2. ანდრეა დოვიციოზო (იტა. ჰონდა) | +7.708 |
| 3. მიკა კალიო (ფინ. KTM) | +11.107 |
| 4. ექტორ ბარბერა (ესპ. აპრილია) | +11.422 |
| 5. ალვარო ბაუტისტა (ესპ. აპრილია) | +13.944 |

**საერთო ჩათვლა**

1. ხორხე ლორენსო - 216; 2. ანდრეა დვიციოზო - 186; 3. ალექს დე ანჯელისი (სან მარ. აპრილია) - 176; 4. ალვარო ბაუტისტა - 127; 5. ექტორ ბარბერა - 103

**მოტოგრანპრი (22 წრე. 118.866 კმ)**

| | |
|---|---|
| 1. კეისი სტოუნერი (ავსტრალ. დუკატი) | 43.45.810 |
| 2. ჯონ ჰოპკინსი (აშშ. სუძუკი) | +7.903 |
| 3. ნიკი ჰეიდენი (აშშ. ჰონდა) | +13.100 |
| 4. დანი პედროსა (ესპ. ჰონდა) | +15.800 |
| 5. კრის ვერმიულენი (ავსტრალ. სუძუკი) | +178303 |

**საერთო ჩათვლა**

1. კეისი სტოუნერი - 246; 2. ვალენტინო როსი (იტა. იამაჰა) - 186; 3. დანი პედროსა - 168; 4. კრის ვერმიულენი - 124; 5. ჯონ ჰოპკინსი - 124

რალი. მსოფლიო ჩემპიონატი

#### გერმანიის რალი. მე-10 ეტაპი

რბოლის შედეგი

| | |
|---|---|
| 1. სებასტიან ლოები (საფ. სიტროენი) | 3.27.27.5 |
| 2. ფრანსუა დიუვალი (ბელგ. სიტროენი) | +00.20.3 |
| 3. მიკო ჰირვონენი (ფინ. ფორდი) | +01.19.1 |
| 4. მარკუს გრონჰოლმი (ფინ. ფორდი) | +01.36.5 |
| 5. იან კოპეჩკი (ჩეხ. შკოდა) | +03.04.1 |
| 6. პეტერ სოლბერგი (ნორ. სუბარუ) | +03.07.7 |
| 7. ტონი გარდემაისტერი (ფინ. სიტროენი) | +03.37.5 |
| 8. იარი მატი ლატვალა (ფინ. ფორდი) | +05.29.5 |

**პილოტთა ჩათვლა**

1. მარკუს გრონჰოლმი - 80; 2. სებასტიან ლოები - 72; 3. მიკო ჰირვონენი - 63; 4. პეტერ სოლბერგი - 29; 5. ჰენინგ სოლბერგი (ნორ. ფორდი) - 28; 6. დანი სორდო (სპ. სიტროენი ) - 28; 7. კრის ატკინსონი (ავსტრალ. სუბარუ) - 20; 8. იარი მატი ლატვალა - 13; 9. ტონი გარდემაისტერი - 10

**კონსტრუქტორთა თასი**

1. ფორდი - 143; 2. სიტროენი - 102; 3. სუბარუ - 52; 4. სტობარტ-ფორდი - 50; 5. კრონოს-სიტროენი - 35; 6. შკოდა - 6

## კალათბურთი

NBA. სკანდალი

# დონაჰიუ კიდევ 20 თაღლითს დაასახელებს

**ტიმ დონაჰიუ** ამერიკული სპორტული ცხოვრებისა და ამ ბოლო ორი კვირის განმავლობაში, მთელი ყვითელი პრესის მთავარ მოქმედ პირად იქცა. მსაჯი, რომელსაც ჩაწყობილ თამაშებში მონაწილეობა დაუმტკიცდა, პროფესიული ზელიგის იმიჯის მთავარ შემლახველად ხომ იქცა. მაგრამ ამით, ლიგის კომისარ **დევიდ სტერნისთვის** თავსატეხი არ ილევა. მთავარი სიურპრიზი ის არის, რომ დონაჰიუმ FBI-ის აგენტებთან საუბარში აღნიშნა, თუ საბოლოო სასჯელს შემიმსუბუქებთ, კიდევ ოც ჩემნაირს დავასახელებო.

"მისნაირს", ანუ კიდევ ოც თაღლითს, რომლებიც თამაშებზე ფულს დებდნენ და მსაჯებზე ზეწოლის შედეგად, მაფიოზურ კლანებს დიდ თანხას აგებინებდნენ.

მსაჯთა კავშირის ხელმძღვანელი **ლეიმელ მაკმორისი** კი დარწმუნებულია, რომ დონაჰიუ ვერავის დაასახელებს.

*"ტიმი შეშინებულია, ყველანაირად ცდილობს, სასჯელი შეუმსუბუქონ და ამიტომაც, ყველაფერზეა წამსვლელი. ჩვენ ყველასთან ღიად ვსაუბრობთ და მზად ვართ, თუ საჭირო გახდა, საარქივო მასალები მოვიძიოთ, გამოძიება გავაღრმავოთ და ყველას დავუმტკიცოთ, რომ დონაჰიუს გარდა, NBA-ს დიდი ოჯახი არცერთ კორუმპირებულ წევრს არ იცნობს"*, - ამბობს ლეიმელ მაკმორისი.

იგივე აზრზეა დევიდ სტერნიც, რომელმაც დონაჰიუს "ბოროტი და სულელი კრიმინალი" უწოდა.

*"დონაჰიუ უნდა დაისაჯოს. ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ FBI-ს აგენტებს ვთხოვ, ყურადღებით მოუსმინონ იმ არამზადას, რომელიც ისეთ სიტუაციაშია, რომ დამნაშავესა და უდანაშაულოს განგებ "ვერ გაარჩევს". დონაჰიუ ჩვენი სირცხვილია"*, - ასეთია სტერნის კომენტარი.

საცოდავ დონაჰიუს კი არიზონის შტატის პროკურორი **ენდრიუ ტომასი** სავარაუდო 25-წლიანი სასჯელის გაორმაგებას ჰპირდება.

საქმე ის არის, რომ ენდრიუ ტომასმა დევიდ სტერნსა და საგამომძიებლო ბიუროს აგენტებს გადაუგზავნა მასალები, რომელთა მიხედვითაც ტიმ დონაჰიუმ "ფინიქს სანზსს" ორი საფლეიოფო მატჩი "დაუგეგმა".

პირველ შემთხვევაში, დონაჰიუს დიდი ფული 29 აპრილის მატჩზე ედო, რომელშიც "სანზი" "ლეიკერსს" ხვდებოდა.




დონაჰიუ (მარცხნივ) ფინიქსის სკანდალური მატჩის დროს

ტიმმა თანხა "ფინიქსის" მოგებაზე დადო და მატჩი არიზონელებმა 113:110 მოიგეს.

მეორედ, დონაჰიუს მეცადინეობით, "სანზი" შინ, 12 მაისს "სან ანტონიოსთან" 101:108 დამარცხდა. სწორედ ამ ორი მატჩის ირგვლივ გაჩნდა ეჭვები, თუმცა მერე და მერე სტერნმა ყველაფერი ჩააცხრო და "ფინიქსიც" ფლეიოფს მომავალ ჩემპიონ "სპურსთან" 2:4 წაგებით გამოეთიშა.

ასე რომ, ტიმ დონაჰიუს თავისუფლების ძალიან დიდი ხნით ალკვეთა ელის. ჩვენ კი მოვლენათა შემდგომ განვითარებას დაველოდებით.

**ზურაბ თალაკვაძე**

## TV სპორტი

### 20 აგვისტო. ორშაბათი

**SPORT 1 (უკრაინა)**

**07:00** ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-ვალენსია.
**08:50** სპორტის სამყარო.
**09:20** კრივი. რინგ-საიდი.
**10:20** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ბირმინგემი.
**12:05** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**12:35** მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგრან-პრი. სტოკჰოლმი. შვედეთი.
**16:05** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. მილანი-ეინდჰოვენი. მოსკოვი. რუსეთი.
**18:00** ჰოკეი. NHL. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. სტენლის თასი. დეტროიტი-ანაჰაიმი.
**20:10** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-რედინგი.
**22:00** სპორტკლუბი.
**22:45** პროფესიული კრივი. მარკო ანტონიო ბარერა-როკი ხუარესი.
**01:50** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ბირმინგემი.
**03:35** მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგრან-პრი. სტოკჰოლმი. შვედეთი.

**EUROSPORT**

**10:30** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია.
**11:00** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩეხეთის გრან პრი. ხერესი.
**12:00** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. კოლუმბია-გერმანია. ს. კორეა (LIVE).
**14:00** ბალახის ჰოკეი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. უკრაინა-გერმანია. მანჩესტერი. ინგლისი (LIVE).
**15:30** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ტრინიდადი-განა. ს. კორეა (LIVE).
**17:00** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. კოლუმბია-გერმანია. ს. კორეა.
**18:00** ბალახის ჰოკეი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. ჰოლანდია-ირლანდია. მანჩესტერი. ინგლისი (LIVE).
**19:30** ტრამპლინიდან ხტომა. ოთხი ერის გრან-პრი. HS117. აიზიდელნი. შვეიცარია.
**20:00** ევროგოლი. ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**20:30** ბალახის ჰოკეი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ბელგია. მანჩესტერი. ინგლისი (LIVE).
**21:30** მულტისპორტი.
**22:00** სუმო.
**23:00** ბრძოლა წესების გარეშე.
**02:00** ევროგოლი. ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**02:30** მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
**03:00** მულტისპორტი.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
**13:00** მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. ირლანდია.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. ყაზახეთი-პოლონეთი. ტოკიო. იაპონია.
**17:00** ექსტრემალური სპორტი.
**18:00** მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. ირლანდია.
**19:00** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩეხეთის გრან პრი. ხერესი.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
**21:00** მაუნტინბაიკი. მსოფლიო თასი. ავსტრია.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. კოლუმბია-გერმანია. ს. კორეა.
**23:00** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
**00:00** სერფინგი. საფრანგეთი.
**00:15** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. პალმა-დე-მალიორკა. ესპანეთი.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ნიგერია-საფრანგეთი. ს. კორეა.
**02:15** ახალი ამბები.
**02:30** სერფინგი. საფრანგეთი.

## ავტოსპორტი

კონკურენტი

# ალონსო ყველაზე მდიდარი ესპანელია




ფერნანდო ალონსო

სხვადასხვა გამოცემებს ძალიან უყვართ ცნობილ ადამიანთა ჯიბეებში ქექვა და იმის გაგება, როგორ და რაც მთავარია, რის ხარჯზე ცხოვრობენ ისინი. გამონაკლისი არც ესპანური ჟურნალი Tiempo გახლავთ, რომელიც ყოველ წელიწადს ატარებს საკუთარ გამოკვლევას. მიზანი ერთადერთია - გაიგონ, თუ რომელი ესპანელის შრომაა ქვეყანაში ყველაზე მაღალანაზღაურებადი.

2006 წლის შედეგების მიხედვით, ყველაზე მდიდარი ესპანელი "მაკლარენის" პილოტი **ფერნანდო ალონსო** ყოფილა, რომლის შარშანდელმა შემოსავალმა 14 მილიონი ევრო შეადგინა. *"ალონსოს ყოველწლიური შემოსავალი უტოლდება თანხას, რომელსაც 24 ესპანელი ოფიციანტი ერთად მთელი ცხოვრების განმავლობაში გამოიმუშავებს"*, - წერს Tiempo.

საინტერესოა, რომ ამ სიაში მეორე ადგილზეც სპორტსმენია. ეს გახლავთ კალათბურთელი **პაუ გასოლი**, რომელიც NBA-ში "მემფის გრიზლისის" რიგებში თამაშობს. მან შარშან დაახლოებით 13 მილიონი ევრო გამოიმუშავა. და მხოლოდ მესამე ადგილზეა ადამიანი, რომელსაც სპორტთან არანაირი კავშირი არ აქვს - ბანკ BBVA-ს პრეზიდენტი **ფრანსისკო გონსალესი** - მისი წლიური შემოსავალი 9.7 მილიონ ევროს უდრის.

მადრიდის "რეალის" ფეხბურთელებმა **იკერ კასილიასმა** და **რაულ გონსალესმა** შესაბამისად, 8.5 და 8.4 მილიონი ევრო მიიღეს, ჩოგბურთელმა **რაფაელ ნადალმა** - 6 მილიონი. ეს იმ დროს, როცა 24 წლის მატადორის, **ხულის** შემოსავალმა 7 მილიონი ევრო შეადგინა.

## ჰოკეი

კრიმინალი

# გრეტცკი დააღალატა, მაგრამ ციხეს გადაურჩა

NHL-ის ყოფილ ვარსკვლავს **რიკ ტოკეტს**, იატაკქვეშა ტოტალიზატორთან კავშირისთვის ორწლიანი პირობითი პატიმრობა მიესაჯა.

ასეთი გადაწყვეტილება მიიღო შაბათს ნიუ ჯერსის სასამართლომ. "ფილადელფიასა" და "პიტსბურგის" ყოფილ თავდამსხმელს ხუთი წელი ციხე ემუქრებოდა, მაგრამ დანაშაულის აღიარებამ და სუფთა წარსულმა სასჯელი საგრძნობლად შეამსუბუქა.

43 წლის ტოკეტის გარშემო სკანდალი 2006 წლის თებერვალში აგორდა, როცა ის "ფინიქს კოიოტში" მთავარი მწვრთნელის **უეინ გრეტცკის** თანაშემწედ მუშაობდა. უკანონო ბიზნესში ტოკეტი და მისი პარტნიორები ფსონებს სპორტის სხვადასხვა სახეობებზე იღებდნენ, მათ შორის ამერიკულ ფეხბურთზეც. ტოკეტს გაუმართლა, რადგან გამოძიებამ ვერ დაამტკიცა, რომ ფსონები NHL-ის მატჩებზეც მიიღებოდა. იატაკქვეშა ტოტალიზატორის ბრუნვა მილიონ დოლარს აღემატებოდა.

ამ სკანდალმა ნეგატიურად იმოქმედა ჰოკეის ეროვნული ლიგის ყველა დროის საუკეთესო მოთამაშეზე - უეინ გრეტცკიზე. მართალია ცოტა ხნით, მაგრამ გამოძიება გრეტცკის მეუღლით, **ჯენეტითაც** იყო დაინტერესებული და თან, ეს ყველაფერი ტურინის ოლიმპიური თამაშების წინ ხდებოდა, სადაც გრეტცკი კანადის ჰოკეის ოლიმპიური ნაკრების გენერალური მენეჯერის ფუნქციებს ასრულებდა. ტურინში მოქმედმა ოლიმპიურმა ჩემპიონებმა წარუმატებლად ითამაშეს და მეოთხედფინალში რუსეთის ნაკრებთან წააგეს.



რიკ ტოკეტი

კალათბურთი

### იასიკიავიჩუსი ოლიმპიაკოსს მიუახლოვდა

ახალ სეზონში შესაძლოა ევროპაში NBA-ის კიდევ ერთი ლეგიონერი დაბრუნდეს. თუ eurobasket.lt-ს დავუჯერებთ, თითქმის გადაწყვეტილია ლიტველი **შარუნას იასიკიავიჩუსის** (31 წლის, 192 სმ) "გოლდენ სტეიტიდან" "ოლიმპიაკოსში" ტრანსფერის საკითხი. აღსანიშნავია, რომ "წითლების" მთავარი მწვრთნელი **პინი გერშონი** გახლავთ, რომლის ხელმძღვანელობით შარასი თელ-ავივის "მაკაბიში" თამაშობდა. "ოლიმპიაკოსში" შარუნასი კიდევ ორი ლიტველს, **არვიდას მაციაუსკასსა** და **რენალდას სეიბუტისს** შეუერთდება.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე, ლიტვური პრესა წერდა იმის შესახებ, რომ შარუნასმა "ოლიმპიაკოსს" უარი შეუთვალა და NBA-ში დამკვიდრებისთვის ბრძოლის გაგრძელება გადაწყვიტა. ჭორების მიხედვით, ბერძნები იასიკიავიჩუსს სამწლიან კონტრაქტში 10 მილიონ დოლარს სთავაზობდნენ.

ჩოგბურთი

### სერენას მორიგი უარი

ამერიკელმა **სერენა უილიამსმა** კიდევ ერთი ტურნირიდან გამოიტანა განაცხადი. ამჯერად, ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებულმა ნიუ ჰევენის ტურნირის ორგანიზატორებს შეუთვალა უარი და მიზეზად კვლავ ხელის თითის ტრავმა დაასახელა.

*"ვეცდები, უახლოეს დღეებში განვაახლო სრულფასოვანი ვარჯიშები, მაგრამ ტრავმა ბოლომდე მოშუშებული არ არის და ჯერჯერობით, არ შემიძლია მაღალ დონეზე თამაში"*, - აცხადებს უმცროსი უილიამსი.

შეგახსენებთ, რომ სერენამ ეს დაზიანება უიმბლდონზე მიიღო და მას შემდეგ არცერთი ოფიციალური მატჩი არ ჩაუტარებია.

### ქორწილი არ იქნება

მთელი საჩოგბურთო სამყარო მოუთმენლად ელოდა ჩეხი **რადეკ შტეპანეკისა** და შვეიცარიელი **მარტინა ჰინგისის** ქორწილს, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ჩოგბურთელების შეუღლება არ მოხდება.

ATP-ის ოფიციალური ვებ-გვერდი წერს, რომ ეს ინფორმაცია თავად შტეპანეკმა გაავრცელა, მაგრამ ამასთან, ჩეხ ჩოგბურთელს ჰინგისთან დაშორების მიზეზები არ დაუსახელებია. ჟურნალისტთა ცნობით, რადეკმა და მარტინამ ყოველგვარი სკანდალის გარეშე გაარკვიეს ურთიერთობა და კარგ მეგობრებად დარჩნენ.

არადა, შარშანდელი სეზონის დასრულებისთანავე, შტეპანეკსა და ჰინგისს ნიშნობა ჰქონდათ და ქორწილის ორგანიზებასაც აპირებდნენ.

ჰოკეი

### უკან ბავშვობაში

გასულ თვეში, ტრავმირებულ ფეხზე გადატანილი მორიგი ოპერაციის შემდეგ, შვედმა ვარსკვლავმა **პეტერ ფორსბერგმა** ვარჯიში დაიწყო, თავს კარგად გრძნობს და შესაძლოა, ახალი სეზონი "ვანკუვერ კენაქსის" შემადგენლობაში დაიწყოს.

ყოველ შემთხვევაში, ამ კლუბში ფორსბერგს მისი ბავშვობის მეგობრები, **მარკუს ნესლუნდი** და ძმები **სედინები** ეპატიჟებიან, რომლებთან ერთადაც, 2005 წლის ლოკაუტის დროს პეტერი შვედურ "მოდოში" თამაშობდა.

*"ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ფორსბერგი ჩვენს გუნდში აღმოჩნდეს. მისით ბევრი კლუბია დაინტერესებული, მაგრამ სანამ პეტერი ბოლომდე არ მოიშუშებს ტრავმას, ის მომავალი კლუბის თაობაზე გადაწყვეტილებას არ მიიღებს"*, - ამბობს ნესლუნდი.

ამჟამად თავისუფალმა აგენტმა ფორსბერგმა, შარშან ორ კლუბში - "ფილადელფიასა" და "ნეშვილში" ითამაშა და ჯამში 57 მატჩში 55 ქულა დააგროვა.

კალათბურთი

## რეგულარული 30 ოქტომბერს დაიწყება

გუშინ, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ მომავალი სეზონის ძირითადი თარიღები გამოაცხადა. რეგულარული ჩემპიონატი 30 ოქტომბერს დაიწყება, ხოლო ბოლო ტურის მატჩები 16 აპრილს გაიმართება.

"ყველა ვარსკვლავის მატჩი" 17 თებერვალს ნიუ ორლეანში გაიმართება. ფლეი ოფის დაწყება 19 აპრილს არის დაგეგმილი. რაც შეეხება 2008 წლის დრაფტს, ის ნიუ იორკში 26 ივნისს ჩატარდება.

ასევე ცნობილი გახდა, რომ ამა წლის 1 ოქტომბერს გაიხსნება ევროპაში NBA-ს ეგიდით გასამართი საწვრთნელი ბანაკები, ხოლო ხუთი დღის შემდეგ დაიწყება ტურნე - NBA Europe Live, რომელიც 11 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

## სპურსმა უდოკა დაიმატა

NBA-ის ჩემპიონმა "სან ანტონიო სპურსმა" კონტრაქტი გააფორმა "პორტლენდის" ექს-მოთამაშესთან, **იმე უდოკასთან**. ნიგერიელ კალათბურთელს, რომელსაც სამქულიანების ტყორცნა ეხერხება (შარშანდელ სეზონში იმე ამ მაჩვენებლით ლიგაში მე-19 ადგილზე გავიდა), აგრეთვე "ლოს ანჯელეს ლეიკერსი" და "ნიუ იორკ ნიქსიც" ეპატიჟებოდნენ. 30 წლის უდოკას კონტრაქტის დეტალები უცნობი დარჩა.

გასულ რეგულარულში ნიგერიელი "პორტლენდში" თამაშობდა და საშუალოდ 8.4 ქულით, 3.7 მოხსნითა და 1.5 შედეგიანი გადაცემით ეხმარებოდა თავის გუნდს.

## დეტროიტი ჯერვის პეიესით შეივსო

ახალი სეზონისთვის მორიგი კალათბურთელი დაიმატა "დეტროიტ პისტონზმა". ეს გახლავთ მსუბუქი ფორვარდი **ჯერვის ჰეიესი**. 26 წლის მოთამაშემ გასული სეზონი "ვაშინგტონ უიზარდსში" გაატარა, 81 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 7.2 ქულა მოიპოვა.

"დეტროიტის" პრეზიდენტმა **ჯო დუმარსმა** განაცხადა, რომ ჰეიესმა "ვაშინგტონში" თამაშისას საუკეთესო თვისებები გამოავლინა და ახლა "პისტონზს" აღარ სჭირდება მსუბუქი ფორვარდის პოზიციის გაძლიერებაზე ფიქრი.

## ბულერი მილანში დარჩა

იტალიის ნაკრების მცველმა **მასიმო ბულერიმ** "მილანთან" 2010 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი. ამ ინფორმაციას ULEB-ის ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.

29 წლის კალათბურთელი მილანურ კლუბში 2005 წელს გადავიდა. გასულ სეზონში, ბულერიმ სერია A-ში 35 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ შეხვედრაში 8.4 ქულას, 2.3 შედეგიან გადაცემასა და 1.5 ჩაჭრას აგროვებდა.

## გირიჩეკი ტაუში გადადის?

ხორვატმა გორდან გირიჩეკმა შესაძლოა NBA ესპანეთის ჩემპიონატში გაცვალოს.

როგორც გაზეთი El Correo იუწყება, ფორვარდს ევროპაში დაბრუნება სურს და ამ მიზნით, მზად არის "ტაუგრესის" წინადადება განიხილოს. მაგრამ ესპანეთში გადაბარგებას შესაძლოა ხელი იმან შეუშალოს, რომ გირიჩეკს მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს "იუტა ჯაზთან".

გოდრანმა გასულ სეზონში "ჯაზმენთა" რიგებში 61 მატჩი ჩაატარა. მისი საშუალო სტატისტიკური მონაგარი 7.8 ქულასა და 2.1 მოხსნას შეადგენდა.



ეს საინტერესოა

# ვინ დგას შარაპოვას უკან?

*III ნაწილი. დასასრული*

### მაიამის ამბები

ზაფხულის პირველ დღეებში **მარია შარაპოვას** კლანში ისეთი სიტუაცია შეიქმნა, როდესაც მოთამაშის რუსეთში დაბრუნებას მხარი მხოლოდ თავად მარიამ და მამამისმა, **იურიმ** დაუჭირეს.

შარაპოვას ძალიან სურდა მოსკოვის ღამის კლუბებში გასეირნება, თავის საყვარელ რესტორან "არლეკინოში" "ბორშჩის" დაგემოვნება, ხოლო იურის კი, ყველაზე მეტად რუსული საჩოგბურთო სამყაროს ნათლიმამის, **შამილ ტარპიშჩევის** ნახვა უნდოდა.

ოდესღაც, როდესაც იური შარაპოვს ფული დასჭირდა, იგი შამილთან მივიდა და სესხად გარკვეული თანხა სთხოვა. ტარპიშჩევმა მომავალი ვარსკვლავისა და მისი მამისთვის "მთელი" ათასი დოლარი გაიმეტა, მერე და მერე კი რუსი ჟურნალისტები არაერთხელ წერდნენ შამილსა და იურის შორის სიტყვიერად გაფორმებულ ხელშეკრულებაზე, რომლის მიხედვითაც, შარაპოვს ტარპიშჩევისთვის ყოველთვიურად 35 ათასი დოლარი უნდა გადაეხადა.

მოკლედ, მამა-შვილს მოსკოვში ჩასვლა სურდა, მაგრამ ამას ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა.

31 მარტს ცნობილი გახდა, რომ მაიამის ერთ-ერთი უძვირესი ცათამბჯენის "პორტოფინოს" პენთჰაუზში დაიგეგმა შეხვედრა, რომელზეც შარაპოვას კლანის ყველა წარმომადგენელი უნდა მისულიყო. სხვათა შორის, ამავე ცათამბჯენში სამი სართული **ანა კურნიკოვას** აქვს ნაყიდი.

შეხვედრაზე 16 ადამიანი შეიკრიბა, მაგრამ არ იყო ამ საიდუმლო სერობის მთავარი მოქმედი პირი, ანუ მარია. იურიმ შეხვედრაზე თავიდანვე აიღო ინიციატივა და ხმამაღლა განაცხადა - მოსკოვში ვბრუნდებით და იქ რამდენ ხანსაც გვსურს, იმდენ ხანს გავჩერდებითო.

ამერიკელებმა აგენტ **მარკ აიზენბადის** მეთაურობით, შარაპოვზე ეგრევე ზეწოლა განახორციელეს და მარიას აგენტმა პირდაპირ უთხრა იურის - თუ მოსკოვში ჩახვალ, მაშინვე ანტიამერიკულ მოღვაწეობაში დაგადანაშაულებენ, ხოლო თუ ესეც არ დაგაშოშმინებს, მაშინ საგიჟეთში ჩაგკეტავთო.

ბოლოს და ბოლოს, იურიმ კაპიტულაცია გამოაცხადა და ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც მისი შვილი მოსკოვში ან რუსეთის ნებისმიერ ქალაქში მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი კვირით ჩავიდოდა. აქ, რა თქმა უნდა, არ იგულისხმებოდა ის რამდენიმე ტურნირი, რომელიც რუსეთში იმართება. თუმცა, კონტრაქტში ასევე იყო პუნქტი, რომელიც შარაპოვას ფედერაციის თასზე ტრავმის მიღების შემთხვევაში, იურის კომპენსაციის სახით 115 ათასი დოლარის გადახდას ავალდებულებდა.

მარკ აიზენბადმა შარაპოვასთვის დადებითი იმიჯის შესანარჩუნებლად, ყვითელი პრესის საშუალებით გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს მარიას მარჯვენა მხარი აქვს ნატკენი და ამის გამო, მოსკოვში ჩასვლას ვინ ჩივის, სამი კვირა ვერც ერთ ტურნირზე ვერ ითამაშებდა. შემოსავლის დაკარგვის საშიშროება კი იყო, მაგრამ ივლისში მარიას ერთ-ერთ ავტომაგნატთან ხუთწლიანი კონტრაქტი უნდა გაეფორმებინა და მარტო დიდი სლემის ტურნირებზეც რომ ეთამაშა, შარაპოვა მაინც ყველაზე შემოსავლიანი ქალი სპორტსმენი იქნებოდა.

ცხადია, ამ შეხვედრის შესახებ მარიამ ვერაფერი გაიგო, ხოლო შამილ ტარპიშჩევი კი გაოგნებული დარჩა.

რამდენიმე კვირის მერე, შამილ ანვიაროვიჩმა მომხდართან დაკავშირებით შემდეგი კომენტარი გააკეთა: *"მარიას უკან დგას ხალხი, ვინც მის სამშობლოში დაბრუნებას ეწინააღმდეგება. შარაპოვას სურვილი რუსეთის ნაკრებში თამაშია, მაგრამ ამ ხალხს ჩვენი ერისთვის დიდი მოთამაშის წართმევა სურს. ვერ ვხვდები, რაში სჭირდება ეს ამერიკას? იური შარაპოვი სიტუაციას ვერ აკონტროლებს და თავისი შვილის აგენტის, მარკ აიზენბადის მონაა. იმედი მაქვს, უახლოეს მომავალში სიტუაცია შეიცვლება და მარია შარაპოვა რუსეთის ნაკრებში მაინც ითამაშებს. ამერიკელებს კი მხოლოდ ერთ რამეს შევახსენებთ - მარიას ფედერაციის თასზე უკვე აქვს ნათამაშები რუსეთის ნაკრებში და აქედან გამომდინარე, ამერიკის შემადგენლობაში ვერასოდეს ითამაშებს".*

მას მერე სიტუაცია არ შეცვლილა. მარია შარაპოვა ამერიკაშია, სადაც თავისთვის და სხვისთვის ზღვა ფულს შოულობს და ამასთან ერთად, ლამის ყოველთვე, რომელიმე დიდ ფირმასთან მრავალწლიან ხელშეკრულებას აფორმებს. მოდით, შარაპოვას რამდენიმე სპონსორს გადავხედოთ.



1. **HONDA**. იაპონელებმა შარაპოვას ექვსწლიანი ხელშეკრულება ჯერ კიდევ უიმბლდონის მოგებამდე გაუფორმეს. დაუზუსტებელი ინფორმაციით, შარაპოვა წლიურად 3.25 მილონ დოლარს იღებს.

2. **LANDROVER**. შარაპოვა ამ ფირმისგან "მხოლოდ" 3 მილიონს იღებს. თავიდან კომპანიის მფლობელებმა მარიას 7 მილიონი შესთავაზეს, ოღონდ იმ პირობით, თუ იგი ფირმის სახე არა მარტო ჩრდილო ამერიკაში, არამედ ევროპაშიც იქნებოდა, რაზეც მარკ აიზენბადმა უარი განაცხადა. მიზეზი მარტივია - რუსეთიც ხომ ევროპის ნაწილია.

3. **MOTOROLA**. ამ კონტრაქტით მარიას შემოსავალი 4 მილიონი დოლარია, თუმცა აიზენბადმა ამჯერადაც მხოლოდ ამერიკულ ბაზარზე გასვლა ამჯობინა, რითაც შარაპოვას 2 მილიონი დააკარგვინა.

4. **TAG HEUER**. საათების შვეიცარული კომპანია ამერიკაში დიდი პოპულარობით სარგებლობს და მარიას ყოველწლიურად ორ მილიონ დოლარს უხდის. აიზენბადს დაგეგმილი აქვს, რომ შვეიცარიელებმა მის კლიენტთან 2010 წელს, ანუ მოქმედი კონტრაქტის დასრულებისთანავე ხელშეკრულება კიდევ ხუთი წლით გაახანგრძლივონ.

**5-6. GATORADE და TROPICANA** ინგლისური ფირმები, რომლებიც წვენებსა და ენერგო-სასმელებს უშვებენ. შარაპოვა მათგან ჯამში 4 მილიონს იღებს.

■ ■ ■

ბოლოს კი, შარაპოვას კლანის მთავარი ფიგურებიც გავიცნოთ, ოღონდ, მარკ აიზენბადის გარეშე.

საერთოდ, ტერმინი "საჩოგბურთო კლანი" 80-იან წლებში **ბორის ბეკერმა** დაამკვიდრა, რომელიც თითქმის ყველა ტურნირზე ვეება ამალის თანხლებით დადიოდა. ცოლი (ხანდახან - ცოლიცა და საყვარელიც), ფსიქოლოგი, ექიმი, მრჩეველი, სამი მეგობარი, ოჯახის რამდენიმე წარმომადგენელი და კიდევ ბევრი სხვა პიროვნება უმშვენებდა გვერდს წითურ ბორისს. მერე და მერე გაჩნდა **ანდრე აგასის, პიტ სამპრასის, მარტინა ჰინგისის, დები უილიამსებისა** და ანა კურნიკოვას კლანები, თუმცა შარაპოვას კლანამდე მათ უსაშველოდ ბევრი უკლიათ.

1. **ტეოდორ ფორსტმანი**. IMG-ს ხელმძღვანელი და აიზენბადის მეგობარი. სწორედ მან შეუნარჩუნა თანამდებობა აიზენბადს, რომელიც მერე და მერე მძლავრი სააგენტოს ვიცე-პრეზიდენტად დანიშნა. მანვე აიძულა მაიკი, სასწრაფო წესით ცოლი მოეყვანა, რათა დასრულებულიყო საუბარი იმის შესახებ, რომ აიზენბადი შარაპოვასთვის არა მარტო აგენტი, არამედ საყვარელიცაა. სწორედ ფორსტმანი იყო პირველი, რომელმაც აიზენბადს დაავალა მარიასთვის რუსეთში თამაში კი არა, საერთოდ ჩასვლა აეკრძალა.

2. **მაიკლ ჯოისი**. მწვრთნელი და ბოიფრენდი. ბოლო ორი წლის განმავლობაში მაიკლი მარიას აჩრდილად იქცა. თავიდან აიზენბადს ჯოისის მუშაობა არ მოსწონდა, მაგრამ ეს გასაგებიც იყო, რადგან მაშინ მარიას პირადი აგენტი უცოლო იყო და შარაპოვას გვერდით ყოფნას ამჯობინებდა. მერე და მერე ჯოისიც გამოჩნდა, რომელიც შარაპოვას პირველად კრემლის თასზე გაჰყვა და მას მერე მარიას მწვრთნელია. სხვათა შორის, როდესაც ორი წლის წინათ ESPN-მა შარაპოვას ოთხივე სასლემოზე დღიურის დაწერა სთხოვა, მარიამ "მოუცლელობის" გამო ყველაფერი ჯოისს გადააბარა. არადა, შარაპოვას ჰონორარის სახით, 570 ათას დოლარს სთავაზობდნენ, ჯოისის ჰონორარმა კი მხოლოდ 60 ათასი შეადგინა.

3. **იური შარაპოვი**. მამა, ლოთი და აფერისტი. ის, რომ შარაპოვა დღემდე ნაწილობრივ მაინც ინარჩუნებს თავის რუსულ წარმომავლობას, მთლიანად ამ გამოუსწორებელი ლოთის დამსახურებაა, რომელიც მიიჩნევს, რომ ნებისმიერი ალკოჰოლური სასმელი რუსულ არაყთან შედარებით ჩაია. იური პერმანენტულად ცდილობს, აიზენბადის ჩარევის გარეშე, რომელიმე მძლავრ სპონსორთან კონტრაქტი გააფორმოს, მაგრამ არაფერი გამოსდის. მისი ოცნებაა, რომ მარიამ ოლიმპიადა მოიგოს, რათა რუსეთში მას დამსახურებული მწვრთნელობა მიანიჭონ. მისი პირადი ქონება 4 მილიონით შემოიფარგლება.

4. **რობერტ ლანსდორპი**. მაიკლ ჯოისის ასისტენტი. კლანის ყველაზე უმნიშვნელო წარმომადგენელი, რომელიც ამავე დროს, შარაპოვას ფსიქოლოგია. მხოლოდ საჩოგბურთო ნიუანსებში ჩარევის ნებას აძლევენ და რობერტიც წინააღმდეგი არ არის.

5. **ელენა შარაპოვა**. დედა, კლანის ყველაზე სუსტი წევრი. იური და ელენა ერთმანეთს თითქმის მეხუთე წელიწადია არ ელაპარაკებიან. როდესაც 1995-ში მამამ 8 წლის მარია ამერიკაში გააქანა, ელენა ამ ავანტიურას არ აჰყვა და სოჭში დარჩენა ამჯობინა. 10 წლის მერე, ელენა შარაპოვა მოულოდნელად **ნიკ ბოლეტიერის** აკადემიაში გამოჩნდა და ძვირადღირებული ადვოკატების მეშვეობით, თავისი შვილის მთელი ფინანსების კონტროლირება მოინდომა, თუმცა არაფერი გამოუვიდა. ელენას მარიამ რაღაც სამუშაო მაინც გამოუნახა და ყოველთვე შვილი დედას 25 ათას დოლარს უხდის, თუმცა მატჩების დროს ელენას მარიას ქომაგობა აკრძალული აქვს. ეს პრივილეგია მხოლოდ იური შარაპოვს, მარკ აიზენბადსა და მაიკლ ჯოისს გააჩნიათ.

**6-7. ჯოან ფოსტერი და ესტელ ლაპორტი**. მეგობრები. მათი ვალდებულება მარიას გართობაა. ყველა წვეულებასა თუ სარეკლამო ბრიფინგზე ჯოანი და ესტელი მარიას გვერდით არიან და უნდათ თუ არა, ასეც და ისეც, იღიმიან და მარიას თვალებში შესციცინებენ. თავის დროზე, სწორედ ჯოანი დაეხმარა მარიას ამერიკაში აკლიმატიზაციის გავლაში, ხოლო ესტელმა კი შარაპოვას ელემენტარულად, რჩეულ საზოგადოებაში ქცევის წესები აათვისებინა. ოდესღაც ჯოანი მარიას ყოველდღე "ჯიბის ფულად" 5 დოლარს აძლევდა, დღეს კი მარია მას ყოველთვიურად 50 ათას დოლარს უხდის.

**ზურაბ თალაკვაძე**

ეროვნული

ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უბულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ᵃ,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). 53-39-11
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა